პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 5—48

დ ღ ი უ რ ი

- ავსტრიის კომპარტიამ გაიმარჯვა მუშათა კამერების არჩევნებში.
- იტალია აიარაღებს ალბანეთს.
- ბესარაბიაში მძვინვარებს ტიფი.
- შვეიცარიაში დააპატიმრეს ფრანგი კომუნისტი-კაშენი.
- კანადა უარს ამბობს ჯარების გაგზავნაზე ჩინეთში.
- ჩემბერლენმა მიიღო საბჭოთა რწმუნებული როზენგოლცი.
- მიწისძვრა კამჩატკაზე.

პარასკევი, 18 თებერვალი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 39 (1794)

როგორ მიმდინარეობს არჩევნები

საბჭოთა არჩევნები უდიდეს პოლიტიკურ გამოცდას წარმოადგენს პარტიის და ხელისუფლების ძირითად ორგანოებისათვის. ამიტომაა, რომ ჩვენ ყოველთვის დიდი ყურადღებით ვიხილავთ საბჭოთა არჩევნების შედეგებს და ამ შედეგებიდან სათანადო პრაქტიკულ დასკვნებს ვაკეთებთ.

რა სურათს იძლევა მიმდინარე საარჩევნო კამპანია ამ მხრივ? ჯერ ჩვენ არა გვაქვს საბოლოო და სრული ცნობები, რადგან კამპანია არ დასრულებულა. მაგრამ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც უკვე მოიპოვება ჩვენს განკარგულებაში მიმდინარე არჩევნების შესახებ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კამპანიის შედეგის მთავარი მომენტები უკვე გამორკვეულია. საბოლოო ცნობები მხოლოდ შეავსებენ არჩევნების ამ სურათს, მაგრამ მის მთლიან სახეს ველარ შესცვლიან.

პირველყოვლისა აღსანიშნავია ერთი დამახასიათებელი გარემოება, რომელიც მუდამ თან სდევს საბჭოთა არჩევნების კამპანიას. ესაა არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის აღმავალი ხაზით ზრდა. საარჩევნო კრებაზე გამოცხადებულთა პროცენტი ყოველ ახალ არჩევნების დროს წინ უსწრებდა წინა არჩევნების დროინდელ კრებაზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა პროცენტს.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიამ ეს ზრდა უფრო მეტი სიცხადით დაგვანახვა. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა 50—60 პროცენტი ცხადდება. ისეთი მაგალითი კი, რომ კრება გადაედოთ ამომრჩეველთა სათანადო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, ძალიან იშვიათი იყო, ან თითქმის არ ყოფილა.

ამას გარდა მიმდინარე საარჩევნო კამპანია აღსანიშნავია სხვა მხრივაც. ესაა ღარიბი და საშუალო გლეხკაცობის მჭიდრო კავშირი, რომლის საუკეთესო დემონსტრაციათ გადაიქცა ეხლანდელი არჩევნები. კულაკების იზოლიაცია, ანტისაბჭოთა ელემენტების არჩევნებისაგან გარიყვა, დიდი სიმტკიცით ტარდება წელს. შემჩნეულია ხმის უფლება მოკლებულთა რიცხვის საყოველთაო ზრდა.

მართალია, აქ ადგილი აქვს ზოგიერთ გადამლაშებასაც. ბევრგან მეტი ერთგულობით, უფრო კი მეტი აჩქარებით და წინდაუხედაობით კულაკობას საშუალო შეძლების გლეხთა ერთი ნაწილიც მიაყოლეს, მაგრამ ამ მავნე გადახრას პარტიამ უკვე აულო ალღო და მიღებულია ზომები მის გამოსასწორებლად. საერთოდ კი სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების მოსახლეობის მიმართ არჩევნებში აღებულია სწორი გზა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს გლეხკაცობის ამ ფენათა ფაქტიურ ბრძანებლობას.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. ღარიბ და საშუალო გლეხთა კავშირი თავის განხორციელებას ჩვენში უმთავრესად პოულობს რაიმე კამპანიების და კერძოთ საარჩევნო კამპანიის დროს. ეს მხოლოდ ნაწილია ღარიბ და საშუალო გლეხთა შემაკავშირებელ მუშაობის, რომელსაც პარტია ასე დიდ ყურადღებას აქცევს. გლეხთა ამ ფენების მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობა არ უნდა წარმოადგენდეს მარტო საარჩევნო ან სხვა რაიმე დაკვრითი ხასიათის დემონსტრაციას. ამ თანამშრომლობამ სისტემატიური ხასიათი უნდა მიიღოს, ის უნდა შევიდეს საბჭოთა სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მიზნით პარტიისა და სხვა ორგანიზაციების ძირითადმა უჯრედებმა უნდა ისარგებლონ საარჩევნო კამპანიის დროს მოპოვებულ მიღწევებით და კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ ღარიბ და საშუალო გლეხობის ბლოკი.

გარდა ამისა, საბჭოთა მიმდინარე არჩევნები ყურადღებას იპყრობს იმ მხრივაც, რომ მან ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რამდენად გაიზარდა მშრომელ მოსახლეობის თვალში კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, რამდენად ღრმათ მოიკიდა ფესვები მშრომელ მასის ფენებში ჩვენმა პარტიამ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ახლად არჩეულ საბჭოებში დეპუტატთა კომუნისტური შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში საბჭოთა დემოკრატია განსაკუთრებული სიმტკიცით ტარდება. ახალი საარჩევნო ინსტრუქცია ამის ფართო შესაძლებლობას იძლევა.

ამდენადვე საყურადღებოა მიმდინარე არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შესამჩნევი ზრდა. კინჩის ყრაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ჩამორჩენილ მუსულმანურ რაიონების მშრომელი ქალებიც კი. არის შემთხვევები, როცა მუსულმან ქალებმა თავისი წარმომადგენელი დეპუტატი ქალი გაიყვანეს საბჭოში, რაიც ქალთა მშრომელი მასის პოლიტიკურ აქტივობის მეტად დამახასიათებელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

რით უნდა ავხსნათ ყველა ის მიღწევები მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში? ეჭვი არ უნდა, რომ აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინასწარ სამზადისის სათანადოთ ჩატარებას, არჩევნების ორგანიზაციას, რაიც ჩვენმა ცენტრალურმა და ადგილობრივ საარჩევნო აპარატმა შედარებით უნაკლოთ ჩაატარა.

მაგრამ ეს არ ყოფილა გადამწყვეტი მომენტი. მთავარი, რაზედაც დამოკიდებულია საარჩევნო კამპანიის წარმატებით მიმდინარეობა, ესაა მშრომელი მოსახლეობის პოლიტიკური გათვითცნობიერება და აქტივობა, რომელსაც საფუძვლად უდევს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეული საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებანი სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე.

ახლად არჩეული საბჭოები მეტი ენერგიით შეუდგებიან ამ მიღწევათა შემდეგი განმტკიცების საქმეს და ამრიგათ საბჭოთა ხელისუფლება ახალი გამარჯვებებისაკენ გაექანება წინ სოციალისტურ აღმშენებლობის გზით.

ორი რეჟიმი—ორი პოლიტიკა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საანგარიშო მოხსენება საკავშირო ცაკის სესიაზე თავისი მნიშვნელობით სცილდება ბელორუსიის მშრომელ მოსახლეობის და თვით საბჭოთა კავშირის ყველა ერების ინტერესების ფარგლებს. „ბელორუსიის საკითხს" საკავშირო ცაკის სესიაზე—ეს შეიძლება ითქვას აშკარად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე—უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა ბელორუსიის საკითხის გარჩევის დროს სესიაზე საბჭოთა სისტემის თავისებურება უაღრესად მკაფიოდ და ნათლად გამოიხატა. თვით ამ საკითხის დასმა ჩვენი უზენაეს ორგანოს სხდომაზე არის დიდი პრინციპიალური მნიშვნელობის ფაქტი. არსად მსოფლიოში, არც ერთ კლასობრივ რეჟიმის დროს, გარდა საბჭოთა რეჟიმისა, არავის უნახავს და არავის გაუგონია, რომ სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გამოსულიყო საანგარიშო მოხსენებით, როგორც მთავრობა. უკეთეს შემთხვევაში მოჩვენებითი „ავტონომიის" მქონე „ოლქის", ან რაიონის საანგარიშო მოხსენება, ასეთია სტერეოტიპული სურათი ყველგან, ყველა ბურჟუაზიულ პარლამენტებში.

სესიაზე ბელორუსიის საანგარიშო მოხსენების განხილვის დროს გამეფებული იყო სრულიად განსაკუთრებული განწყობილება, განსაკუთრებული ატმოსფერა. აქ არ ყოფილა კაპიტალისტურ ქვეყნების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებისათვის „ჩვეული" ნაციონალური კინკლაობა, დამამცირებელი შემოძახებები „გაბატონებულ ერის" წარმომადგენლების მხრით, არ ყოფილა წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, არ ყოფილა ნაციონალური „საკითხი" ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. პირიქით, სესიაზე ჩვენ ვხედავდით საქმიან განწყობილებას და ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების ერთსულოვან, შეთანხმებულ მუშაობას. ბელორუსიის მთავრობის საანგარიშო მოხსენება —ეს იყო ერთა მთლიანი მტკიცედ შეკავშირებული კოლექტივის თანასწორ უფლებიანი და სრულუფლებიანი წევრის გამოსვლა.

ანგარიში ლაპარაკობს ბელორუსიის სამეურნეო და კულტურულ აღორძინებაზე, მუშაობის დაბრკოლებებზე და ეფექტებზე და იმაზე, თუ როგორ იზრდებოდა და მტკიცდებოდა ბელორ. სოც. საბჭ. რესპუბლიკა, თუ როგორ გადაიქცა მილიონ ნახევარი მოსახლეობის ტერიტორია მრავალი მილიონ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკათ, თუ როგორ გაერთიანა მან ეხლა ბელორუსიის მთელი საბჭოთა მოსახლეობა, თუ როგორ შეერთდა მას გომელის და რეჩიცის მაზრები.

მოხსენებამ და კამათმა ამხ. ადამოვიჩის მოხსენების გარშემო გამოაშკარავეს სულ სხვა რამ, განსხვავებით იმ საშინელი სურათისა, რომელიც არსებობს მის გვერდით, საზღვარგარეთ, ფაშისტურ პოლონეთში—დასავლეთ ბელორუსიაში, რომელიც „მარშალ" პილსუდსკის ბრძანებლობის ქვეშ გმინავს. იქ სულ სხვა გვარი სურათია, სხვა რეჟიმი, სხვაგვარი პოლიტიკა. იქ „ეროვნული საკითხი" ბელორუსიის ხალხის გაუგონარი ჩაგვრის სინონიმია, იქ გაისმის ასი ათასობით ბელორუსების რევოლიციონური დრტვინვა, იქ ციხეები გავსებულია მოწინავე მუშებით და გლეხებით, იქ ღვივის აღშფოთების ცეცხლი, იქ ხდება მრავალი ათასი გლეხობის დემონსტრაციები ხელისუფლების წინააღმდეგ, იქ ხდება მშიერთა და ჩაგრულთა ამბოხებანი, იქ ხდება დაპატიმრებანი, პროვაკაცია და რევოლიუციონური გრომადის დარბევა.

ეხლა ბელორუსიაში მოხდა აპარატის ბელორუსიზაცია. იქ კი ხდება ძალდობრივი პოლონიზაცია, ხელოვნური „გაკოლონება".

აქ თავისუფლად ვითარდება ბელორუსიის კულტურა, იქ კი მას სისტემატიურად სდევნიან, ავიწროებენ.

აქ არ არის არავითარი ეროვნული შუღლი, იქ მძინვარებს, ძლიერდება ინთება.

აქ კავშირია ბელორუსიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მშრომელი ხალხისა და მთელი კავშირის მუშებსა და გლეხებს შორის, იქ კი კავშირია პოლონეთის ფაშიზმსა და ბელორუსიის მემამულე მაგნატთა შორის, იქ არის პოლონელი მუშების და ბელორუსიელი გლეხების დამონება.

აქ იზრდება ბელორუსიის ხალხის ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, იქ კი ციხე და კატორღაა ბელორუსიის ხალხისათვის, იზრდება ამ ხალხის მძულვარება გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ.

აქ გომელშჩინის შეერთება ბელორუსიის სოც. საბჭ. რესპუბლიკასთან, იქ კი გრომადის დარბევა.

ჩვენ ამ პოლიტიკას კვლავ განვაგრძობთ. ეს პოლიტიკა სულ უფრო და უფრო მეტ სიმპატიას გამოიწვევს საბჭოთა კავშირისა და მისი საზღვრების იქით მოსახლე ერებში. თუ საზღვარგარეთ, პოლონეთში, ფაშისტური რეჟიმი და მისი პოლიტიკა გამოიწვევს ბელორუსიის ხალხის ჩაგრული მასების აღშფოთებას ჩვენში კი ეს ხალხი ყველა დანარჩენ ერონებებთან ერთად ერთსულოვნად ააგებს ახალ სახელმწიფოს და ენერგიულად იმუშავებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მოსკოვი, 17 თებერვალი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ინგლისის მუშათა მასების პროტესტები კონსერვატორების ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ

კანტონის ჯარები მიიწევენ შანხაისაკენ

სუნ-ჩუან-ფანის არმია განადგურებულია.—კანტონის არმია უახლოვდება ხან-ჩჟოუს

გერმანიის მთავრობა შეუძლებლად თვლის სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულებას

დღეს ინგლისის თემთა პალატა განიხილავს კანონპროექტს პროფკავშირების წინააღმდეგ

კანტონის ჯარები უახლოვდებიან შანხაის

ეროვნული მთავრობა უტევს

ნიუ-იორკი, 16 თებერვალი. ამერიკული გაზეთების შანხაელი კორესპონდენტების ცნობით, ეროვნულმა ჯარებმა სუნ-ჩუან-ფანის არმიას შემოუარეს გვერდით და წინ წაიწიეს. ეროვნული ჯარების ნაწილები 35 მილის მანძილზე იმყოფებიან ხან-ჩჟოუდან (პროვინცია ჩჟე-ცზიანის მთავარი ქალაქი). გარდა ამისა, ეროვნული არმიის რაზმებმა კვლავ დაიკავეს ჩუ-ჩჟოუ (ჩჟე-ცზიანის პროვინცია). (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის დამარცხება

პეკინი, 16 თებერვალი. „ასოშიეიტიდ პრეს"-ის ცნობით, **ნაციონალურმა ჯარებმა დაამარცხეს სუნ-ჩუან-ფანის არმია, რომელიც უკან იხევს.** გაზეთები აღნიშნავენ, რომ ნაციონალურ ჯარების მიერ ხან-ჩჟოუს დაკავება რამოდენიმე დღის საკითხია (ადს).

მუკდენი შეტევაზე გადავიდა

პეკინი, 16 თებერვალი. პრესის ცნობებით, ხენანის პროვინციაში შემდეგი მდგომარეობაა:

პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში მუკდენელებმა დაიჭირეს ყველა სტრატეგიული პუნქტები ყვითელი მდინარის ჩრდილოეთით. მუკდენელების ყვითელ მდინარეზე გადასვლის შესახებ ცნობა ჯერ-ჯერობით არ მოსულა. შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით კი, მუკდენელების ჯარების ავანგარდი უკვე უახლოვდება ჩენ-ჩოუს. გარდა 20.000 კაცისაგან შემდგარ რაზმისა, რომელიც უკვე გაიგზავნა ხენანისაკენ, მუკდენის სამხედრო სარდლობა ხენანისაკენ გზავნის კიდევ უფრო მნიშვნელოვან ძალებს. ხენანის პროვინციაში გაგზავნილ მუკდენის ჯარების საერთო რიცხვი—50.000 კაცამდე აღწევს; ეს ჯარები, როგორც სჩანს, თავმოყრილი იქნება ჩენ-ჩოუს რაიონში, სადაც ისინი შეუერთდებიან შანდუნის ჯარებს.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ უ-პეი-ფუ იხევს ლოიანის მიმართულებით. (ადს).

მოლაპარაკება არ შეწყვეტილა

ლონდონი, 16 თებერვალი. ინგლისის მთავრობა იუწყება, რომ ო-მალის მოლაპარაკება ევგენი ჩენთან გრძელდება. ო.მალიმ ლონდონს მოსთხოვა შემდეგი დირექტივები სხვადასხვა საკითხების შესახებ (ადს).

სამხრეთელების გამარჯვება

პეკინი, 16 თებერვალი. **მუკდენის და შანდუნის ნაწილების წინააღმდეგ მებრძოლი ხენანის ჯარების საერთო რიცხვი 100.000 კაცამდე აღწევს.** სამხრეთელებს ი-ჩანიდან ჯარები გადაყავთ ხანკოუს მიმართულებით. ჩრდილოეთისაკენ გაგზავნილი იქნება სამხრეთელების მნიშვნელოვანი ძალები. **ჩჟე-ძიანის პროვინციაში სამხედრო ოპერაციები სამხრეთელების სასარგებლოთ ვითარდება** (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის ჯარები იხრწნება

პეკინი, 16 თებერვალი. **სუნ-ჩუან-ფანის ჯარები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინად სასტიკათ დამარცხდენ ჩჟე-ძიანთან, იხრწნება. მოსალოდნელია ხან-ჩჟოუს (ჩჟე-ძიანის სატახტო ქალაქის) დაკავება ნაციონალურ ჯარების მიერ.** ჩინ-იუ-ხაოს და ვე-ნი-ხიანის გენერლები, რომლებიც აჯანყდენ უ-პეი-ფუს წინააღმდეგ და გადავიდენ კანტონელების მხარეზე, დანიშნული არიან ცალკე ნაციონალურ არმიების უფროსებათ (ადს).

შანხაის ნეიტრალიზაციის წინააღმდეგ

პეკინი, 16 თებერვალი. „ასოშიეტედ პრეს"-ის ცნობით, სუნ-ჩუან-ფანის წარმომადგენელმა გაილაშქრა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებების წინააღმდეგ შანხაიში ნეიტრალიზაციის შესახებ, სუნ-ჩუან-ფანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველგვარი ცდა ჯარების გადაადგილების თავისუფლების შესაზღუდავათ ცზიან-სუს პროვინციაში ჩაითვლება ინტერვენციათ (ადს).

ჩინელ ქალთა პოლიტაღზრდის სკოლა

ხანკოუ, 16 თებერვალი. 12 თებერვალს ხანკოუში გაიხსნა ქალთა პოლიტიკური აღზრდის სკოლა, რომელიც დაარსა სუნ-იატ-სენის ქვრივმა. მსმენელთა რიცხვი 100 უდრის. საზეიმო გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვეს ეროვნული მთავრობის ყველა წევრებმა და სუნ იატ-სენის ცოლმა. (ადს).

კანადა თანაუგრძნობს ჩინეთს

ლონდონი, 16 თებერვალი. რეიტერის სააგენტო აქვეყნებს კანადის პრემიერის კინგის პასუხს პარლამენტში შეტანილ შეკითხვაზე—თუ რა ზომებს იღებს კანადის მთავრობა ჩინეთში კანადელების დასაცავათ.

„ეხლანდელ პირობებში,—სთქვა პრემიერმა,—კანადის ჯარების გაგზავნა ჩინეთში არ იქნებოდა მიზანშეწონილი. კანადა,—დასძინა კინგმა, თანაუგრძნობს ჩინეთის ხალხს, რომელსაც სურს თვითონვე გახდეს თავისი ბედ-იღბალის ბატონ-პატრონი. თუმცა ჩინეთში უკიდურესი ელემენტებიც მოიპოვებიან, მაგრამ რამდენად ლაპარაკია საზოგადოებრივ ხელმძღვანელებზე და ჩინეთის ხალხის დიდ უმრავლესობაზე, ეჭვს გარეშეა, რომ ნაციონალური მოძრაობა მიმართულია არა უცხოელების უშიშროების და ქონებრივ უფლებების, არამედ მხოლოდ უცხოეთის სახელმწიფოების სპეციალური პრივილეგიების და ჩინეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ" (ადს).

კანონპროექტი პროფკავშირების წინააღმდეგ

ინგლისის ბურჟუაზია მომავალი გაფიცვისათვის ემზადება

ლონდონი, 16 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გამოქვეყნებულია იმ კანონ-პროექტის ტექსტი, რომელიც კონსერვატიულმა დეპუტატმა ბანკსმა შეიტანა თემთა პალატაში. კანონ-პროექტის მიხედვით დასასჯელ მოქმედებად უნდა გამოცხადდეს ფულის მიღება უცხოეთიდან ინგლისის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტებში გამოყენების მიზნით და აგრეთვე თხოვნით მიმართვა ასეთი ფულის გაგზავნის შესახებ. კანონ-პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ უცხოეთიდან ზემოხსენებული მიზნით მიღებულ ფულს კონფისკაცია უნდა მოუხდინონ. კანონ-პროექტს თემთა პალატაში 18 თებერვალს განიხილავენ (ადს).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგ

ლონდონი, 17 თებერვალი. ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტმა დაუგზავნა დეპეშები ყველა მნიშვნელოვან პროფსაბჭოს და მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომელშიაც ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის საფრთხეს და მოითხოვს, რომ ამ ორგანიზაციებმა ბალდუინს პროტესტი განუცხადონ ამის გამო. ორგანიზაციები გამოეხმაურენ კომიტეტის დეპეშებს და მათ სასტიკი პროტესტით მიმართეს მთავრობას, საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის შეწყვეტის განზრახვის გამო.

ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის გავლენით, მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დანიშნა სპეციალური კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას. კომისიას ევალება ცნობები მიაწოდოს საპარლამენტო ფრაქციას საქმეთა მსვლელობის შესახებ. (ადს).

„პრავდა"-ს და „იზვესტია"-ს მხილების გამოძახილი

ლონდონი, 17 თებერვალი. მთელი რიგი ინგლისური გაზეთებისა ათავსებს ცნობებს „პრავდა"-ში და „იზვესტია"-ში გამოქვეყნებულ საბლინის მოხსენებების შესახებ გირსისადმი.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" თავის წერილში აცხადებს, რომ ეს დოკუმენტები საჭიროებენ დაუყოვნებლივ განმარტებას შინაგან საქმეთა მინისტრის და აგრეთვე ლემპსონის მხრივ. „კიდევ მეტი—სწერს გაზეთი, — თვითონ ბოლდუინი დაწვრილებით უნდა გაეცნოს ამ საქმეს და სიფრთხილით გამოარკვიოს — რამდენათ ახდენენ გავლენას უცხოელი ინტრიგანები კონსერვატიული პარტის გავლენიან ჯგუფების მუშაობაზე და რამდენათ იყვნენ უკანასკნელთ თავიანთ მიზნებისთვის". (ადს).

გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ

ლონდონი. 17 თებერვალი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული „დეილი ტელეგრაფი" ეხება ინგლისის კაბინეტის სხდომას, რომელზედაც ირჩეოდა ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხი. გაზეთი აცხადებს, რომ ამ საკითხის შესახებ არ უნდა ველოდეთ კაბინეტის დაუყოვნებლივ გადაწყვეტილებას. „სავსებით ცხადია, —სწერს გაზეთი, —რომ ეს საკითხი კვლავ განხილული იქნება კაბინეტის მომავალ სხდომაზე".

ლიბერალურ „მანჩესტერ გარდიენის" ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: „ჩემბერლენს არ შეუცვლია თავისი თვალსაზრისი რუსეთის საკითხში. ამიტომ ახლო მომავალში არ უნდა მოველოდეთ არავითარ ამბებს ამის გარშემო. ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ ჩემბერლენს შეეძლო საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობიდან მიეღო მეტი სარგებელი, თუ საბჭოთა კავშირს ისევე მოეპყრობა, როგორც ყველა დანარჩენ სახელმწიფოებს.

ლიბერალური „დეილი ქრონიკ" აცხადებს, რომ კაბინეტის სხდომაზე გამოწვეული დავა სწარმოებდა იმის გარშემო,—შესწყდეს თუ არა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. გაზეთი დასძენს, რომ ჩერჩილი, ბირკენჰედი და ჯოინსონ ხიკსი მეთაურობდენ კაბინეტის იმ ნაწილს, რომელიც მოითხოვდა ურთიერთობის შეწყვეტას, ხოლო ჩემბერლენი და ბოლდუინი მათ ეწინააღმდეგებოდენ.

დასასრულ გაზეთი აცხადებს, რომ თუმცა ამ საკითხის გამო კაბინეტს გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იმ „ჯგუფს, რომელიც მშვიდობიანობას იცავს, ნიადაგი თანდათან ეცლება". (ადს).

„მოსკოვის თავდასხმა"

ლონდონი, 17 თებერვალი. რეაქციონური გაზეთი „დეილი მეილ" „იზვესტია"-ში და „პრავდა"-ში გამოქვეყნებულ დოკუმენტებს საბლინის შესახებ უწოდებს „მოსკოვის თავდასხმას". (ადს)

„კეთილი სურვილები" და ცარიელი სალარო

ბიუჯეტის განხილვა გერმანიის რეიხსტაგში

გერმანიაში 1.750.000 უმუშევარია. — გერმანიის მეურნეობას არ შესწევს ძალა გადაიხადოს სარეპარაციო გადასახადები. — ბიუჯეტის წონასწორობა მოჩვენებითია.—მომავალი მდგომარეობა უფრო გაუარესდება.

ბერლინი, 16 თებერვალი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: რეიხსტაგში დაიწყო კამათი ახალი ბიუჯეტის შესახებ, რომლის ჯამიც განსაზღვრულია 8 მილიარდი მარკის რაოდენობით.

ფინანსთა მინისტრმა კელლერმა, რომელმაც ბიუჯეტის პროექტი განიხილა გერმანიის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობის თვალსაზრისით, განაცხადა, რომ „**ბიუჯეტის წონასწორობა მოჩვენებითია, რადგან ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დიდი ოპტიმიზმით არის გამოანგარიშებული. ეკონომიური მდგომარეობაც ერთგვარ ეჭვებს აღმძვრელია, რადგან იმ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება, სადაც 1.750.000 უმუშევარია, კიდევ შორს არის გაჯანსაღებიდან.** სარეპარაციო გადასახადები, რომელიც თანდათან იზრდება, აგრეთვე ახდენს გავლენას ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე. **სარეპარაციო გადასახადების საერთო ჯამი ახალ საბიუჯეტო წელს 478 მილიონი მარკით უფრო მეტია, ვიდრე გასულ წელს იყო, ხოლო 1928 წ. იგი გადიდდება კიდევ 482 მილიონი მარკით, 1930 წელს კი 290 მილიონი მარკით".**

ამ ციფრების მოყვანის შემდეგ, მინისტრმა განაცხადა:

„ამ მომენტში მე ვერ ვხედავ ჩვენი კეთილის სურვილის გარდა, სხვა ვერავითარ საშუალებას ამ თანხების გამოსაძებნათ. დაუესის გეგმის განხორციელების წინასწარ პირობას წარმოადგენს გერმანიის მეურნეობის განმტკიცება. სახალხო მეურნეობას კი საშუალება არ შესწევს გადაიხადოს ეს მძიმე სარეპარაციო გადასახადები" (ადს).

სასკოლო მუშაკების პირველი კონფერენცია

დღეს გაიხსნება განათლების სახალხო კომისარიატის და ადგილებზე მისი ორგანოების სრულიად საქართველოს ინსტრუქტორთა პირველი კონფერენცია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დღეს პირველად შეხვდებიან ერთმანეთს პირისპირ სასკოლო მუშაობის ხელმძღვანელნი, რომ ერთმანეთს გაუზიარონ თავისი გამოცდილება და გადასჭრან ბევრი ორგანიზაციულ - პედაგოგიური საკითხები.

კონფერენციამ უნდა მოგვცეს ჩვენ სრული სურათი იმისა, თუ რა მდგომარეობაშია სახალხო განათლების საქმე მაზრებში, მან უნდა გაუკეთოს ჯამი მაზრების და ცენტრის ინსტრუქტორთა მუშაობას, უნდა დაგვანახვოს რამდენად შესძლეს ამ ინსტრუქტორებმა მასიური მასწავლებლობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რამდენად სწორად გაიგეს მათ მოთხოვნილებანი იმ სკოლისა რომელიც სოციალისტურ საფუძველზე შენდება.

ამ კონფერენციის ერთ-ერთი ამოცანა—გააცნოს ინსტრუქტორებს თბილისის მოწინავე სკოლების მიღწევები, რომ მათ ამ სკოლების მუშაობის და გამოცდილების შედეგები თავისი მუშაობისათვის გამოიყენონ.

ამავე კონფერენციაზე უნდა გამოირკვეს, თუ რამდენად შესრულდა თავისი დანიშნულება ინსტრუქტორთა და ოთხწლედისა და შვიდწლედის აქტივის გასამზადებელმა საზაფხულო კურსებმა, რომელიც მოაწყო განათლების სახ. კომისარიატმა, და საჭიროა თუ არა წელს ამ მუშაობის ფორმის შეცვლა.

ახლა განათლების ყველა მუშაკისათვის ცხადია, რომ ჩვენმა სკოლებმა როგორც რაოდენობით, ისე თვისობრივ მხრივ, გაცილებით გაუსწრო წინ ომამდე და მენშევიკების დროის არსებულ სკოლებს. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი სკოლა ბავშვებს გაცილებით უფრო მეტ, უფრო კარგ და მტკიცე ცოდნას და ტეხნიკურ შეჩვევებს აძლევს, ვიდრე წინანდელი სკოლა. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ჩვენ არა თუ განვლეთ აღდგენის პერიოდი განათლების ფრონტზე, არამედ ჩვენი კულტურული უჯრედის ერთგვარი რეკონსტრუქციაც კი მოვახდინეთ.**

რაც შეეხება შრომის სკოლებს, იქ ჩვენ ძველი, უვარგისი მასწავლებელნი ნაწილობრივ უკვე შევცვალეთ, ახალი, ახალგაზრდა მასწავლებლებით, ამ სკოლებს მივეცით სულ ახალი პროგრამები, ახალი სახელმძღვანელოები, მუშაობას იქ ახალი მეთოდებით ვაწარმოებთ ბევრმა სკოლამ შესძლო სავსებით და სერიოზულად დაეწყო მუშაობა ახალი პროგრამით, ახალი მეთოდებით, მუშაობის ახალ გზას დასდგომოდა. ახლა უკვე დადგა დრო, როდესაც ჩვენ ყველა მაზრასა და ყველა სკოლას უნდა მოვთხოვოთ აუცილებლად გაატარონ ჩვენი კომპლექსური პროგრამები, რაც ცხადია დიდ სიძნელეს წარმოადგენს და მოითხოვს, რომ მასწავლებლობამ დიდი შრომა გასწიოს თავისი ცოდნის გასაღრმავებლად. მაგრამ, მასწავლებლებისთვის ეს მოულოდნელი რამ არ არის, ვინაიდან პროგრამები უკვე ორი წლის წინათ გამოიცა და დაურიგდა სკოლებს. მასწავლებელნიც გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ ეს პროგრამები სავალდებულო იყო.

ჩვენ კატეგორიულ მოთხოვნას წაუყენებთ მასწავლებლობას, მაგრამ მეორე მხრივ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ერთგვარი გარდატეხა მასიური მასწავლებლობის ხელმძღვანელობის საქმეში, რომ ჩვენ სახალხო განათლების უშუალო ხელმძღვანელებმა, უპირველეს ყოვლისა კი ინსტრუქტორებმა, ჩვენს მოვალეობათ უნდა მივიჩნიოთ დავეხმაროთ მასწავლებლობას გადამზადებისა და თვითმომზადების საქმეში, მაგრამ ამ გადამზადებასა და თვითმომზადებას სეზონური ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს. ის მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად უნდა წარმოებდეს.

ახალი სკოლის საკითხებში მასწავლებლობას უფრო მეტი, უფრო საგრძნობი დახმარება უნდა გაუწიოთ, უფრო ახლო უნდა ვიყოთ სკოლასთან.

ჩვენი მუშაობის ერთი წლის თავზე ჩვენი ძირითადი ამოცანები, ძირითადი ლოზუნგები უნდა იყოს: დაახლოება წარმოებასთან (სკოლასთან), ე. ი. სისტემატიური კავშირი სკოლასთან. შეცდომების გასწორება და მასწავლებლებისათვის დირექტივების მიცემა სკოლაში მუშაობის პროცესში, თვითეული საგანმანათლებლო უჯრედის: პედაგოგიური საბჭოსი, წრის, რაიონის სკოლის, კონფერენციების და ყრილობების გამოყენება, როგორც წარმოებითი თათბირების, რომელიც ხელს უწყობენ ჩვენი სასკოლო აღმშენებლობის წინსვლას და განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის გაუმჯობესებას.

ინსტრუქტორებისაგან უნდა მიიღონ სხვადასხვა დავალება მასწავლებელთა წრეებმა, მეთოდურმა კონფერენციებმა და თათბირებმა. აგრეთვე პედაგოგიური საბჭოების სხდომებმა; მათ დროგამოშვებით უნდა ესწრებოდენ და ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევდენ ინსტრუქტორები.

დღეს შეიკრიბება ჩვენი უახლოესი თანამშრომლები, ჩვენი დირექტივების, ჩვენი განკარგულებების და იდეების მასაში მთავარი გადამტანნი. საჭიროა სწორედ გავიგოთ ახალი მოთხოვნილებანი, სკოლისა და მასწავლებლობის ახალი ამოცანები, მაქსიმალურად გაუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, აღვიჭურვოთ ახალი ცოდნით, მოვიკრიბოთ ახალი ძალღონე და წინ წავწიოთ სოციალისტურ კულტურის მშენებლობა.

მარიამ ორახელაშვილი.

საბჭოთა პრესა

ორი წინადადება

საბჭოთა და ყოველგვარ სხვა აპარატის დაახლოვება მასსებთან, რომ ეს აპარატი დროზე და სათანადოთ აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნილებებს, ბიუროკრატიულ ნაშთების აღმოფხვრა ჩვენს მუშაობაში—ეს ამოცანა დღეს განსაკუთრებული სიმწვავითაა ჩვენს წინაშე წამოჭრილი. მის გადასაჭრელად ჩვენ ვიმუშავებთ კონკრეტიულ ღონისძიებებს, ვეძებთ გზებს. ამხ. პოსტიშევი „რაბოჩაია გაზეტა"-ში იძლევა შემდეგ წინადადებებს:

„დაწესებულ იქნას პასუხისმგებელ მუშაკთათვის მიღების დღეები უშუალოდ წარმოებებსა და სოფლებში. მუშა, რომელსაც აწუხებს მთელი რიგი საკითხები და საჭიროებანი, ზოგჯერ გადაუდებელი საჭიროებანი, არა იშვიათად კარგავს მთელ დღეს, სანამ რომელიმე დაწესებულებაში მოუსმენენ, მაგრამ მაშინაც ვერ ღირსდება ჯეროვან განმარტებას და დაკმაყოფილებას, ვინაიდან ის მიიღო არა დაწესებულების ხელმძღვანელმა, არამედ მესამე ხარისხოვანმა პირმა. ასე ხდება ქალაქში, ხოლო რა იქნება სოფლად? იქ გლეხს უფრო მეტი დაბრკოლებები ხვდება—ქალაქში გამგზავრებაც ძვირი ჯდება, დროც არა აქვს წასასვლელად, მივა და არა ყოველთვის აწესრიგებს თავის საქმეს.

პასუხისმგებელ მუშაკთა მისაღები დღეები პირველ ხანებში უნდა დაწესდეს თუნდ მხოლოდ მსხვილ ქარხნებსა და სოფლებში. აღმასკომის თავმჯდომარე, კომუნალურ მეურნეობის თუ სახალხო განათლების გამგე, კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე, პროფკავშირის წარმომადგენელი და სხ. ღებულობენ მუშებს ქარხანაში სადილობის დროს ან მაშინვე მუშაობის გათავების შემდეგ. სოფლად დიდი მნიშვნელობა აქვს საადგილ-მამულო განყოფილების, სასოფლო ბანკის, ჯანმრთელობის განყოფილების, სახგანათლების გამგეთა მიღების დღეს, როცა ისინი სასოფლო საბჭოში დაყოფენ არა ერთ, არამედ ორ-სამ დღეს. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, დაწვრილ საჩივრების და ასეთივე პასუხების მაგივრად, ადგილობრივად, ქარხანაში, სოფელში, ღებულობს მუშებისა და გლეხებისგან ცოცხალ ზეპირ საჩივრებს და იქვე განმარტავს, აწესრიგებს ასეთებს და სხ.

მეორე წინადადება: უნდა გადაწეულ იქნეს იმ დაწესებულებათა და წარმოებათა სამუშაო საათები, რომელნიც ყველაზე უფრო ეხებიან მასსებს, რათა ისინი მუშაობდენ თუ გინდ 2-3 საათის განმავლობაში იმ დროს, როცა მუშა თავისუფალია. ამით თვით მუშებს საშუალება მიეცემათ უფრო ხშირად ეწვიონ დაწესებულებებს და წარმოებებს".

მაშასადამე, ავტორი აყენებს ორ წინადადებას: პასუხისმგებელ მუშაკების მიერ მუშებისა და გლეხების მიღება წარმოებებსა და სოფლებში და დაწესებულებათა სამუშაო დროის გადაწევა. სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის, რომელთა მიზანია ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, ამა თუ იმ სახით მისაღებია მხედველობაში აღნიშნული მოსაზრებებიც.

ბრძოლა ფასების დაკლებისათვის

ამხ. ორჯონიკიძის მიმართვა

მოსკოვი, 17 თებერვალი. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრ. საკონტრ. კომისიებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციებს, საოლქო და საგუბერნიო, საკონტროლო კომისიებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციებს.

ძვირფასო ამხანაგებო! საცალო ფასების შემცირება სამრეწველო საქონელზე ამჟამად უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ - სამეურნეო ამოცანად ხდება. ფასების შემცირება სამრეწველო საქონელზე ამტკიცებს ქალაქის კავშირს სოფელთან და აძლიერებს პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს. ბრძოლა ფასების შემცირებისათვის იმავე დროს არის ბრძოლა სავაჭრო - სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა, რომ მთელი თავისი ძალღონით შეეცადონ საცალო ფასების შემცირებას სამრეწველო საქონელზე ისე, რომ 1 ივნისისათვის მივაღწიოთ ფასების შემცირებას არა ნაკლებ 10 პროცენტისა 1 იანვრის ფასების დონესთან შედარებით და სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის აპარატის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებას 1 ივლისისათვის მივაღწიოთ არა ნაკლებ 15 პროცენტისა, 1925—26 წლის ხარჯებთან შედარებით.

ამავე დროს ცეკას პლენუმმა საკონტროლო კომისიებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციებს დაავალა თვალყური ადევნონ ყველა ორგანოების მიერ ფასების დაკლების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარებას და პასუხისგებაში მისცენ ვინც ამ გადაწყვეტილებებს დაარღვევს. ცეკას პლენუმის დავალება ნამდვილად განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ მუშათა და გლეხთა ინსპექციები და საკონტროლო კომისიები მჭიდრო კავშირს დაამყარებენ მომხმარებელთა მასებთან და უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას სავაჭრო ორგანიზაციების კონტროლში.

ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევენ საკონტროლო კომისიებს და მუშათა და გლ. ინსპექციებს მოაწყონ პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების მონაწილეობით მომხმარებელთა გაერთიანებული კრებები, რომლებზედაც ც. საკ. კომისიის და მუშ. და გლ. ინსპექციის წარმომადგენლები გამოვლენ მოხსენებებით ფასების დაკლების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებების გარშემო და აუხსნიან მომხმარებლებს, თუ რა საქონელზე რა რაოდენობით ფასი დაკლებული. ამავე დროს უნდა მათ თვალყური ადევნონ, რომ დადგენილებები ფასების დაკლების შესახებ დროზე ქვეყნდებოდეს, რათა საშუალება მიეცეთ მომხმარებლებს გაიცნონ ფასების დაკლების შესახებ საქმის ვითარებას.

ამ გზით, და არა მხოლოდ წერილობითი ანგარიშებისა და ცნობების მოთხოვნით ვაჭრობის მწარმოებელ და მომგვარებელ ორგანოებიდან — მიღწეული იქნება ნამდვილი და ჭეშმარიტი კონტროლი. ცენტრ. საკონტროლო კომისია და მუშ. და გლ. ინსპექციის სახალხო კომისარიატი ხაზს უსვამენ, რომ კამპანიის წარმატებით ჩატარება ბევრათაა დამოკიდებული იმაზე, თუ საკონტროლო კომისიები და მ. და გ. ინსპექციები რამდენათ შესძლებენ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების დახმარებით ფართოდ მიაღებინონ მონაწილეობა ამ კამპანიაში მომხმარებელთა ფართო მასებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ის, ვინც დაარღვევს პარტიის ნებისყოფას ამით ხელს შეუშლის პროლეტარიატისა და გლეხობის დაახლოვებას — შეუბრალებლად იქნას მიცემული პასუხისგებაში და ამის შესახებ ეცნობოს ადგილ. გაზეთების საშუალებით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკ. კომისიის თავმჯდომარე და საკავშირო მუშ. და გლ. ინსპექციის სახალხო კომისარი
ს. ორჯონიკიძე.

17 თებერვალი, 1927 წ.
მოსკოვი.

შეერთებული შტატები და ნიკარაგუა

ნიუ-იორკი. 16 თებერვალი. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო ძალები ნიკარაგუაში დიაცს ყოველ მხრივ აქტიურ დახმარებას უწევენ (გარდა ფაქტიური მონაწილეობისა სამხედრო მოქმედებაში), ლიბერალების ჯარები წარმატებით განაგრძობენ წინსვლას მთელ რიგ რაიონებში, და ამჟამად უკვე ემუქრებიან დიაცის სატახტო ქალაქს—მანაგუას. ინტერვენციის მომხრე ამერიკული წრეები მოითხოვენ, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელი ნიკარაგუას რესპუბლიკა „ნეიტრალურ ზონად" გამოაცხადოს და, ამრიგათ, ჩააქროს ლიბერალების მოძრაობა. (ადს).

„სანამ რუსეთს არ იცნობენ"

ნიუ-იორკი, 16 თებერვალი. როგორც იუწყებიან, შტატ ნიუ-იორკის საკანონმდებლო კრებამ მიიღო კანონი, რომლის თანახმად ამერიკის დამზღვევი კომპანიების მიერ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მიღებული პოლისების მქონეთა სარჩელის გარჩევა სასამართლოს წესით გადადებულია მანამდე, „სანამ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები არ იცნობენ რუსეთის მთავრობას". სასამართლომ ეს კანონი პირველ ინსტანციაში კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ სცნო. დამზღვევმა კომპანიებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარი აღძრეს შტატის უზენაეს სასამართლოში, სადაც ეს საქმე ამჟამად ირჩევა. (ადს).

ჩიხში მოემწყვდენ

მოლაპარაკებიდან არაფერი გამოდის

ბერლინი, 16 თებერვალი. უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში პოლონეთთან სავაჭრო მოლაპარაკების საწარმოებლად დანიშნულ დელეგაციის თავმჯდომარემ ლევალდმა განაცხადა, რომ ორი წლის განმავლობაში წარმოებულმა მოლაპარაკებამ სხვადასხვა აღძრულ საკითხებზე ერთი ნაბიჯიც ვერ წადგა წინ. პოლიტიკური წრეების აზრით,—პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება საბოლოოდ მოემწყვდა ჩიხში (ადს).

ავსტრიის კომპარტიის

გამარჯვება

ვენა, 16 თებერვალი. კლაგენფურტში (ავსტრია) შესდგა მუშათა კამერების არჩევნები. ავსტრიის კომპარტიამ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებმა საარჩევნო ტერორს მიმართეს, წინასწარი ცნობებით, მიიღო 655 ხმა. მუშათა კამერების წინანდელ არჩევნებში კლაგენფურტში კომპარტიას არ მიუღია მონაწილეობა (ადს).

იტალია აიარაღებს

ალბანეთს

ვენა, 16 თებერვალი. ბელგრადის გაზ. „პოლიტიკა"-ს ცნობით, იტალიის გემებმა იტალიიდან დურაცოში შეიტანეს იარაღი და ამუნიცია. ამ მოკლე ხანში ალბანეთში მოელიან იარაღის დიდ ტრანსპორტს იტალიიდან (ადს).

გერმანიის იმპერიალიზმი

ი ღ ვ ი ძ ე ბ ს

ბერლინი, 16 თებერვალი. 14 თებერვალს მოხდა შტრეზემანის შეხვედრა მუსოლინითან. ფიქრობენ, რომ გერმანიის და იტალიის მთავრობამ დასდეს საიდუმლო ხელშეკრულება გაერთიანებულ დიპლომატიურ გამოსვლების შესახებ. (ადს).

ამხ. კაშენის დაპატიმრება

„დემოკრატიული" წესები.

პარიზი, 16 თებერვალი. საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტური დეპუტატი კაშენი რუმინეთში გაემგზავრა, სადაც იგი მოწმედ გამოვა ბორის სტეპანოვის და სხვ. პროცესზე. გზაში კაშენი რამოდენიმე საათით დააპატიმრეს ბაზელში (შვეიცარია), რის შემდეგაც გაგზავნეს უკან პარიზის მიმართულებით. ამის გამო კაშენმა შესცვალა მარშრუტი და რუმინეთში გერმანიით გაემგზავრა (ადს).

მიწისძვრა

კამჩატკაზე.

ტოკიო, 16 თებერვალი. ტოკიის ობსერვატორიამ აღნიშნა ძლიერი მიწისძვრა კამჩატკის რაიონში, რომელიც დაიწყო 14 თებერვლის ღამის 1-ლ საათზე და გაგრძელდა 4 ნახევარი საათის განმავლობაში. ჩრდილოეთ იაპონიაშიაც ჰქონდა ადგილი სუსტ მიწისძვრას, მაგრამ მსხვერპლი არ მოჰყოლია (ადს).

სამხრეთ-სლავიაში.

ვენა, 16 თებერვალი. მიწისძვრისაგან დაღუპულთა რიცხვი ბოსნიაში, ჰერცეგოვინაში და დალმაციაში შეადგენს 600 კაცს. დაჭრილია რამოდენიმე ათასი კაცი (ადს).

ტიფი ბესარაბიაში

ვენა, 16 თებერვალი. პარტახტიანი ტიფის ეპიდემია ბესარაბიაში უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელდა, რის გამო ხელისუფლება იძულებული გახდა კარანტინი გამოეცხადებინა მთელ რიგ სოფლებში. გაზეთების ცნობით, ბესარაბიის მოსახლეობას აკლია საექიმო დახმარება და სანიტარული ღონისძიებანი ვერ არის დამაკმაყოფილებელი (ადს).

კულიჯის წინადადების

გ ა რ შ ე მ ო

იტალია და კულიჯის წინადადება

რომი, 16 თებერვალი. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობის პასუხი კულიჯის მიერ საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ წამოყენებულ წინადადებაზე, იქნება უარყოფითი. (ადს).

კელლოგი

შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრი

ვაჭრობა გერმანიასთან

ი ზ რ დ ე ბ ა

ბერლინი, 16 თებერვალი. 1926-27 წლის პირველ კვარტალში საბჭოთა კავშირის ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის ბრუნვა გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით, გაიზარდა—16.388.00 მარკით (ადს).

საქართველოს ეროვნული

საკავშირო ცაკის სესია

კერძო თათბირი

მოსკოვი, 17 თებერვ. 16 თებერვალს საღამოთი ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა კავშირის ცაკის წევრთა კერძო თათბირი. თათბირმა მოისმინა ამხ. მილიუტინის მოხსენება და ამხ. ხვიდერსკის თანამოხსენება მიწადმოწყობის შესახებ. მომხსენებელმა და თანამომხსენებელმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია საერთო - საკავშირო კანონის შემუშავება, რომელიც მოაწესრიგებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საერთო საკითხებს მიწადმოწყობის დარგში. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ანტონოვ-სარატოვსკიმ და აგრეთვე კერძო თათბირის წევრებმა. (ადს).

ამხ. ენუქიძის მოხსენება

მოსკოვი, 17 თებერვალი. 17 თებერვალს ეროვნებათა საბჭოს და საკავშირო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ენუქიძის მოხსენება იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც მიღებული იყო მთავრობისაგან და ეხლა დამტკიცებული უნდა იქნენ ცაკის მესამე სესიის მიერ.

„მრეწველობის დარგში—სთქვა ამხ. ენუქიძემ,— მეტად მნიშვნელოვანი კანონია გამოცემული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, რადგან სახელმწიფო არავითარ საშუალებებს არ ზოგავს ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის. საჭიროა, რომ თვითეული კაპეიკი დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყველა ორგანოები წინასწარ ადგენდენ სააღმშენებლო გეგმებს და სწორად იყენებდნენ მიღებულ თანხებს. აი ამას ითვალისწინებს გამოცემული კანონი.

მეორე კანონი, რომელიც დაკავშირებულია სამრეწველო მშენებლობის საკითხებთან, მიზნად ისახავს ამუშავებულ წარმოებების და ექსპლოატაციის გარეშე დარჩენილ ქონების ყოველ მხრივ გამოყენებას.

გამოცემულია აგრეთვე რამოდენიმე კანონი სასოფლო-მეურნეობის საკითხების შესახებ; ისინი გულისხმობენ სახელმწიფო მიწის ფონდის ნაწილის დასამუშავებლად გადაცემის დაჩქარებას იმ გუბერნიებში, სადაც მიწის ნაკლებობაა. დიდი მნიშვნელობა აქვს კანონს იმ შეღავათების შესახებ, რომელიც ეძლევა გლეხობას მიწადმოწყობის და გადასახადის საქმეში.

აღსანიშნავია აგრეთვე კანონი, რომელიც შეიცავს იმ პირთა დაბეგვრის წესებს, რომელნიც შინა-მრეწველობის დარგში მუშაობენ სოფლად. კანონის მიზანია შინა-მრეწველობის დარგში მომუშავე მცირე მიწის მქონე გლეხების მდგომარეობის შემსუბუქება და შინა-მრეწველობის განვითარების წაქეზება.

ბევრი რამ გააკეთა საკავშირო კანონმდებლობამ საბჭოთა მშენებლობის დარგში. საკმარისია მიუთითოთ იმ ღონისძიებებზე, რომელნიც მიღებულ იქნენ საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. დაარსებულია ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო გადარჩევის პროცესში; ის გავლენას იქონიებს აგრეთვე საბჭოებში არჩეულთა შორის მუშაობის განაწილებაზე, საბჭოების და მათი ამომრჩევლების სწორი ურთიერთობის დამყარებაზე და საბჭოების მუშაობაზე, კონტროლის აღდგენაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიუროკრატიზმთან გადამჭრელი ბრძოლის წარმოებისათვის. რაც ჩვენ გადაუდებელ ამოცანად გვაქვს დასახული.

ამხ. ენუქიძე შეჩერდა აგრეთვე მთელ რიგ სხვა კანონებზე და სესიას მოახსენა ახალი დანიშვნების და მუშაკების გადაყენების შესახებ. რაც უნდა დამტკიცებულ იქნას სესიის მიერ.

(ცაკის სესიამ დაამტკიცა სესიებს შორის მიღებული კანონები და ახალი დანიშვნები და გადაყენებანი. (ადს).

შოპენის კონკურსის შემდეგ

მოსკოვი. 17 თებერვ. პიანისტები ბრიუშკოვი და გინსბურგი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ვარშავაში გამართულ შოპენის საერთაშორისო კონკურსზე, დაბრუნდნენ მოსკოვში. კონკურსის შემდეგ პიანისტებმა გამართეს ვარშავაში კონცერტები, რომლებსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, გინსბურგი მოწვეულია ვარშავაში კიდევ მთელ რიგ კონცერტებზე.

ბრიუშკოვმა, რომელმაც ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია კონკურსზე, მიუხედავად იმისა, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია ფინალურ საკონკურსო კონცერტზე, მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი.

ობორინი და შესტაკოვიჩი ამჟამად გერმანიაში არიან. ობორინს პოლონეთის პრეზიდენტმა აჩუქა ოქროთი მოჭარგული როიალის გადასაფარებელი.

პოლონელი პიანისტი შპინალსკი, რომელმაც კონკურსზე მეორე პრემია მიიღო, სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორ კიპჩას. (ადს.)

სხვადასხვა

გრიპი ინგლისში

ლონდონი, 16 თებერვ. უკანასკნელი კვირის განმავლობაში სიკვდილიანობა გრიპის ეპიდემიით ინგლისში შემცირდა. ლონდონში და ინგლისის 105 მსხვილ ქალაქში უკანასკნელი კვირის განმავლობაში გრიპით გარდაიცვალა 759 კაცი, წინა კვირაში კი 818 კაცი. (ადს).

იემენის იმამის არმიის რეორგანიზაცია

ანგორა, 1? თებერვალი. არაბეთიდან იტყობინებიან, რომ ხოდეიდაში ჩაიყვანეს იტალიელი სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ იემენის იმამის არმიის რეორგანიზაციაში (ადს).

„სავოიას" გაფრენა

რომი, 15 თებერვალი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „დღეს დილით ელმის (სარდინია) სამხედრო აეროდრომიდან გამოფრინდა დიდი ჰიდროაეროპლანი „სავოია", რომელიც გადაფრინდება ატლანტის ოკეანეზე".

არგენტინელ რევოლიუციონერების დაპატიმრება

პარიზი, 1? თებერვალი. არგენტინის მთავრობის მოთხოვნით, პარიზში დააპატიმრეს არგენტინელი რევოლიუციონერები ასკაზო, დურუტტი და ჟუვერი. დაპატიმრებულებმა გამოაცხადეს შიმშილობა და მოითხოვდენ განთავისუფლებას. (ადს).

აღმოსავლეთი

ბავშვების დაწვა

საფრანგეთის კოლონიების ცხოვრებიდან

ერთმა ფრანგმა ბურჟუაზიულმა მწერალმა დასტამბა წერილი, რომელშიც აღწერს თავის შთაბეჭდილებებს კონგოში (საფრანგეთის კოლონია ცენტრ. აფრიკაში) მოგზაურობიდან. ფრანგ კომუნისტების ორგანოში — „ლიუმანიტეში" მოყვანილია საინტერესო ნაწყვეტი ამ წერილიდან, რომელშიც მეტად ნათლად არის დასურათხატებული საფრანგეთის კოლონიალური ადმინისტრაციის მოპყრობა ადგილობრივ მოსახლეობისადმი. აი ეს ნაწყვეტი:

„... ბოდას ოლქის გუბერნატორმა სერჟანტი იემბი სამი ჯარისკაცის თანხლებით გაგზავნა სოფ. ბოდემბერში მოსახლეობის დასასჯელად. გუბერნატორის რისხვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ სოფლის მცხოვრებლებმა უარი სთქვეს თავისი ქოხმახების გადატანაზე სხვა ადგილას. გლეხებმა — ზანგებმა ვერ დასტოვეს თავისი ნათესები, რადგან კარგათ იცოდენ. რომ მათ მოსავალსაც და მიწებსაც დაეპატრონებოდენ ფრანგები. ამიტომ მათ არ შეასრულეს ბრძანება ქოხების გადატანის შესახებ. აი როგორ დასაჯეს ისინი ასეთი ურჩობისათვის:

გზაში სერჟანტ იემბს თითეული სოფლიდან მიჰყავდა ორი-სამი კაცი. ბოდემბარში მან მძევლად წაიყვანა 12 კაცი. ყველა მძევლები მიაკრეს ხეზე და დახვრიტეს. ამის შემდეგ დაიწყო მცხოვრებლების ჟლეტა. ხუთი ძუძუმწოვარა ბავშვი ჩაჰკეტეს სარდაფში, სადაც შემდეგ ჩაჰყარეს ანთებული ჩალა".

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სცენას აღწერს ბურჟუაზიული მწერალი.

ოსმალეთის ახალი

სახელმწიფო ღერბი



სახელმწიფო ღერბის ამ პროექტმა ოსმალეთის მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში პირველ ჯილდო მიიღო

ღამის ცნობები

უმუშევართა დემონსტრაცია ვარშავაში

ვარშავა, 17 თებერვალი. ვარშავაში ამას წინათ თავი მოიკლა უმუშევარმა ლევიცკიმ, რომლის დასაფლავებამ ვარშავის უმუშევართა ფართო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. დემონსტრაცია გაემართა სადგურისაკენ, სადაც იმყოფებოდა პოზნანში მიმავალი პრეზიდენტი მოსციცკი. პოლიციამ არ მიუშვა დემონსტრანტები სადგურის მახლობლად. დემონსტრანტებს შორის ბევრი დააპატიმრეს. (ადს).

კაშენი გაემგზავრა ბუქარესტში

ვენა, 17 თებერვალი. საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტი—დეპუტატი კაშენი ჩავიდა ვენაში, საიდანაც გაემგზავრა ბუქარესტში. ბუქარესტში კაშენი დაესწრება მოწმეთ ბორის სტეფანოვის პროცესს. კაშენის პასპორტზე შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, იმ ნიშნებს გარდა, რომლებიც მოწმობენ კაშენის გადასახლებას შვეიცარიის საზღვრებიდან, აღნიშნეს მთელი რიგი პირობითი ნიშნებისა. (ადს).

რეფორმისტები გაფიცვის წინააღმდეგ

ბერლინი, 17 თებერვალი. სამედიატორო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საკითხი შრომის პირობების შესახებ, შუა გერმანიის ოლქისათვის, გამოიტანა დადგენილება, რომელიც დღემდე არსებულ 54 საათის სამუშაო კვირას სავალდებულოდ აცხადებს ლითონის მრეწველობაში.

მეტალისტების კავშირის შუაგერმანიის ოლქის ორგანიზაციის რეფორმისტულმა გამგეობამ უარჰყო მუშების წინადადება გაფიცვის გამოცხადების შესახებ და აუკრძალა მეტალისტების კავშირს 8 საათის გასვლის შემდეგ მუშაობის შეწყვეტისაკენ მოწოდება.

ჰალეში გაიმართა მეტალისტების მასიური მიტინგი, რომელმაც გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია საოლქო ორგანიზაციის გამგეობის პოზიციის წინააღმდეგ და დაადგინა, რომ მიუხედავად გამგეობის წინადადებისა არ იქნეს დაშვებული ზედმეტი საათების მუშაობა წარმოებებში (ადს).

პოლონეთის ციხეები სავსეა

ვილნო, 16 თებერვალი. ვილნოს ციხე ლუკიშკი სავსეა დაპატიმრებულ ბელორუსებით (ადს).

ეროვნული ბლოკის „მუშაობა"

პარიზი, 16 თებერვალი. სენატმა დანიშნა კომისია იმ ბოროტმოქმედებათა გამოსაკვლევად რომლებიც ჩადენილ იქნა ბელფორში სენატის დამატებითი არჩევნებზე ამ წლის დასაწყისში. გამოირკვა, რომ ეროვნული ბლოკის კანდიდატმა ბოიარმა მოისყიდა ამომრჩევლები (ადს).

აფეთქება

ანგორა, 16 თებერვალი. სახელმწიფოს ვაზნების ქარხანაში მოხდა აფეთქება, რომლის დროს მოკვდა 2 და დაიჭრა 13 მუშა (ადს).

ამხ. როზენგოლცი ჩემბერლენთან

ლონდონი, 16 თებერვალი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ინგლისში ამხ. როზენგოლცმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი ჩემბერლენი (ადს).

ბელორუსი დეპუტატები ციხეში.

ვარშავა. 17 თებერვალი. პოლონეთის პრესა იტყობინება, რომ ბელორუს დეპუტატების გადაყვანამ პოზნანის ციხეში, რომელიც ცნობილია თავის მკაცრი რეჟიმით, ბელორუსთა წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია (ადს).

ძირს პოლიციელების თვითნებობა.

ვენა, 16 თებერვალი. 15 თებერვალს მუნგრეთის დეპუტატთა პალატის სხდომის დროს, დარბაზის ქანდარიდან გადმოყარეს სოციალისტური მუშათა პარტიის ფურცლები, რომელზედაც დაბეჭდილი იყო: „ემზადეთ ახალი ბრძოლისათვის! ძირს პოლიციელების თვითნებობა!"

ფურცლების გადმყრელი მუშა ზეევი, რომელიც მაყურებელ ხალხში ერია, დააპატიმრეს (ადს).

საზამთრო სპორტის დღესასწაული.

ლენინგრადი, 17 თებერვალი. 18 თებერვალს ლენინგრადში დაიწყება საზამთრო სპორტის სრულიად საკავშირო დღესასწაული. დღესასწაულზე დასასწრებლად კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვიდა 425 ფიზკულტურელი.

ჩამოვიდა აგრეთვე ფინეთის სასპორტო გუნდი (ადს).

პოლონეთის დელეგაციის დაბრუნება.

ვარშავა, 17 თებერვალი. ბერლინიდან ვარშავაში ჩამოვიდა პოლონეთის დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ (ადს).

ჯაშუშის მოკვლა.

ვარშავა, 17 თებერვალი. დომბროვის სანახშირო რაიონში მოკლულია ოხრანკის აგენტი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც კომუნისტების შესახებ ცნობების მიმწოდებელი (ადს).

სასიკვდილო განაჩენი გააუქმეს.

ვარშავა, 17 თებერვალი. პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ტარნოპოლის სასამართლოს მიერ კომუნისტ პილონის შესახებ გამოტანილი სიკვდილის განაჩენი (ადს).

უმუშევრებს დახმარებას უსპობენ.

ბერლინი, 17 თებერვალი. გერმანიის ახალ ბიუჯეტში სრულებით არ არის გათვალისწინებული უმუშევართა დასახმარებლად თანხების გაღება აპრილის შემდეგ, ვინაიდან განზრახულია უმუშევართა დაზღვევის კანონის გამოცემა, რომლითაც უმუშევართათვის დახმარების გასაწევი ხარჯები დაეკისრება თვით მუშებს და მწარმოებლებს (ადს).

საბჭოთა კავშირში

პურის სარეკორდო ექსპორტი

მოსკოვი, 17 თებერვალი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში „ექსპორტხლებ"-ის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ხლოპლიანკინმა პურის ექსპორტის კამპანიის შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„მიმდინარე კამპანიის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში პურის ექსპორტი სარეკორდოდ შეიძლება ჩაითვალოს რევოლიუციის შემდგომ წლებთან შედარებით. ამ პერიოდში ჩვენ გავზიდეთ 131 მილ. ფუთზე მეტი, შარშან კი გაზიდული იყო 90 მილ., 1924 წელს—103 მილ. ფუთი. ექსპორტის გადიდება ხდებოდა უმთავრესად სასურსათო კულტურების, კერძოდ, ხორბლის გაზიდვის გაძლიერების ხარჯზე. ხორბლის, როგორც ყველაზე უფრო ძვირფასი კულტურის, გაზიდვით ჩვენ საშუალება გვეძლევა უცხოეთის ვალიუტის მეტი რაოდენობა მივიღოთ. ეხლანდელი კამპანიის დროს ევროპის მსოფლიო ექსპორტში ჩვენი ხორბლის მონაწილეობა უდრის დაახლოვებით, 9 პროცენტს, შარშან უდრიდა—6 პროცენტს, ჭვავის მონაწილეობა უდრის 46 პროცენტს, შარშან უდრიდა 29 პროცენტს.

მიმდინარე კამპანიის დროს ჩვენ პური გაგვქონდა 17 სახელმწიფოში, ამასთანავე გავაახლეთ პურის გაყიდვაა ტუნისში და ალჟირში. ჩვენ მარცვლეულის იმპორტით ევროპის ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ გერმანიას და ჰოლანდიას. შემდეგ მიდიან რიგრიგობით ინგლისი, იტალია და დანია.

პურით ვაჭრობისათვის კრედიტების მიღების დარგში ჩვენ გვქონდა მიღწევები. გაიზარდა ამ კრედიტების რაოდენობა და იმ ქვეყნების და ჯგუფების რიცხვი, რომლებიც ფინანსებს გვაძლევენ.

პურის ექსპორტის კამპანიის მეორე ნახევრის პერსპექტივები დამოკიდებულია პურის შინაურ ბაზარზე, ჩვენს მოსავლიანობაზე და პურის საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურაზე. წლის მეორე ნახევრის მსოფლიო კონიუნქტურას ახასიათებს სარეკორდო მოსავლიანობა ავსტრალიაში, არგენტინაში და კანადაში. ასეთ პირობებში შესაძლოა მსოფლიო ბაზარი გაივსოს საექსპორტო მარცვლეულით, რამაც შეიძლება ფასების ერთგვარი დაკლება გამოიწვიოს".

დასასრულ ამხ. ხლოპლიანკინმა მიუთითა იმაზე, რომ პურის დამზადების ორგანიზაციული ფორმების მოწესრიგების და ზოგიერთ მიღწევების წყალობით ზედნადები ხარჯების შემცირების დარგში, მეტ წილ კულტურების ექსპორტები წელს მომგებიანია (ადს).

ტრაქტორების გაყიდვის წესი

მოსკოვი, 17 თებერვალი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა ტრაქტორების გაყიდვის წესი მიმდინარე წლისათვის, რომლის თანახმად ტრაქტორები უნდა მიეყიდოს მხოლოდ სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებებს, გლეხების კოლექტივებს, სასოფლო-სამეურნეო არტელებს და სამანქანო და მელიორატიულ ამხანაგობებს.

კერძო პირებზე ტრაქტორების გაყიდვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული. როგორც საერთო წესი, ყიდვის დროს შეტანილ უნდა იქნეს ბეი 25 პროცენტი. დანარჩენი თანხა განაწილებულ უნდა იქნეს სხვადასხვა ვადით მეორე მოსავლამდე. ღარიბთა გაერთიანებებს უნდა მიეცეთ შემდეგი შეღავათი: ბე შეუმცირდებათ 5 პროცენტამდე, ხოლო დანარჩენ თანხას იხდიან სხვადასხვა ვადაზე მესამე მოსავლამდე. მიმდინარე წლის განმავლობაში ტრაქტორები უნდა გაიყიდოს ყველა თავისი მოწყობილობებით, ე. ი. სათადარიგო ნაწილების კომპლექტით, სახნისით და სხვ.

ყოველმა ორგანიზაციამ, რომელსაც სურს ტრაქტორის ყიდვა, ამის შესახებ მოწმობა უნდა აიღოს სათანადო საადგილმამულო სამართველოდან, ხოლო ორგანიზაციას უფლება არა აქვს ნაყიდი ტრაქტორი სხვას მიჰყიდოს თუ ორგანიზაციამ ვერ შესძლო ტრაქტორის ტეხნიკურად გამოყენება. საადგილმამულო სამართველოს უფლება აქვს იგი ჩამოართვას მას ფასის გადახდით. თუ ტრაქტორის მყიდველმა ორგანიზაციამ ბოროტი განზრახვით არ მოინდომა ტრაქტორის ფასის თავის დროზე გადახდა, მას ტრაქტორი ჩამოერთმევა და გადაეცემა უფრო კეთილსინდისიერ ორგანიზაციას (ადს).

ტრესტების გაერთიანება

მოსკოვი, 17 თებერვალი, რ. ს. ფ. ს. რ. ს. მ. უ. ს. პლენუმმა 17 თებერვალს მოისმინა მოხსენება ტრესტებისა და სამრეწველო წარმოებათა გაერთიანების შესახებ. ს. მ. უ. ს. ქვემდებარე 497 ტრესტიდან და 1.211 წარმოებიდან 525.000 მუშით, მხოლოდ 42 ტრესტს ჰყავს სამ-სამი ათას მუშაზე მეტი. ტრესტების ეს ჯგუფი აერთიანებს 228 ქარხანას, სადაც დაბანდებულია 246.000 მუშა. ესაა უმთავრესად საფეიქრო, ცემენტის, ფაიფურის და მეტალურგიული ტრესტები.

დანარჩენი 455 ტრესტი ხასიათდება მეტად მაღალი თვითღირებულებით, პროდუქციის მაღალი ფასებით და ცუდი ღირსებით, უგეგმო აღმშენებლობით, ტეხნიკური ჩამორჩენილობით და მთელი რიგი სხვა დეფექტებით. ტრესტების ეს მასსა მინდობილია თავის-თავზე და მათზე არ ხერხდება რაიმე ზეგავლენა გეგმიანობის და წესრიგის შესატანად.

მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა გაძნელდეს ამჟამად მდგარი ამოცანა—ტრესტების გაერთიანების შესახებ, ის პრაქტიკულად უნდა იქნეს განხორციელებული უახლოეს ხანში. ტრესტების გაერთიანების ერთ-ერთი ვარიანტით, აქედან მომჭირნეობა მარტო მმართველ აპარატზე გაწეული ხარჯებიდან უდრის 40 პროცენტს, ანუ ხარჯები მცირდება თითქმის ორჯერ (ადს).

გეოლოგიური კომიტეტის ა.-კ. განყოფილება

მოსკოვი, 17 თებერვალი. 17 თებერვალს სამთამადნო მრეწველობის უფროსმა დირექტორმა ამხ. კისელნიკოვმა ადს-ის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ ამჟამად სრულიად საკავშირო გეოლოგიურ კომიტეტში საბოლოოდ გადაწყდა, რომ მიმდინარე წელში შეიქმნას გეოლოგიურ კომიტეტის სპეციალური განყოფილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამთო საქმის საჭიროებისთვის. ეს განყოფილება იქნება თბილისში, ხოლო ახლო კავშირის გასაბმელად აზერბეიჯანის და სომხეთის სახ. მიურ. უმაღლ. საბჭოებთან განზრახულია რწმუნებულებისა და განყოფილებების ყოლა ბაქოსა და ერევანში.

ამხ. კისელნიკოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ბუნებრივი სიმდიდრეების არსებითად შესწავლა თავის თავად მოითხოვს გარკვეულ თანმიმდევრობას, რასაც საკმაოდ დიდი დრო უნდა, ამიტომ მოსალოდნელი არ არის ამ უახლოეს 3-5-7 წელში რაიმე მნიშვნელოვან სამთო სამრეწველო წარმოებების შექმნა.

ამგვარად რეალური შედეგების მისაღებათ საჭირო არის გაძლიერებულ იქნეს ამიერ-კავკასიაში მდებარე მადნეულობის ბუდობების სამრეწველო ექსპლოატაცია, სადაც ექსპლოატაცია უკვე დაწყებულია, მაგრამ მეტად მცირე მასშტაბით და სადაც მადნეულობის მარაგი დიდია. ასეთია, მაგალითად, სპილენძის, მარგანეცის, რკინის, გოგირდის ალმადანის, ბარიტის, გლაუბერის და სახმარებელი მარილი ბუდობები და სხ.

ა.-კ გეოლოგიური კომიტეტის ამოცანას შეადგენს აგრეთვე ამიერ-კავკასიის გეოლოგიური შესწავლა და ამის შესახებ დაგროვილი მასალის კრიტიკა.

ადგილობრივ საქმეებთან უფრო დაახლოების გაცნობის მიზნით თებერვლის ბოლოს, ან მარტის პირველ რიცხვებში, ა.-კავკასიაში გაემგზავრება საკავშირო გეოლოგ. კომიტეტის დირექტორი.

საძოვრების საკითხი ამიერ-კავკასიაში

(შრომისა და თავდაცვის საბჭოს სპეციალური კომისიის წევრების მოხსენება ა.-კ. საგეგმო კომისიაში)

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დანიშნული იყო სპეციალური კომისია ამიერ-კავკასიაში საძოვრებისა და მომთაბარეობის საკითხის შესასწავლად. კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ, კომისიის წარმომადგენელმა ამხ. ავდეევმა მოხსენება გააკეთა ა.-კ. საგეგმო კომისიაში და აღნიშნა, რომ კომისიის ძირითად მიზანს შეადგენს ამიერ-კავკასიაში ბამბის ხეთეს მიწის ნაკვეთების მოსარწყავად შესაფერისი პროექტების შედგენა. აღნიშნული სამუშაოს ჩასატარებლად კომისიას აუცილებლად მიაჩნია სტატისტიკურ-ეკონომიური ცნობების დამუშავება იმ რაიონების შესახებ, სადაც განზრახულია სარწყავი სისტემების მოწყობა.

შრ. და თავდაცვის საბჭოს კომისიამ უკვე დაასრულა მუღანის ველის შესწავლა და ამჟამად აწარმოებს მილის, ყარაბახის და შირვანის ველების შესწავლას.

აღნიშნული ველების მოსარწყავად საჭირო გახდება ამ ველებზე არსებული მეურნეობის სრული გადახალისება და მოსახლეობის გადაყვანა მუდმივ მობინადრეების პირობებზე, რითაც შესაძლებელი გახდება ბამბის კულტურის განვითარება, ან და მესაქონლეობის განვითარება, ისე რომ იგი გახდეს მთელი მოსახლეობის მთავარ მოსაქმეობათ.

თავის მუშაობას კომისია დაამთავრებს 1-ლი მაისისათვის. დღემდე შესწავლილია და აღრიცხულია 550 მომთაბარეთა მეურნეობა. მიღებულ მასალებით შეიძლება ითქვას, რომ მესაქონლეები ძალიან ხშირად ყოფილან დაბეგრილი სხვადასხვა გადასახადებით, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მესაქონლეებს. საძოვრები, რომელშიაც მომთაბარენი გადასახადებს იხდიან ოფიციალურად შეადგენს ადგილობრივად მუდმივი მობინადრეების საკუთრებას, ხოლო ფაქტიურად საძოვრებით სარგებლობენ მომთაბარენი და ისინი იხდიან ამ გადასახადებს მუდმივი მობინადრეების სასარგებლოდ.

ავდეევმა აღნიშნა აგრეთვე, რომ კომისია აწარმოებს სანიტარული პირობების გამოკვლევასაც. საზაფხულო საძოვრების (იაილაღების) საკითხი კომისიას არ შეუსწავლია, მაგრამ თუ მისი მუშაობა გაგრძელდა 1 მაისის შემდეგ, იგი შეისწავლის აგრეთვე საზაფხულო საძოვრების საკითხსაც.

ამხ. პრედტეჩენსკიმ შეავსო ამხ. ავდეევის მოხსენება. მან განაცხადა, რომ მორწყვის უახლოესი პროგრამა ნავარაუდევია 4 წლით და ეხება მხოლოდ მტკვრისა და არაქსის რაიონს ამიტომ გამოკვლევა ეხება მხოლოდ მუღანისა და შირვანის ველს.

როცა კომისია დაამთავრებს მუშაობას, მას შეუძლია სთქვას, თუ რამდენად რაციონალურია მეჯოგეობის არსებული ფორმები. მაშინ შეიძლება დასკვნის გამოყვანა: უნდა განვავითაროთ მეჯოგეობის ინტენსიფიკაციის ფორმები, თუ უნდა შევუდგეთ მეურნეობის რეკონსტრუქციას—განვავითაროთ სასოფლო-მეურნეობის მცენარეულობის კულტურა და ამ მეურნეობებს მივსცეთ მობინადრე ხასიათი.

შრომისა და თავდაცვის კომისიას ალბად მუშაობის წარმოება მოუხდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მეზობლების სხვა რაიონშიაც (საქართველოში და სომხეთში).

ამხ. ვასილევსკიმ აღნიშნა, რომ მომთაბარეობის საკითხი აუცილებლად სრული ხასით უნდა იქნას შესწავლილი.

ამხ. კასიანმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის [illegible] მოეწყო კომისია, რომელიც მომთაბარეობის საკითხს შეისწავლის. ამიერ-კავკასიის მთავრობის ორგანოების წინაშე აუცილებლად უნდა დაისვას გამოკვლევის პროგრამის და საშუალებათა საკითხი.

ამხ. იაშინსკი ამბობს, რომ მომთაბარეთა მეურნეობის საკითხი შესწავლილი არაა. ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნას არა მარტო აზერბეიჯანის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოკვლევითი მუშაობა მეტად მნიშვნელოვნად ცნო შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად.

კომისიის მუშაობა, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით. ამიერ-კავკასიის მომთაბარე მეურნეობათა საერთო გამოკვლევის მხოლოდ ნაწილია.

ამიერ-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიამ აუცილებლად ცნო, რომ საკითხი საძოვრების შესახებ დაისვას საერთო ხაზით და გამოყენებულ იქნას შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის მუშაობის შედეგები. საგეგმო კომისიამ დაადგინა, იშუამდგომლოს ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რომ ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებული საძოვრების საკითხის შემსწავლელ კომისიაში განხილულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი და გამოძებნილ იქნეს თანხები იმისათვის, რომ შრომისა და თავდაცვის კომისიის მიერ დაწყებული მუშაობა გაგრძელდეს მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

ამიერ-კავკასიის ცაკის კომისიაში უნდა იქნას შეყვანილი შრომისა და თავდაცვის, რესპუბლიკანური სახ. კომისართა საბჭოების და დაინტერესებულ დაწესებულებათა კომისიების წარმომადგენლები.

საბჭოთა დემოკრატიზმი და ამხ. არაბ-ოღლის „ფილოსოფია"

ამხ. არაბ-ოღლი პასუხისმგებელი სამაზრო პარტმუშაკია—მას ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში დაუმთავრებია კურსი უკეთებს ანალიზს ბარალეთის თემში (ახალ ქალაქის სამაზრო კომიტეტი) არჩევნების ცუდათ ჩატარებას. ის თავის წერილში პარტიის სამაზრო კომიტეტისადმი ამის გამო აკეთებს ისეთ დასკვნებს, რომლებზედაც უადგილო არ იქნება აქ შევჩერდეთ, რადგან ეს დასკვნები პირველ ყოვლისა, თავზარდამცემია, გარდა ამისა, ისინი არ არიან შემთხვევითი და აყენებენ ისეთ პრობლემებს, რომელნიც ძირს უთხრიან მუშათა და გლეხთა კავშირს, და რომელნიც მიათრევენ პარტიას უკან „სამხედრო კომუნიზმის ეპოქისაკენ".

რას გვეუბნებიან ამხ. არაბ-ოღლის აზრები, რომელნიც ბარალეთის მარცხმა წარმოშვა?

წინასწარ საარჩევნო კამპანიებს ატარებდნენ. კრებდნენ ღარიბ გლეხობას და არჩევდნენ კანდიდატებს. იმედი ჰქონდათ, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობა მხარს დაუჭერდა მათ კანდიდატებს.

„არჩევნები ტარდებოდა სრული 100-პროცენტიანი დემოკრატიით,—ზევიდან ყოველგვარი ბრძანებისა და გავლენის გარეშე, მაგრამ ღარიბმა გლეხობამ ხმა არ მისცა პარტიულ ამხანაგებს, ხოლო კომკავშირელებს კი ადამიანებადაც არ სთვლიან".

„გლეხობას ეშინია ორგანიზაციის", „მათ მოსმენაც კი არ უნდათ იმის შესახებ, რომ საჭიროა გამოსვლა კულაკებისა და შეძლებული გლეხობის წინააღმდეგ. გლეხობა მხარს უჭერს იმ პირებს, რომლის წინააღმდეგ იბრძვიან კომუნისტები". „ჩვენ კანდიდატებათ ვაყენებთ ახალგაზრდა ძალებს, ხოლო გლეხობა მათ ბალღებად სთვლის".

„კულაკებმა და მეფის დროს ნამსახურმა პირებმა აღიდგინეს თავის საარჩევნო უფლებები. კომუნისტები ამ მარცხის შემდეგ ერთგვარ დაბნეულობას იჩენენ".

„კომუნისტები განსაკუთრებით უკმაყოფილო არიან იმით, რომ ჩვენ აქ ზოგიერთი პირები შეგვყავს შავ სიებში,—გამოვდივართ სხვების თვალში ცუდ ადამიანებათ, ხოლო მთავრობა კი ყველა მათ უბრუნებს უფლებებს". აი ასეთია, მაგალითად, ამხ. არაბ-ოღლის აწერით, უნუგეშო სურათი ახალქალაქის მაზრის ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში.

ეჭვს გარეშეა, რომ ბარალეთის თემი არ არის გამონაკლისი, ერთად-ერთი შემთხვევა მაგრამ, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან?

ის დასკვნა ხომ არა. რომ ბარალეთის თემში მომხდარ შემთხვევის გამო პარტიამ უნდა შესცვალოს თავისი პოლიტიკური ხაზი საარჩევნო კამპანიაში?

რასაკვირველია, არა, მიყრუებული ჩამორჩენილი კუთხეები, როგორიც სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, წარმოადგენენ ერთეულებს. გამონაკლისს. საბჭოთა სოფელმა საერთოდ და, კერძოდ, ჩვენში, ამიერ-კავკასიის სოფელმა საერთო პარტიული დირექტივების მიხედვით გამოაშკარავა თავისი სახე საარჩევნო კამპანიაში. ღარიბი გლეხობის ორგანიზაციული დარაზმვა, მისი კავშირი საშუალო შეძლების გლეხურ მასებთან, კულაკების განმარტოება, პარტიული გავლენის ზრდა სოფლად—ფაქტია. არ შეიძლება ცალკე ნაკლის, ცალკე შემთხვევითი მარცხის განზოგადოება. ჩვენში ასეთი კუთხეებიც არის, სადაც არჩევნების დროს სოფლად ბრძოლა სწარმოებს არა კლასიური ფენების, არამედ ნათესაური ურთიერთობის ხაზის მიხედვით. ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა გადარჩევის ფართო და ღია კამპანია საბჭოთა დემოკრატიზმის საფუძველზე ჩატარდება ყველგან მწყობრად და კარგად,—იგი სცდება. ყველგან და ყოველ ალაგს კი არ არის ძლიერი პარტიული გავლენა, ყველგან კი არ არის მოწესრიგებული პარტმუშაობა, ორგანიზაციულად დარაზმული გლეხობა, ან ჩატარებული სათანადო კულტურული მუშაობა და სხვ. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კამპანიის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ გლეხობის ძირითადი მასების (ღარიბი და საშუალო გლეხობის) აქტივობა მოქცეულია საბჭოთა კალაპოტში. ეს ფაქტი რამოდენიმედ დაამტკიცა აგრეთვე მოსახლეობის ახლახან ჩატარებულმა აღწერამ. გლეხობის დამოკიდებულება აღწერისადმი გამოხატავდა მის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

რა გამომდინარეობს ამხ. არაბ-ოღლის ანალიზიდან?

გამომდინარეობს ის, რომ პარტიული მუშაობა ამ თემში დაყენებულია ძალიან ცუდათ, რომ იქ კომუნისტებს გავლენა არა აქვთ (თვით ამხ. არაბ-ოღლი სწერს, რომ „ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურად არიან პარტიის წევრები და ამით სურთ მხოლოდ ნახონ რაიმე სარგებლობა, იცავენ თავის საკუთარ და აგრეთვე თავის ახლობელ ნათესავთა ინტერესებს"), რომ ღარიბ გლეხთა შორის ვერ არის სათანადოთ მუშაობა ჩატარებული, რომ კულაკური გავლენა ამ თემში ძლიერია, თუ „მთავრობამ" კულაკებს აღუდგინა საარჩევნო უფლებები,—ეს, რასაკვირველია, არ ვარგა. საჭიროა შემოწმებულ იქნეს, რომელი „მთავრობა" აკეთებს ახალქალაქში ასეთ საქმეებს. საჭიროა ნაკლულოვანებები გამოსწორდეს. შეიძლება არჩევნების გაუქმებაც თემში, თუ იქ ბევრი რამ უკანონო მოხდა, საჭიროა გაძლიერდეს პარტიული მუშაობა, ხოლო სასოწარკვეთა და დაბნევა სულ მეტია. პარტიასა და ხელისუფლებას აქვს ყოველგვარი საშუალება და შესაძლებლობა, რომ აღმოფხვრას კულაკის მავნებლობა თვით ძალზე დაშორებულ და მიყრუებულ კუთხეშიაც კი.

საჭიროა მხოლოდ სერიოზულად გამოკვლეული და გამონახულ იქნეს იმ ურთიერთობის მიზეზები, რომელთაც ადგილი აქვთ ბარალეთის თემში.

მაგრამ მეტია უმართებულო, მავნე და ანტიბოლშევიკური დასკვნების გამოყვანა. ხოლო ასეთი პოლიტიკური დასკვნები გამოაქვს ამხ. არაბ-ოღლის.

როგორია ეს დასკვნები?

„ვაცხადებ გაბედულად,—სწერს ამხ. არაბ-ოღლი,—როდესაც ჩვენ ცენტრში ვყვირით საბჭოთა დემოკრატიისა და მბრძანებლობის შესახებ, ჩვენ ვეხებით მეტად ფართო „ჰორიზონტებს". ჩვენი გლეხობისათვის ეს პრინციპები არ გამოგვადგება, ჩემი აზრით, ჩვენ მეტად ფართოდ ვაღებთ დემოკრატიის კარებს და ანტისაბჭოთა ელემენტებს საბაბს ვაძლევთ დასცინონ ჩვენს ამხანაგებს და ჩვენს ორგანიზაციებს".

გამბედაობას, რასაკვირველია, აქვს თავისი ფასი. ამბობენ, რომ გამბედაობას შეუძლია ქალაქები დაიპყროს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. არაბ-ოღლის გამბედაობა არა თუ ვერ დაიპყრობს ქალაქებსა და სოფლებს, პირიქით, დაანგრევს და დაარღვევს ქალაქის და სოფლის კავშირს.

ამხ. არაბ-ოღლის მთელ „ფილოსოფიას" მივყევართ იმ აუცილებლობამდე. რომ დავუბრუნდეთ ბრძანებლობის სისტემას, ვინაიდან საბჭოთა დემოკრატიზმი უვარგისი და გამოუდეგარია ახალქალაქის მაზრის „ჰორიზონტებისათვის".

ასეა ყოველთვის. სადაც არ შეუძლიათ გავლენის მოხდენა და ხელმძღვანელობა, მასების წინ წაძღოლა, იქ უყვართ ბრძანებლობა, იქ მაუზერის სისტემის „დემოკრატიზმს" უპირატესობას აძლევენ საბჭოთა დემოკრატიზმის წინაშე. ვინ და სად დაამტკიცა, რომ ჩვენი პარტია „ფართოდ აღებს დემოკრატიის კარებს", აღებს ისე, რომ მასში თავისუფლად შედიან კულაკი, მენშევიკი, დაშნაკი და მუსავატელები? განა მთელი თავისი სიცხადით სულ წინააღმდეგი არ დაამტკიცა საარჩევნო კამპანიის მსვლელობამ?

ამხ. არაბ-ოღლის ერთი რამ ვერ შეუგნია. საბჭოთა დემოკრატია კი არ რიცხავს, არამედ პირველ რიგში გულისხმობს პარტიულ გავლენას და პარტიულ ხელმძღვანელობას, არა ბრძანებლობას, არამედ ხელმძღვანელობას. იქ, სადაც პარტიული ხელმძღვანელობა სუსტია, საჭიროა მისი გაძლიერება, რასაკვირველია. არა მაუზერით და კეტით.

ამხ. არაბ-ოღლის „ფილოსოფიას" ფარდა ეხდება, როცა ის შემდეგს სწერს:

„ჩვენ მეტად ვანებივრებთ (!!) გლეხობას... გლეხს უყვარს და პატივს სცემს (!!) მრისხანესა და მკაცრ ძალას (ხელისუფლებას), მხოლოდ ჩვენი კანონები კი მათ მეტად დიდ გასაქანს აძლევენ, საილუსტრაციოთ კმარა შემდეგი: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს არა აქვს უფლება დააპატიმროს ის პირი. რომელიც არღვევს წესრიგს და ალიაქოთს იწვევს საარჩევნო კრებაზე.

ასეთი „ფილოსოფია" ჩვენ მიგვათრევს არა თუ „სამხედრო კომუნიზმის" ეპოქისაკენ, არამედ ოქტომბრამდე არსებულ პერიოდისაკენ. ამხ. არაბ-ოღლი არა მარტო პანიკას შეუპყრია, მას პროლეტარიატის და გლეხობის ურთიერთობის საკითხებში პრინციპიალური ბოლშევიკური პოზიციებიც კი დაუტოვებია. ნუ შეეშინდება ამხ. არაბ-ოღლის ამ „საშინელი სტიქონების". შეიძლება კაცი შეცდეს, მაგრამ საჭიროა ამ შეცდომების მალე გამოსწორება. ჩვენ ვწერთ ამხ. არაბ-ოღლის წერილის შესახებ არა იმიტომ, რომ იგი პარტიის საზოგადოებრივი აზრის წინაშე „ოთხში ამოვილოთ", არამედ იმიტომ, რომ ამხ. არაბ-ოღლიმ და ყველა იმათ, ვინც მასავით აზროვნობს (ხოლო ასეთები კი ჩვენს წრეში მოიპოვებიან), გამოიტანონ სათანადო დასკვნები და გამოასწორონ თავიანთი პოლიტიკური შეცდომები.

მართლაც და, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის წინა დღით ძველი, რევოლიუციის წინადროინდელი აბდაუბდის გამეორება მის შესახებ, რომ გლეხს უმთავრესოთა და უწყალოდ გაძლება არ შეუძლია,—ეს ნიშნავს არა მარტო არაფრის შეგნებას ლენინიზმში, არამედ პარტიაში ეს გამოხატავს ისეთ განწყობილებას, რომელიც აბსოლიუტურად უცხოა მუშათა კლასის ავანგარდისათვის. ამხ. არაბ-ოღლის (იგი ლაპარაკობს არა კულაკებზე, არამედ გლეხობაზე მთლიანად) მსჯელობიდან გამოჟონა მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. მან, ბარალეთის მარცხის გამო, გადასწყვიტა გლეხობასთან ურთიერთობის ლენინური პოლიტიკის საჭე შეატრიალოს.

ამხ. არაბ-ოღლის წარმოდგენით, გლეხი „ზარმაცი, ანარქიული და ულტრამესაკუთრეა", რომელსაც „არ შეუძლია დამშვიდებული სინდისით უყუროს კომუჯრედს".

რატომ? იმიტომ, რომ კომუნისტები, რომელთაც სოფლად საბჭოთა აპარატში უჭირავთ ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობათ, იძულებული არიან „ხელი მოუჭირონ" გლეხობას.

რა გამოსავალია ასეთი „ტრაგიკული" მდგომარეობიდან?

ამხ. არაბ-ოღლის დასკვნა მარტივია: ხელი მოვკიდოთ კეტს, რომელიც, მისი აზრით, საუკეთესო ინსტრუმენტია „პროლეტარიატის გლეხობასთან შესაკავშირებლად".

ეს არის „პორაჟენცული" თვალსაზრისი, ამხ. არაბ-ოღლიმ ვერ შეითვისა პარტიული ხაზი საბჭოთა დემოკრატიზმის საკითხებში. მისი აზრით, დემოკრატიის ასი პროცენტი გულისხმობს პროლეტარიატისა და გლეხობის კლასიურ მტრებზე—კულაკებზე ძალადობის ყოველგვარ ელემენტების უარყოფას. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში,—ძალადობა გაბატონებული კლასის ხელში—იარაღია. ეს იარაღი სრულიადაც არ გულისხმობს საბჭოთა (პროლეტარულ) დემოკრატიის გამორიცხვას. კულაკობასთან ხელისუფლება ბრძოლას აწარმოებს.

მაგრამ არ შეიძლება ბარალეთის კულაკის გამტყუნება იმაში, რომ ამ თემში პარტიული მუშაობა ძალიან ცუდათ არის დაყენებული საკ. კ. პ. (ბ)-ის არც წესდებაში და არც პროგრამაში არსად არ არის ნათქვამი, რომ პარტიული მუშაობისათვის სოფლად პასუხისმგებელია კულაკი. ხოლო ანალიზის გაკეთება და დასკვნების გამოყვანა უნდა დავიწყოთ პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებიდან. ჩვენი კანონები სავსებით უზრუნველყოფენ პროლეტარულ გავლენას გლეხთა ფართო მასებზე. ეს კანონები ემყარებიან პროლეტარიატისა და გლეხობის შეკავშირების აუცილებლობას. მთელი უბედურება ის არის, რომ ყველგან არ შეუძლიათ სარგებლობა ამ კანონებით. უბედურება ის არის, რომ კომუნისტებს ყველგან არ შესწევთ უნარი მოახდინონ პროლეტარული გავლენა გლეხობაზე. ყველაფერი ეს აუცილებელია. ჩვენი სოფლის კულტურული დონე ჯერ კიდევ დაბლა სდგას. ჩვენში არის ისეთი კუთხეები, სადაც ჯერ კიდევ დაცული არიან წინაკაპიტალისტური ურთიერთობანი. სიძნელეები იმაზე მეტია მაგრამ ამ სიძნელეებმა შიში და ძრწოლა არ უნდა გამოიწვიოს, არ უნდა წარმოშვან დაცემულობის, სასოწარკვეთილების არაბოლშევიკური ფილოსოფია, რომელსაც ასე მშვენივრად გამოხატავს ამხ. არაბ-ოღლის წერილი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამხ. არაბ-ოღლი და ყველა ისინი, რომელთაც მსგავსი აზრები დაებადათ, მალე გამოასწორებენ თავიანთ შეცდომას და შეითვისებენ პარტიულ ხაზს პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის საბჭოთა დემოკრატიზმის და სხვ. საკითხებში.

მეტი თავდაჭერა, ნაკლები პანიკა.

ბარალეთის ისტორიას არა თუ მასიური ანალოგია აქვს ამიერ-კავკასიასა და საბჭოთა კავშირში, არამედ იგი გამონაკლისია თვით ახალქალაქის მაზრაშიაც.

რუბენ.

საბჭოთა არჩევნები

მშრომელი ინტელიგენტები ახალ საბჭოში

საარჩევნო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. არჩევნების წინასწარი სამზადისი თითქმის ყველგან დასრულებულია და სწარმოებს დეპუტატების არჩევა ახალ საბჭოებში. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საერთოდ სწორათ შეითვისეს პარტიის ხაზი. ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა შეკავშირებული გამოდის არჩევნებში და საბჭოებშიაც თავიანთი კანდიდატები გაჰყავთ.

მაგრამ არის კიდევ სოფლად მშრომელი გლეხობის მოკავშირე ძალა. რომელსაც არჩევნების დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ესაა ინტელიგენცია, რომელიც მნიშვნელოვან კულტურულ ძალას წარმოადგენს სოფლად. საბჭოებში მშრომელ ინტელიგენციამაც უნდა იპოვოს თავის ადგილი. მას უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია სოფლის სამეურნეო და კულტურულ წინსვლის საქმეში. ჩვენმა საარჩევნო ორგანოებმა ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიონ. ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებთან ერთად საბჭოებში უნდა იქნან არჩეული ისეთი მშრომელი ინტელიგენტებიც, რომლებსაც საქმით და არა მარტო სიტყვით ბევრჯერ დაუმტკიცებიათ თავისი ერთგულება მუშებისა და გლეხების ხელისუფლების მიმართ.

განსაკუთრებით დიდი მუშაობის გაწევა შეუძლიათ ინტელიგენტებს საბჭოების ცალკე სექციებში, როგორც მაგალითად — კულტურულ - განმანათლებელში, სანიტარულში, სამეურნეოში და სხვა. სოფლის აგრონომი, ექიმი და მასწავლებელი—ის ისეთი ინტელიგენტებია, რომლებისთვისაც ყოველთვის მოიპოვება მათი სპეციალობის შესაფერისი სამუშაო საბჭოში. ძველი საბჭოების მუშაობის გამოცდილებიდან ვიცით, რომ მშრომელი ინტელიგენტების საბჭოებში მუშაობა ხშირად დიდათ ნაყოფიერი და სასარგებლო იყო.

ის არ უნდა დაივიწყოთ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროსაც. ღარიბ და საშუალო გლეხებთან ერთად ჩვენს საბჭოებში სათანადო ადგილი უნდა მივაკუთვნოთ მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე მტკიცეთ მდგომ სოფლის ინტელიგენტსაც.

მ—ლი.

როგორ მიმდინარეობს არჩევნები თბილისში

უმაღლესი სკოლა არჩევნებში.

საექიმო ფაკულტეტზე.

გუშინ თბილისის სახ. უნივერსიტეტში დაიწყო არჩევნები. დაიცალა სამუშაო აუდიტორიები და ყველამ მიაშურა დიდ ქიმიურ აუდიტორიას, სადაც უნდა ჩატარდეს არჩევნები. პირველად არჩევნები დაიწყო საექიმო ფაკულტეტის სტუდენტებში. კრებას ესწრება 1000 კაცამდე. „ნაკაზი" მიიღეს ზოგიერთი ცვლილებებით.

თბილისის საბჭოს დეპუტატებად არჩეულ იქნენ: ილია მამულია (კომ.), სერგო მდივანი (კომ.), შალვა მიქელაძე (უპარტიო), დავით ვაშაკიძე (უპარტიო), ვასილ ანდღულაძე (კომუნისტი), გრიგოლ ცაგარელი (კომუნისტი) კანდიდატებად: თომა მჭედლიშვილი (კომუნისტი), მ. ზერაძე (კომუნისტი), სუსანა ლუზნაძე (უპარტიო).

პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დიდი აუდიტორია საღამოს 7 საათზე აივსო პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მსმენელებით და პედაგოგიური პერსონალით; კრებას ხელმძღვანელობს ამხ. ილია ბარამიძე. დეპუტატებად საბჭოში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. დავით კანდელაკი (განათლ სახალხო კომისარი), დავით კაკაბაძე (კომუნისტი). კონსტანტინე კომახიძე (უპარტიო). ლავრენტი თავაძე (კომუნისტი, მუშა), ნიკოლოზ კიკაბიძე (კომუნისტი), ხოლო კანდიდატათ პროფესორი ბენაშვილი (უპარტიო).

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა დეპუტატები

გუშინ, ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის კლუბში შესდგა ფოსტა - ტელეგრაფის მუშა - მოსამსახურეთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა.

თბილისის საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი იქნენ: 1) ამხ. ჩილაჩავა (უპარტიო), 2) ბეგთაბეგოვი (უპარტიო), 3) გუდაევი (კომუნისტი) და კანდიდატად 1) მჭედლიშვილი (ა. ლ. კომკავშირის წევრი), რის შემდეგ წაკითხული და დამტკიცებული იქნა „ნაკაზი".

არჩევნები წითელ ჯარში

1-ლი ქართ. ლეგიონი

16 თებერვალს 1-ლი ლეგიონის კლუბში შესდგა ამავე ლეგიონის საარჩევნო კრება.

კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროც. მრავლად იყვნენ უფრო-პოლიტშემადგენლობის [illegible] ოჯახის წევრები.

საარჩევნო კრებას ხელმძღვანელობდა საარჩევნო კომისიის წევრი ამხ. ვ. სიხარულიძე.

დეპუტატებად თბილისის საბჭოში კრებამ აირჩია: ამხ. სიხარულიძე (პარტიის წევრი), კვარაია (პარტ. წევრი), ადამიძე (ლეგ. მეთაური, უპარტიო), იმნაიშვილი (პარტ. წევრი), ალბოროვი (წითელარმიელი, კომკავშირ. წევრი), ახვლედიანი (წითელარმიელი, უპარტიო).

კანდიდატებათ არჩეულ იქნენ ამხ. მიქაძე (უმცროსი მეთაური, უპარტიო) და ამხ. ბაღდასაროვი (მეთაური, უპარტიო),

საპატიო დეპუტატებად საბჭოში კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე და ბ. თოდრიას.

ცხენოსანი ლეგიონი

ცხენოსან ლეგიონის საარჩევნო კრება შესდგა 16 თებერვალს ამავე ლეგიონის კლუბში. კრებას ხელმძღვანელობდა კომისიის წევრი ამხ. ადამაძე.

დეპუტატებათ კრებამ აირჩია ამხ. ქაჯაია (სამხ.კომი, კომ-ტი), იოსავა (ესკადრონის თავი, კომ-ტი), ჩოგოვაძე (მწყობრის თავის თან-წე. უპარტიო).

კანდიდატათ აირჩიეს ამხ. კუპრაშვილი (წითარმიელი, კომ-ტი).

არჩევნების შემდეგ კრებამ დამატებებით მიიღო „ნაკაზი".

დივიზიის დაწესებულებებში

გუშინ, 17 თებერვალს შესდგა № ქართულ დივიზიის შტაბის, პოლიტგანყოფილების, ტრიბუნალის, პროკურატურის და ტერსამმართველოს თანამშრომელთა გაერთიანებული საარჩევნო კრება.

დეპუტატათ თბილისის საბჭოში კრებამ აირჩია ამხ. ბარნაბ ადამია.

შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა „ნაკაზი", რომელშიაც კრების მიერ შეტანილ იქნა ზოგიერთი დამატებები მეთაურთა ბინის საკითხის და მოსახლეობის გასამხედროების შესახებ.

როგორ მიმდინარეობს არჩევნები ჩვენში

(თბილისის გარნიზონი)

თბილისის გარნიზონის ქართული ნაწილები სავსებით მომზადებულნი შეხვდნენ საბჭოთა არჩევნებს.

არჩევნების დაწყებამდე ნაწილებში ჩატარებულ იქნა ფართო კამპანია არჩევნების ირგვლივ. წითელ არმიელებს აეხსნათ არჩევნების მნიშვნელობა, მისი ჩატარების წესი და სხვა.

ზოგიერთ ნაწილში მოეწყო სპეციალური საღამოები არჩევნების ირგვლივ.

ყველა ამითი ნაწილებმა მიაღწიეს იმას, რომ წითელარმიელთა შემადგენლობა სავსებით გაერკვა არჩევნებში და შეიგნო მისი მნიშვნელობა.

თვით არჩევნები ყველა ნაწილში ჩატარდა გაცხოველებით. წითელ არმიელნი იღებდენ მხურვალე მონაწილეობას კანდიდატების გადარჩევაში, სცდილობდენ გაეგზავნათ ისეთი ამხანაგები, რომელნიც გაამართლებდენ მათზე დამყარებულ იმედებს.

აგრეთვე მხურვალე მონაწილეობას იღებდენ არჩევნებში უფროსთა და პოლიტშემადგენლობის ოჯახების წევრები.

აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევდა ყველგან დეპუტატებისათვის მისაცემი დავალებები („ნაკაზი").

წითელარმიელები და მეთაურნი მოითხოვდნენ, რომ დავალებაში შეტანილი ყოფილიყო ისეთი პუნქტები, რომელნიც შეუწყობდა ხელს წითელი არმიის გაძლიერების და მოსახლეობის გასამხედროების საქმეს.

ერთ-ერთ კრებაზე წითელარმიელებმა მოითხოვეს, რომ დეპუტატმა იზრუნოს წვევამდე წრეების ყოველ მხრივ უზრუნველყოფისათვის. თავის წინადადებას იგი ამყარებდა იმ მოსაზრებით, რომ წვევამდე მზადება არ არის მარტო სამხედრო უწყების საქმე.

დეპუტატებს მიეცათ აგრეთვე დავალება იზრუნონ მეთაურთა შემადგენლობის ბინებით უზრუნველსაყოფად, ვინაიდან უბინაობა ძალიან უშლის ხელს მათ მომზადებას.

წითელარმიელები და მეთაურნი გამოსთქვამენ იმედს, რომ მათ მიერ არჩეული დეპუტატები პირნათლად შეასრულებენ ყველა იმ დავალებებს, რომლებიც მისცეს მათ და ამით შეუწყობენ ხელს წითელარმიის განმტკიცება-გაძლიერებას.

ი. ზ.

დღეს კრებები

მეორე რაიონში:

1) სანიტარულ ტეხნიკუმში—საღამოს 4 საათზე.

2) ამიერ-კავკასიის რკინისგზების ფინანსიური კონტროლი, სარძევე ორტელი, სანაყო, სახმედვაჭრობის აფთიაქის მაღაზიებში და აბრეშუმის ტრესტის მუშა - მოსამსახურეებისა საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში.

3) ავტო-სახელოსნოები, ელექტროსადგური, „ავტოპრომტორგი"—დილის 10 საათზე ადგილობრივად.

4) ცირკისა და კინოების მუშაკთათვის—მუშათა თეატრში დღის 1-ლ საათზე.

5) სახერხი ქარხანა № 1—დილის 10 საათზე.

მეოთხე რაიონში:

პოლიტსამმართველოს მერვე პოლკისათვის—კლუბ „კატორ"-ში დღის 3 საათზე.

მიწა-ტყის პროფკავშირთა წევრებისათვის—პროფსაბჭოს დარბაზში დღის 3 საათზე.

პარიკმახერთა ადგილკომისათვის და ფინკონტროლისათვის — საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში.

სახ. უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის მოსამსახ. და მსმენელების ოჯახის წევრებისათვის—რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, საღამოს 6 საათზე.

სახალხო მუსიკ. სასწავლებელი, მუსიკალური ტეხნიკუმი. სამხ. აკადემიის, სახ. კონსერვატორიის, ცენტრ. პარტსკოლის, თბილისის პარტსკოლის და ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის მსმენელების და მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის—სამხ. აკადემიის დარბაზში, საღ. 7 საათზე.

არსენალის რაიონის საარჩევნო კომისია

იუწყება, რომ 19 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის ბინაზე (პლეხანოვის გამზ., 123) შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის ყველა წევრთა საერთო კრება საბჭოს დეპუტატების ასარჩევად.

ადგ. ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გ.-ის პრეზიდიუმი

აცნობებს კავშირის ყველა უმუშევარ წევრებს. რომ 20 თებერვალს, დილის 10 საათზე, ისინი უნდა გამოცხადდნენ მუშათა ახალ კლუბში (კომინტერნის ქ., № 5), სადაც შესდგება თბილისის საბჭოს წევრთა არჩევნები.

მეოთხე რაიონის საარჩევნო კომისია

აცხადებს, რომ დღეს, 18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია სოციალურ ეკონომიურ ფაკულტეტის მასწავლებელთა და სტუდენტების საარჩევნო კრება.

შთაბეჭდილებები ღარიბთა კრებებიდან

(სენაკის მაზრა)

მიმდინარე საბჭოთა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ღარიბების კრებები განსაკუთრებულ სიცხოველით ტარდებოდა, ემჩნეოდა ინტერესების გამოღვიძება—დასწრება ხდებოდა 80—90 პროც. სამაზრო კომიტეტმა წინასწარ შეარჩია საკითხები, რომლებიც ღარიბების ყოველდღიურ საჭირბოროტო კითხვებს შეეხებოდენ. ღარიბები აქტიურად გამოდიოდენ სიტყვით და თავიანთი გულის ნადებს აშუქებდენ. ყველგან ერთნაირი სურათი არ ყოფილა. ზოგან უფრო აქტივობას ჰქონდა ადგილი.

როგორც პარტიის, ისე ღარიბების კრებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა შერჩევა. ზოგან პირდაპირ, უფრო გაბედულად, ხოლო ზოგან შიშით, მაგრამ მაინც ასახელებდნენ ინსტრუქციის ძალით უფლება ასაყრელ მოქალაქეთ. ვინც პირდაპირ ვერ ბედავდა წერილობით შემოქონდა ამის შესახებ განცხადება.

გამოირკვა, რომ ეს შიშიანობა აუცილებლად გამოწვეულია სოფლის კულაკების გავლენით. ღარიბ გლეხებმა ზოგ თემებში პირდაპირ აღიარეს—„რა გვიშველება ჩვენ, რომ შავს სიაში შევიტანოთ მევახშეები, ისინი ფულს არ გვასესხებენ"?

აშკარაა,—კულაკური ფენა ჩვენს მაზრაში საგრძნობლად წამოზრდილია და რაც საინტერესოა ეს ის, რომ ჩვენთვის ნათელი გახდა კულაკების განვითარების გზები და ფორმები. კულაკები ჩვენს მაზრაში ვითარდება ორი გზით—მევახშეობით და ზეზე ვაჭრობით. განსაკუთრებით მევახშეებს მაგრად აქვს გადგმული ფეხი სოფლებში. მართალია, რიცხვობრივად არ არიან ძლიერნი, მაგრამ მათი გავლენა საგრძნობია.

კამათში გამოსული გლეხები თითქმის ყველგან აღნიშნავდენ საკრედიტო კოოპერაციის გაძლიერების აუცილებლობას. დაბეჯითებით მოითხოვდენ და განაწესშიაც შექონდათ წინადადებები—„საკრედიტო კოოპერაციის ქსელის გაფართოების შესახებ".—ღარიბების ორგანიზაციის საქმე ამრიგად თავის სიგრძე - სიგანით ისმება ჩვენი მაზრის ორგ. წინაშე. საკრედიტო კოოპერაციის საქმეს ყველაზე უწინ უნდა მიექცეს ყურადღება.

მოსამზადებელი მუშაობა მთელს მაზრაში კარგად მიმდინარეობდა. წინასწარი კამპანია დამთავრდა 1 თებერვალს. არჩევნები დაიწყო 5 თებერვლიდან და გაგრძელდება 1 მარტამდე.

კ. ჯანჯღავა.

საჭიროა მეტი სიფხიზლე

(ს. აცანა, გურია)

ადგილობრივად მიწის ნორმა არც ერთს არა აქვს. თემის უმეტესი ნაწილი ღარიბებისაგან შესდგება. მაგრამ არის შიგა და შიგ კულაკებიც, რომლებიც ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ მიწის შესაძენათ და უკიდურეს ღარიბ გლეხებს აბრიყვებენ. ასეთი მყიდველები არიან: ალექსანდრე მირაბის ძე ჩხაიძე, სოლომონ ლევანისძე ჩხაიძე და სოლომონ იოთამისძე თედორაძე. პირველმა ორმა შეისყიდა მიწა ღარიბ გლეხ პანტელეიმონ ჩხაიძისაგან, მესამემ იყიდა ბიქტორ თედორაძისაგან ეზო.

უნდა ითქვას, რომ თემის აღმასკომის მიერ არავითარი ზომები არ არის მიღებული ასეთი ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად. მომავალში კი გაცხოველებული ბრძოლაა საჭირო ასეთების აღმოსაფხვრელად.

ლახვარი

სიღნაღის დიდი ნაკლი

მთავარი სატკივარი, რომელიც სიღნაღს აქვს, ეს არის წყალის სიმცირე. ამაზე სრულებით არ ფიქრობს სიღნაღის კომუნალური განყოფილება. სიღნაღს აქვს ერთი საცოდავი და გაცვეთილი წყალსადენი. წყალის განაწილება ხდება ჯერით: ზოგ უბანს ხვდება ორ დღეში ერთხელ, ზოგს ორ კვირაში ერთხელ და ზოგი უბანი კიდევ მთლად უწყლოთაა დატოვებული.

იმ უბანში, სადაც წყალი გაიხსნება, სამი და ოთხი უბნის ხალხი იყრის თავს. არის ჩხუბი, ცემა-ტყეპა და დავი დარაბა. ქალაქის ახალი საბჭო ამ უდიდეს ნაკლს ჩვენი კომუნალური მეურნეობისა ალბათ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს.

ა. ხუხუმოვი.

ადგილებზე

ქუთაისის მაზრა

ქუთაისი, 17 თებერვალი. დამთავრდა არჩევნები ქუთაისის მაზრის 4 თემში: კიკნავეთში, წითელ ხევში, გორაში და ამაღლებაში. კიკნავეთის თემში საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა 1.547 კაცი. სათემო საბჭოში არჩეულია 34 დეპუტატი, მათ შორის 4 კომუნისტი და 1 ქალი. წითელ-ხევის თემში საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა 1.770 კაცი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 723 კაცმა. სათემო საბჭოში არჩეულია 32 კაცი, მათ შორის 12 კომუნისტი, 4 კომკავშირელი და სამი ქალი.

არჩევნები ოთხივე თემში გაცხოველებით ჩატარდა, სოფლის ღარიბი გლეხობის აქტიური მონაწილეობით.

არჩევნებს ძალიან უშლიდა ხელს ცუდი ამინდები. (ადს).

ახალსენაკის მაზრა

ახალ-სენაკი, 17 თებერვალი. ლეძაძამის თემში ახალ საბჭოში არჩეულია 21 დეპუტატი მათ შორის 7 კომუნისტი, 1 კომკავშირელი. არჩეულთა შორის ორი ქალია. აღმასკომში არჩეულ იქნა 2 კომუნისტი და 1 უპარტიო. გულეკარის თემში 500 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 302 კაცი. საბჭოში არჩეულია 14 დეპუტატი. მათ შორის 7 კომუნისტია. აღმასკომში არჩეულია 2 კომუნისტი და ერთი უპარტიო. ქვემო ქალადიდის თემში 540 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 194 კაცი (ადს).

თელავის მაზრა

თელავი. 17 თებერვალი. 13 თებერვალს მოხდა არჩევნები ენისელის თემში. არჩევნებს დაესწრო ამომრჩეველთა 65,31%. კრების დაწყების წინ დიდი ხმაურობა ასტეხეს არჩევნებზე მოსულმა „შავებმა".

ამ თემში საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდი მუშაობა იქნა შესრულებული. გაიხსნა ორი სკოლა. ერთი მათგანი სასოფლო-სამეურნეო ინტერნატით. ამ სკოლაში სწავლობს 40 ბავშვი სრულ კმაყოფაზე.

გახსნილია აგრონომიული პუნქტი. არის ქოხსამკითხველო და სხ. როცა ნათესი დააზიანა სეტყვამ (1923 წელში) მთავრობამ გლეხობას აღმოუჩინა დახმარება ფულით (8.000 მან.) და თესლით.

თუმცა კულაკები სოფელში ძლიერი არიან, მაგრამ არჩევნებში ვერაფერს გახდენ. არჩეულ იქნა 59 დეპუტატი; მათ შორის კომუნისტი—10. კომკავშირელი—4. ქალი—7. აღმასკომში არჩეულია ხუთი დეპუტატი, მათ შორის 2 კომუნისტია. (ადს).

ცუდი ამინდი ხელს უშლის არჩევნებს

თელავი, 17 თებერვ. ნაფარეულის თემში არჩევნები ჩატარდა 10 თებერვალს. არჩევნებს დაესწრო 374 ამომრჩეველი. დიდი თოვლის გამო ბევრი ამომრჩეველი. განსაკუთრებით ქალები, ვერ დაესწრო კრებებს. არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნაფარეულის სახელმწიფო მამულის მუშებმა. არჩეულია 39 დეპუტატი; აქედან 7 კომუნისტი, 6 კომკავშირელი, 5 ქალი. რამოდენიმე თემში არჩევნები გადადებულია დიდი თოვლის გამო. (ადს).

კულაკები მალავენ თავიანთ სახეს

ახალ-ციხე, 17 თებერვალი. გამოირკვა, რომ ბევრმა კულაკმა, სწორედ არჩევნების წინ დაითხოვა მოჯამაგირეები და შინა-მოსამსახურენი, რომ ამ საშუალებით მიეღო საარჩევნო უფლება.

სამაზრო საარჩევნო კომისიას მიეცა სასწრაფო განკარგულება, რომ ყურადღებით მიექცეს ასეთ შემთხვევებს. ასეთი შემთხვევები იქნა აღმოჩენილი ურაველის თემში (ადს).

მოლების კანდიდატი გააშავეს

ახალციხე, 17 თებერვალი. სოფ. აბასთუმანში (თურქების სოფელი) კრებაზე ერთ-ერთ კანდიდატისათვის კენჭის ყრის დროს ღარიბ გლეხებმა პროტესტი განაცხადეს. გამოირკვა, რომ ხსენებული კანდიდატი წამოყენებულია სასულიერო წოდების მიერ და მას საბჭოში გასვლა უნდა იმისთვის, რომ ააშენოს მეჩეთი. საარჩევნო კრებაზე ამ ფაქტის გამომჟღავნების შემდეგ მოლების კანდიდატი გააშავეს. (ადს).

ინტერესი არჩევნებისადმი

ონი, 17 თებერვალი. ზემო რაჭაში საბჭოების არჩევნები დაიწყო 10 თებერვალს. მაზრა დაყოფილია 42 საარჩევნო პუნქტად. მიუხედავათ ცუდი ამინდისა ამომრჩევლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს არჩევნებისადმი. ყველგან საბჭოებში გადიოდენ ღარიბ გლეხთა ორგანიზაციების და კომუჯრედის კანდიდატები.

უწერის თემში არჩეულია 33 დეპუტატი, აქედან 7 კომუნისტი. 3 კომკავშირელი, 2 ქალი. ონის თემში არჩეულია 57 დეპუტატი, აქედან 11 კომუნისტი, 11 კომკავშირელი, 6 ქალი. გლოლის თემში არჩეულია 9 დეპუტატი, აქედან 4 კომუნისტი, 1 ქალი. (ადს).

არჩევნები გაცხოველებით მიმდინარეობს

სიღნაღი, 17 თებერვალი. საბჭოთა არჩევნები გაცხოველებით მიმდინარეობს. არჩევნები დამთავრდა შემდეგ თემებში: ბოდბის ხევში, ქვემო-მაჩხაანში, მირზაანში, ტიბაანში, ჯუგაანში, ძველ-ანაგაში, ველისციხეში, ახალშენში, გურჯაანში, ბაკურ-ციხეში და კარდანახში.

არჩევნები ყველგან სადღესასწაულო ხასიათს ატარებს: შენობები, სადაც ხდება არჩევნები მორთულია დროშებით, პლაკატებით და ლოზუნგებით, უკრავს სამხედრო ორკესტრი და სხ. საშუალოდ არჩევნებზე ესწრება ამომრჩეველთა 60 პროც., ზოგ ადგილებში კი მეტიც (გურჯაანში და ველისციხეში გამოცხადდა 75 პროც.).

საბჭოებში უმთავრესად გადიან ღარიბი გლეხები, მოჯამაგირეები და საერთოდ გლეხობის მშრომელი ელემენტები. ქალები არჩევნებისადმი წელს უფრო მეტ ინტერესს იჩენენ, ვიდრე შარშან. არჩევნებს ესწრება ამომრჩეველ ქალთა 50 პროც. ქალები მხურვალე მონაწილეობას იღებენ ძველი საბჭოს და აღმასკომის მუშაობის შეფასებაში.

დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა არჩევნები კარდანახის თემში; 2.850 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1927 კაცმა. ღარიბმა გლეხებმა და საშუალო შეძლების გლეხებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს. საარჩევნო უფლება მოკლებულთ, რომელნიც კრებაზე მოვიდნენ, წინადადება მისცეს, რომ დაეტოვებინათ დარბაზი. საზოგადოებრივ კრებებზე მომხსენებელს მრავალ შეკითხვებს აძლევდნენ კოოპერაციის, ჯანმრთელობის, განათლების და სხ. საკითხების შესახებ.

მამა-კაცებს ქალებიც არ ჩამორჩნენ. ცუდი ამინდების მიუხედავად ისინი არჩევნებზე გამოცხადდენ ძუძუს ბავშვებით ხელში.

კარდანახის თემში საბჭოში არჩეულ იქნა 58 წევრი; მათ შორის 18 კომუნისტი, 8 კომკავშირელი. არჩეულთა შორის 9 ქალია. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 3 კაცი, მათ შორის ერთი კომუნისტი. (ადს).

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტის პლენუმი

მუშკოოპის მუშაობა

ამხ. ვ. ბოლქვაძის მოხსენება

გუშინ, 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა ს. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის პლენუმი. პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვ. ბოლქვაძის მოხსენება თბილისის მუშკოოპის საქმიანობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუშკოოპის წევრების რაოდენობა თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც იზრდება. გასულ წელთან შედარებით მუშკოოპს აქვს მიღწევა პურის აკრეფის დარგში. გაიზარდა სავაჭრო ბრუნვების ჯამი და ამ ბრუნვების სისწრაფე. წინად მუშკოოპის ვაჭრობის საგრძნობ პროცენტს შეადგენდა სანისიათო ვაჭრობა, რაც, რასაკვირველია, არა ნორმალური მოვლენა იყო, დღეს კი სანისიათო ვაჭრობა უმნიშვნელო პროცენტამდე დავიდა. მუშკოოპს ქალაქში 1 ოქტომბრისათვის სულ ჰქონდა 234 სავაჭრო პუნქტი, აქედან 51 მოძრავი. მუშკოოპის პურის საცხობები აკმაყოფილებენ ბაზრის 40 პროცენტს, რაც შეეხება საშაქარლამოს და კომბინატის [illegible], ეს უკანასკნელნი გადაეცემა საკ. სახ-ბა „წარკოოპს", რომლის ერთ-ერთ აქციონერათ ითვლება მუშკოოპი.

ეხება რა მუშკოოპის ფინანსიურ მდგომარეობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუშკოოპის საკუთარი საშუალებანი ძლიერ მცირეა (733.334 მან.) და რაც არის იგიც უძრავ მდგომარეობაში იმყოფება. მუშკოოპი მთელ თავის სავაჭრო ბრუნვებს აწარმოებს ნასესხები თანხებით, რომელთა ჯამი ოთხ მილიონ მანეთს აღემატება. სახელმწიფო სავაჭრო სამრეწველო ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში მუშკოოპს შეუმოკლეს საქონლის კრედიტი. ეს გარემოება იძულებულს ხდის მუშკოოპს მიმართოს საბანკო კრედიტს, რაც გაცილებით არა ხელსაყრელია საქონლის კრედიტთან შედარებით.

მუშკოოპი ყურადღებით ეკიდება ფასების შემცირების გატარებას. მიღებულია ზომები ზედმეტ ხარჯების შესამცირებლად, რამაც გამოიწვია შტატების შეკვეცა. ეკონომიის რეჟიმის გატარებისადმი გამოყოფილი იყო კომისია, რომელმაც საწყობების შეერთებისა და შტატების შემოკლების გატარებით მოგვცა თვიურად 2.294 მან. ეკონომია.

ორგანიზაციული მუშაობის დარგში მუშკოოპი ეყრდნობა რაისაბჭოებს, რაისექციებს, კოოპ. კომისიებს, სადუქნო კომისიებს და სხვას.

მუშკოოპი თავის წევრებისათვის ატარებს მოკლე ვადიან კრედიტს და აგრეთვე წვრილ სადუქნო კრედიტს მუშებისათვის.

შემდეგ მუშაობაში, ამბობს ამხ. მომხსენებელი, საჭიროა ყურადღება მიექცეს ახალი წევრების ჩაბმას მუშათა კოოპერატივში და აგრეთვე საქონლის კრედიტის გადიდებას კოოპერატივისათვის.

კამათი ამხ. ვანო ბოლქვაძის მოხსენების გარშემო

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა, მათ შორის ამხანაგების უმეტესი ნაწილი მიუთითებდა იმ ნაკლზე, რომელზედაც უკმაყოფილონი არიან მუშები. ასეთია, მაგ. ნოქრების ცუდი მოპყრობა მყიდველებისადმი, საქონლის ცუდი ასორტიმენტი, კერძო კომისიონერების არსებობის ფაქტი მუშკოოპის სავაჭროებში და სხვა ნაკლულევანებები.

ამხ. ფესვიკო ამბობს, რომ ფასების დაკლება არ მიმდინარეობს სათანადო ტემპით და საჭიროა კომისიების შექმნა, რომლებიც თვალყურს ადევნებდენ ამ მუშაობას. მუშკოოპმა უნდა შეამციროს თამასუქების გაცემა, თორემ შეიძლება ასეთის გადიდებამ მუშკოოპი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდოს, რადგან მისთვის საბანკო კრედიტის გადიდება შეუძლებელია.

ამხ. არჩ. რუხაძე აღნიშნავს, რომ კოოპერაცია მოიკოჭლებს ფასების დაკლების საკითხში. ამას უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება მუშკოოპმა თავის შემდეგ საქმიანობაში.

ამხ. ავაქოვი ამბობს, რომ ეხლა კოოპერაციას და სახ. ვაჭრობას დაპყრობილი აქვს ბაზრის 54 პროცენტი, ეს არ არის საკმარისი, საჭიროა მუშკოოპს გაუდიდდეს საბანკო კრედიტები, რომ მან შესძლოს ბაზრის მეტი პროცენტის დაპყრობა.

ამხ. ყურულაშვილის აზრით მოიკოჭლებს მუშკოოპის სტორგ. მუშაობა, კერძოდ—აღრიცხვა. დიდია ზედნადები ხარჯების პროცენტი.

ამხ. სვანიძე ამბობს, რომ მუშკოოპს არ აქვს სწორი აღრიცხვა. წევრებით ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა მხოლოდ 30 პროცენტი, საპაიო შესატანის აკრეფა ძალიან მოისუსტებს. საჭიროა მომავალში ყურადღება მიექცეს ამ ნაკლულევანებათა გამოსწორებას, აგრეთვე მუშკოოპმა მთელი ძალ-ღონე უნდა იხმაროს ზედნადები ხარჯების მინიმუმამდე დასაყვანად და ფასების დასაკლებათ. პირველ რიგში სამრეწველო საქონელზე.

მოხსენების გარშემო სხდომამ გამოიტანა სათანადო რეზოლუცია.

პლენუმის მეორე სხდომა შესდგება დღეს საღამოს 5 საათზე.

გ. ხურმუშელი.

პოლიტმუშაობა წვევამდელთა შორის

წითელი ჯარის ნაწილებში თავს იყრის მშრომელი ახალგაზრდობა, რომელთა უმრავლესობა არა სათანადოთ გათვითცნობიერებულია პოლიტიკურად.

ამიტომ ახალგაზრდობის სამხედრო მომზადებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მათში პოლიტიკური მეცადინეობის პოლიტ-საათების ჩატარებას, რომლის საშუალებით ახალგაზრდობა გაეცნობა საბჭოთა სახელმწიფოს ხასიათსა და მის ბუნებას; წითელი ჯარის მნიშვნელობას, მის ამოცანებს; კომუნისტური პარტიის ხაზს, როგორც სამეურნეო, ისე სხვა საკითხებში, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩაბმას სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას აქცევდენ სათანადო პარტორგანოები.

17 იანვრიდან უკვე მიმდინარეობს წვევამდელთა სამხედრო მომზადება (1905 წ. დაბადებულთა), რაც თვე ნახევარს გასტანს; შემდეგ 27 თებერვლიდან დაიწყება აგრეთვე 1906 წ. დაბადებულთა წინასწარი მომზადება; სამხედრო სწავლება სწარმოებს სათანადო წერტებში და იქ პოლიტ-საათებიც ტარდება (თითო საათი დღეში); პოლიტ-საუბრები წვევამდელ ახალგაზრდობაში დიდ ინტერესს იწვევს; ისინი საკითხების განხილვაშიაც ცხოველ მონაწილეობას ღებულობენ.

წვევამდელთა აქტიობა იმდენად დიდია, რომ ზოგიერთ ნაწილებში ისინი მოითხოვენ პოლიტ-საათების გადიდებას 1-დან 2 საათამდე დღეში.

ეს მუშაობა უკვე სწარმოებს და მიღწევებიც არის, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლიც:

ზოგიერთ წერტილში წვევამდელნი მომზადებულნი არიან (საშუალო სასწავლებელ დამთავრებულნი, ზოგიერთები უნივერსიტეტების მე-2 და მე-3 კურსიდანაც არიან) პოლიტ-ხელები კი მათ ჩამორჩებიან, რის გამო ვერ აკმაყოფილებენ მსმენელებს.

ნაწილების პოლიტ - განყოფილებამ და წერტების კერძო ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას. არსებულ დეფექტების გამოსასწორებლად საჭიროა: 1. ყოველ მხრივ შესწავლილ იქნას წვევამდელი ახალგაზრდობის შემადგენლობა; 2. პოლიტ-ხელებად გამოყოფილ იქნას პარტიის ან კომკავშირის ისეთი წევრები, რომლებიც პოლიტიკურად სათანადოთ მომზადებულნი არიან. თუ ასეთი წვევამდელთა შემადგენლობაში არ აღმოჩნდება, გამოთხოვილ უნდა იქნან პარტიის სათანადო რაიკომებიდან და სამაზრკომებიდან.

3. თუ პოლიტ-ხელი წვევამდელია, ის აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს წყობილებაში მეცადინეობიდან, რათა საშუალება მიეცეს საკითხების სათანადოდ დამუშავებისა; არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტ-ხელის მოუმზადებელ გამოსვლას საუბრის ჩასატარებლად.

მუშაობის ამ სახით წარმართვა ხელს შეუწყობს ახალგაზრდათა პოლიტ-[illegible] განმტკიცებას და მათი პოლიტიკური განვითარების დონის ამაღლებას. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

მ. ბარამია.

ა.-კ. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკთა თათბირი

მესამე და მეოთხე სხდომა

17 თებერვლის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ფ. ულიმოვას მოხსენება სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო სადელეგატო კრებების მუშაობის ხელმძღვანელობაზე აგიტპროპის მხრივ და მოიყვანა მაგალითები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ხელმძღვანელობა აგიტპროპის მხრივ არ იყო საკმაო.

თუ სადელეგატო კრებები ქალაქში რიგიანად მუშაობენ, სამაგიეროდ სოფლებში მათი მუშაობა სუსტია. ამჟამად ამიერ-კავკასიაში არის 26.000-ზე მეტი დელეგატი ქალი.

შემდეგ ამხ. საავიანმა გააკეთა მოხსენება მასიური აგიტაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ამ ჟამად, როცა იზრდება მშრომელი მასების პოლიტიკური აქტიობა, მომწიფებულია მასიური საგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი უფრო ძირეული განმტკიცების საკითხი.

მუშაობას მასიური აგიტაციის დარგში აქვს მრავალი ნაკლი, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ.

ჩვენი აგიტაცია უნდა იყოს გასაგები, კონკრეტიული, ყველასათვის ნათელი და ცოცხალი.

სოფლად დღემდე გრძელდება „საგიტაციო ლაყბობა". საჭიროა სოფლის უჯრედების აგიტაციის შინაარსი შეიცვალოს და გაუმჯობესდეს იმგვარად, რომ იგი დაუკავშირდეს ადგილობრივი საბჭოების, კოოპერატივების და სხ. მუშაობას.

აგიტაციის შინაარსის ნამდვილი გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო, თუ ხელს ავიღებთ მრავალრიცხოვან მეორე ხარისხოვან კამპანიებზე, სადღესასწაულო დღეებზე და სხ.

აგიტაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა აგიტპროპებისათვის ინფორმაციის, წასაკითხის მისაწოდებლად და სხ.

მასიური აგიტაციის ძირითად ფორმებად ცნობილ უნდა იქნას მიტინგები, დღესასწაულები, მასიური კრებები, კითხვებისა და პასუხების საღამოები და სხ.

საგიტაციო მუშაობის ფართო მასებში გადასატანად პარტიამ ამ უახლოეს პერიოდში სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს აგიტატორების მომზადებას და დაწინაურებას მუშა და გლეხ კომუნისტებიდან.

აგიტატორების დაწინაურებასა და მომზადების ძირითადი ფორმები უნდა გახდეს მომხსენებელთა წრეები მსხვილ საწარმოო უჯრედებთან, აგიტატორების წრეები ან კოლექტივები რაიკომებთან და სამაზრო კომიტეტებთან.

საღამოს სხდომაზე ამხ. ახრიბეკოვმა გააკეთა მოხსენება საუჯრედო აგიტპროპმუშაობის შესახებ. შემდეგ ამხ. მახარაძემ გააკეთა მოხსენება ინდივიდუალური და ჯგუფური აგიტაციის მეთოდიკის შესახებ.

ამ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ამხანაგმა.

ამხ. ეგიკოვი შეეხო სამხედრო პროპაგანდისა და სამხედრო ლიტერატურის გავრცელების საკითხებს და აღნიშნა აგიტპროპების მუშაობის სისუსტე ამ დარგში.

ამხ. ლისოვსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ აგიტპროპები ადგილებზე თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ კინო-აგიტაციის საკითხებს, რის გამოც ზოგიერთი კინო-წარმოება უჩვენებს ყოველგვარ იდეურ მოკლებულ ფილმებს, ზოგ მათგანს იტაცებს მხოლოდ კინო-სურათების გაქირავება. სუსტად არის ჩატარებული აგრეთვე მუშაობა სოფლის რადიოფიკაციის დარგშიაც.

მუშათა ცხოვრება

ბიუროკრატებს

გზებს, რომ გვიხლართავთ ჯალათონ
არ გვაძლევთ წინსვლის ნებასა,
სიტკბო-სიამეს გვიმწარებთ
ყოველმხრივ გვაძლევთ ვნებასა.

სიცოცხლეს გესლით გვიწამლავთ
შექმნილხართ მშხამავ გველითა,
ენა ტკბილი გაქვთ, მლიქვნელი
საქმეს აკეთებთ ძნელათა.

ხალხის ქონებას გვიფლანგავთ,
მტრებთან გვაცილებთ ყველასა,
მრუშობთ, მექავობთ, წუწუნებთ—
ხალხს ვითომ აძლევთ შველასა.

გინდათ ამგვარად აყვავდეთ,
იხაროთ, ასხათ ხილია.
ეგ მხოლოდ მაშინ მოხდება
თუ [illegible] მოიტანს ცხრილია.

გ. შინატბელი.

შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის კურსები

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თაოსნობით გახსნილია მუშათა შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის კურსები.

კურსები გახსნილია განსაკუთრებით კომუნალურ მეურნეობის და მელითონეთა კავშირისათვის. ამ კურსების გახსნა მიზანშეწონილი და აუცილებელიც არის, რადგანაც რამდენადაც საკ. კომისიის წევრი მომზადებული იქნება და უკეთესად ეცოდინება შრომის კანონები, იმდენად იგი სიმტკიცით დაუხვდება ზოგიერთ ჩვენს გათამამებულ სპეცებს, კონფლიქტებიც ნაკლები იქნება. კოლექტიური ხელშეკრულებები და შრომის კანონები სათანადოთ იქნება დაცული.

კურსებზე მეცადინეობს ორმოცდაათამდე კაცი, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ კურსებს ამხანაგების ძალიან ცოტა რიცხვი ესწრება, ხანდახან კი შვიდი-რვა კაცი. ამის მიზეზი ის არის, რომ კურსებისათვის არ არის ერთი განსაზღვრული ადგილი ამორჩეული. მეცადინეობა სწარმოებს ყოფილ ბომონდში, მეტალისტების კლუბში, მაგრამ მეცადინეობა ხდება სხვადასხვა ოთახებში, რის პოვნაც მოსწავლეთათვის ძალიან ძნელდება. გარდა ამისა ოთახი გამთბარი არ არის და ძალიან ცივა, რის გამო მსმენელები სწუხდებიან. ეს კურსები, უფრო მოგვაგონებს ძველ არალეგალურ კრებებს.

საჭიროა ორივე ხელის შემშლელი პირობის წინააღმდეგ ზომები იქნეს მიღებული, რათა ეს სასარგებლო კურსები ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდეს.

მკურვალი ნიკო.

ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბი

გასულ წლის გაზაფხულზე ამ კლუბში დრამწრე სრულებით დაშლილი იყო. 1926 წ. მაისში კლუბის გამგეობამ მოიწვია დრამწრის ხელმძღვანელად ამხ. ე. ნინიძე მის ირგვლივ შეკრიბა წრე, რომელშიც უმეტესად შედიოდენ დაზგის მუშები. მუშაობაც გაჩაღდა, ზაფხულის სეზონის მუშაობა პირნათლად შესრულდა.

ზოგიერთები ფიქრობდენ, რომ წრის მუშაობა ზამთარში შეეჩერებინათ, რადგან ზამთარში კლუბში მსმენელი არავინ იქნებოდა; მაგრამ გამგეობამ კლუბის დარბაზი შეაკეთა, სათანადოთ მოაწყო გათბობა, დაიხატა ახალი დეკორაციები, შეკეთდა სცენა, მოეწყო ფოიესთვის ოთახები და გაჩაღდა მუშაობა. ზაფხულის განმავლობაში ქართულმა დრამწრემ სამაგალითო მუშაობით შესძლო შემოეკრიბა კლუბში მუდმივი აუდიტორია; წრის მუშაობით დაინტერესებული კლუბის წევრები, აღარც ზამთარში ჩამოშორდენ კლუბს.

მიუხედავად ცუდი ამინდებისა ყველა ქართულ საღამო-წარმოდგენებზე დარბაზი მუშებით არის გაჭედილი. წრეც არ უცრუებს იმედს კლუბის წევრებს და ენერგიულად მუშაობს. იდგმება შერჩეული პიესები, ეწყობა სისტემატიური ლიტერატურული აღმზრდელობითი ხასიათის გასამართლებები და ინსცენიროვკები. ყველა რევოლიუციონურ დღესასწაულის კამპანიები ტარდება იშვიათის პროგრამებით. წარმოდგენა საღამოები იწყება თავის დროზედ და თავდება არა უგვიანეს თორმეტ საათისა.

წრის წევრთა შორის არსებობს დისციპლინა და შეთანხმებული მუშაობა. გამოჩნდენ ისეთებიც, რომლებმაც სცადეს ინტრიგის ქსელის გაბმა, მაგრამ წრემ ისინი დაუყონებლივ გამორიცხა თავის შემადგენლობიდან. ვუსურვებთ წინსვლას და მუყაით მუშაობას კლუბის გამგეობას და წრეს.

მუშკორი გ. საბჯოშვილი.

მუშა მუშურ ოჯახში

შაბათს, 12 თებერვალს ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბში ამავე კლუბის სასარგებლოდ გაიმართა დიდი საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის სახალხო მსახიობმა ამხ. ნიკო გოცირიძემ. აუწერელია ის აღფრთოვანება, რომელიც სუფევდა ამ საღამოს დიდსა და პატარას შორის, კერძოდ კი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შორის. ეს იყო გამოწვეული ჩვენს მუშათა კლუბში ნიკოს პირველად მოსვლის გამო.

ის სცენის მოყვარენი, რომელნიც დაბერდნენ ავლაბრის თეატრში და რომლებთანაც ახალგაზრდობისას ნიკოს არა ერთხელ უთამაშნია, გრძნობდნენ რა, რომ დღეს დიდ მსახიობთან უნდა გამოვიდნენ სცენაზე, დიდ ღელვაში იყვნენ. სამაგიეროდ ნიკო აღმოჩნდა ისევ ჩვენი, ისევ ძველებური მუშური ოჯახისებებით აღჭურვილი. მიუხედავად იმისა, რომ შაბათს სწორედ საღამოს ატყდა თოვლის ქარბუქი, ავადმყოფი ნიკო მაინც მოვიდა და ერთხელ კიდევ ძველ ამხანაგებთან თამაშით დაამშვენა მუშური სცენა.

ამ საღამოს დადგმული იყო 2 მოქმედებიანი კომედია „ვერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს". სცენაზე ნიკოს გამოჩენამ გამოიწვია ისეთი მქუხარე ტაში, რომ 5 წუთი მოწესრიგენი ვერ ახერხებდნენ წესრიგის დამყარებას. წარმოდგენის დამთავრებისას სიტყვით მიმართა ამხ. შაქრო ტალიკაძემ და მოუხადა უღრმესი მადლობა მთელი, ტყავ-ტრესტის მუშების და ორთაჭალა-ავლაბრის უღარიბესი მოსახლეობის სახელით, რომელთაც არ ენახათ ოდესმე მუშა სცენის მოყვარე და დღეს კი დიდი მსახიობი.

წარმოდგენის შემდეგ ამხანაგებმა ნიკო მიიწვიეს სასაუზმოდ, რის დროსაც გაიმართა საუბარი წარსულ სცენაზე მუშაობისა. სადაც კი არ გამოჩენილიყო ნიკო, პარტერში, ფოიეში, სამკითხველოში თუ სხვაგან ყველგან მხურვალე ოვაციებით ხვდებოდნენ.

ეს იყო უღრმესი პატივისცემა მუშური ოჯახისა თავის წიაღიდან გამოსული მუშისადმი.

დაუვიწყარი იქნება ეს საღამო ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბის ცხოვრებაში. საღამო გრძელდა გათენებამდის და მიუხედავათ ცუდი ამინდისა დაესწრო დიდ ძალი საზოგადოება, რომელიც დიდათ კმაყოფილი და ხალისიანი დაიშალა.

ერთხელ კიდევ უძღვნით მადლობას ამხ. ნ. გოცირიძეს და უსურვებთ ჯანმრთელობას ქართული სცენის დიდხანს დასამშვენებლად.

მუშკორი: ნაპერწკალი.

ახალი მანქანა

ის ახალი ფიცრის სარანდავი მანქანა, რომელიც წარსულ შემოდგომაზე მიიღო რ.-გ. მთავარ სახელოსნომ სადურგლო საამქროსათვის უკვე დადგეს თავის დანიშნულ ადგილას და 16 თებერვალს გაუშვეს გამოცდაზე. გამოცდიდან სჩანს, რომ როდესაც ზაჰესიდან მივიღებთ ენერგიას ამ მანქანის ამუშავება მისცემს წარმოებას დიდ ნაყოფს. თუ ძველი მანქანა ამუშავებდა 8 საათის განმავლობაში 500 ცალს ფიცარს, ეს ახალი მანქანა დაამუშავებს ხუთჯერ მეტს და ხარისხითაც უფრო კარგ ღირსებისას, ისე რომ წარმოება წინ წაიწევს.

ლ-ტ-ელი.

მუშათა ქრონიკა

თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"

— კამპანია. კულტკომისიამ დაადგინა ჩაატაროს კამპანია გაზეთების გავრცელების შესახებ.

— ხარჯთაღრიცხვა. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ დაამტკიცა 1927 წ. მუშაობის ხარჯთაღრიცხვა 53.146 მან. რაოდენობით.

— ფასდაკლებული ბილეთები. სახელმწ. დრამის და ოპერის თეატრები 50 პროცენტის დაკლებით ეთმობათ წარმოება-დაწესებულებების მუშებს.

— სარედაქციო კოლეგია. 16 თებერვალს შესდგა რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს კედლის გაზეთ „საყვირი"-ს მუშკორთა საერთო კრება. არჩეულ იქნა სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიან ამხ. ბარბაქაძე, ჯიოევი, ქანთარია, ალ. კუდრიაშევი, ალ. ჩხეიძე, ე. ხებრიელაშვილი, შმიდტი, ჟუნაჯოშვილი, ბ. დედანაშვილი და მ. ტორიკაშვილი.

— კინო-სურათი. ხვალ ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში ნაჩვენები იქნება კინო-სურათი „დედა".

რ. ლიუქსემბურგის ქარხანაში

— სისუფთავის დაცვა. რ. ლიუქსემბურგის სახელმწიფო თუთუნის ქარხნის შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა მიაქციოს ყურადღება სისუფთავის დაცვას ქარხანაში.

— ფასიანი საღამო. ქარხნის კულტკომისია აწარმოებს მოლაპარაკებას კავშირთან, რათა დაიდგას ერთი ფასიანი საღამო პიონერთა ფონდის გასაძლიერებლად.

— მუშაობის გეგმა. ქარხნის კულტკომისიამ შეიმუშავა მომავალი მუშაობის გეგმა.

უდიდესი ქარხანა

ბორჯომში

თავდება მუშაობა ბორჯომის სატკეჩე ქარხნის ასაგებად. ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 600.000 საკასრე კომპლექტებს. ბორჯომის ქარხანა ყველაზე უდიდესი ქარხანა იქნება მთელს მსოფლიოში. უდიდესი ქარხანა დანიაში ამზადებს მხოლოდ 300.000 კომპლექტს წლიურად. ბორჯომის ქარხნის მთელი პროდუქცია გაგზავნილი იქნება ციმბირში საექსპორტო კარაქის კასრებისათვის.

ქარხნის პროდუქცია უკვე შეკვეთილია ტრესტ „ექსპორტ-ხლების" მიერ.

ნედლეული მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია. ქარხანა შენდებოდა ერთი წლის განმავლობაში პროფ. რუდერის ხელმძღვანელობით. მოწყობილობა გამოწერილია დანიიდან და შვეციიდან. საზღვარგარეთიდან მიღებულ მანქანებში პროფ. რუდერმა შეიტანა ახალი გაუმჯობესებანი, რომლებზედაც მას პატენტი აქვს აღებული საზღვარგარეთ. დანიის ზოგიერთმა ფირმებმა წინადადება მისცეს სატყეო მრეწველობის ტრესტს მიყიდოს მათ რუდერის გამოგონებანი, რაზედაც ტრესტმა უარი განაცხადა. [illegible] მუშაობის დროს ქარხნის ნაყოფიერება შეიძლება გადიდებულ იქნეს ერთ მილიონ კომპლექტამდე წელიწადში.

აქამდის საკასრე ტკეჩები საბჭოთა კავშირში შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან.

ქარხანაში უკვე მიღებულია 136 მუშა. ქარხნის საზეიმო გახსნა დანიშნულია 25 თებერვლისათვის. ქარხნის აგება დაჯდა 900.000 მანეთით.

გურიის ნავთი

მუშაობის მიმდინარეობა

ამჟამად გურიის ნავთის აღმოსაჩენად წარმოებული მუშაობა ასეთ მდგომარეობაშია: დამთავრებულია ერთი საბურღი კოშკის დადგმა ს. ომფარეთში, სუფსიდან სამი ვერსით დაშორებით. დაიდგა აგრეთვე ერთი ელექტრო-ძრავა, რომლის დანიშნულება არის—საკვლევი მოედნების განათება. იდგმება კიდევ მეორე ძრავა, რომლისთვისაც საძირკველის ჩადგმა უკვე დამთავრებულია. ეხლა სწარმოებს მუშაობა თვითონ ბურღვის ასაწყობად და დასადგმელად.

დიდი თოვლისა და ცუდი ამინდების გამო დროებით შეწყდა მუშაობა მისასვლელი გზის გასაყვანად სოფელ სუფსიდან საკვლევ რაიონამდე. ბურღვა დაიწყება მარტის შუა რიცხვებიდან. დაახლოებით ამ დროისათვის განახლდება მუშაობა გზის გასაყვანად.

ნავთსადგურების

განტვირთვა

11, 12 და 13 თებერვალს სწარმოებდა ფოთისა და ბათომის ნავთსადგურების გამოკვლევა. გამოკვლევას აწარმოებდა გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდენ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამხ. ხაჩიძე, ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს უფროსი ამხ. ივანოვი, გზის ინსპექტორები: ინჟინერი ხელთუფლიშვილი და ინჟინერი კოშინაშვილი. გამოკვლევაში მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე ნავთსადგურების უფროსებიც. გამოკვლევამ გამოარკვია ის გარემოება, რომ ნავთსადგურების საწყობები და ტერიტორია ავსებულია შემოზიდული ტვირთით. რკინის გზა კი მოკლებულია საშუალებას მთლიანად გამოზიდოს ნავთსადგურებიდან დაგროვებული ტვირთი. ნავთსადგურების ადგილობრივი სამმართველოები მოითხოვენ დღე-ღამეში 130 საბარგო ვაგონის მოწოდებას ნავთსადგურების განსატვირთავად. კომისიამ მოახდინა ნავთსადგურების დათვალიერება და საჭიროდ სცნო მიეცეს ნავთსადგურებს განსატვირთავად ყოველდღიურად 60 საბარგო ვაგონი, რაც საგრძნობლად შეამცირებს ტვირთების დაგროვებას ბათომსა და ფოთის ნავთსადგურებში. მეორის მხრივ, საბარგო ვაგონების თავის დროზე მიმოსასვლელად ბათომის და ფოთის ნავთსადგურებზე კომისიამ საჭიროდ სცნო მოეხსნას მოძრაობა დასავლეთ ხაზზე მატარებლებს № 5, 6. საკითხი ამის შესახებ აღძრულია სათანადო ორგანოების წინაშე.

თათბირი

აღმოს. ვაჭრობის ა.-კ. პალატაში

გუშინ საღამოს აღმოსავლეთთან ვაჭრობის ამიერ-კავკასიის პალატაში შესდგა ოსმალეთთან და სპარსეთთან ვაჭრობის სექციების გაერთიანებული თათბირი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოების საკითხების შესახებ.

თათბირზე ვრცელი საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ზავრიევი, რომელიც შეეხო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაძლიერების ძირითად ამოცანებს და აღნიშნა, რომ სამისოდ საჭირო არის, უპირველესად ყოვლისა, შესწავლილ იქნეს სხვადასხვა ქვეყნების ბაზრები, ვაჭრობის პირობები, გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნების საწარმოებთან კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა და სხვ.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში დიდი წინსვლა ეტყობა სპარსეთთან ვაჭრობას, რამაც უკვე მიაღწია ომამდე არსებული დონის 80 პროცენტს. სპარსეთთან ვაჭრობის კიდევ უფრო გასაცხოველებლად საჭირო არის იაფი და კარგი ღირსების საქონლით გამოსვლა იქაურ ბაზარზე და მთელი რიგი სხვა პირობების გათვალისწინება და დაცვა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ივანოვმა, რუსტამბეკოვმა, კარაევმა და სხვ.

მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობის კურსები

„საქართველოს აბრეშუმმა" გახსნა მეაბრეშუმეობის კურსები, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ 52 კურსანტის მეცადინეობას ესწრება 23 თავისუფალი მსმენელი, რომლებიც მეცადინეობის მხრივ ჩაყენებული არიან თანაბარ პირობებში კურსანტებთან. მეცადინეობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

აბრეშუმის თესლი

აბრეშუმის თესლის მრეწველობა უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში მეტად განვითარდა. თუ წინა წლებში ეს წარმოება იყო კერძო პირების ხელში, დღეს ის თანდათანობით „საქართველოს აბრეშუმ"-ის ხელში გადმოდის. 1925 წ. 70.000 კოლოფი თესლიდან სახელმწიფო ორგანიზაციამ (მიწათმოქმედების კომისარიატმა) დაამზადა მხოლოდ 6.000.

1926 წ. კი სახელმწიფო ორგანიზაციებმა წარმოება აიყვანეს 53.000 კოლოფამდე. „საქართველოს აბრეშუმს" აქვს მოწყობილი ორი ძლიერი სადგური, რომელიც ყოველ წლიურად დაამზადებს 40.000 კოლოფს თესლს.

1927 წ. „საქართველოს აბრეშუმი" ქალაქ ქუთაისში აწყობს ერთ ახალ საგრენაჟო სადგურს, რომელიც წლიურად 30.000 კოლოფ თესლს დაამზადებს. ასე, რომ 1927 წ. „საქართველოს აბრეშუმი" დაამზადებს 70.000—80.000 კოლოფამდე თესლს. მომავალში განზრახულია თელავში ერთი სადგურის აგება, რომელიც დაამზადებს 20.000 კოლოფ თესლს.

სახალხო მამული

სენაკის სამაზრო აღმასკომმა სახალხო მამულების ტრესტს გადასცა პრინც მიურატის ყოფილი მამული სოფელ სალხინოში. მამული შესდგება დიდი ვენახისა. ხეხილის ბაღისა, სახნავ სათესი მიწებისა და სხვადასხვა სამიწად-მოქმედო შენობებისაგან. ომისა და რევოლიუციის პერიოდში მამული მოუვლელობისა გამო ძალიან დაზიანდა: აღმასკომს არ ჰქონდა საკმაო სახსარი, რომ სათანადოთ მოეარა ამ ძვირფასი მამულისათვის. სახალხო მამულების ტრესტს გადაწყვეტილი აქვს შეუდგეს მუშაობას მამულის აღსადგენად. მუშაობა დაიწყება გაზაფხულიდან.

საკასრე ქარხანა

ბათომში დამთავრდა საკასრე ქარხნის ტექნიკური გამოკვლევა, რომლის შემდეგ გამოირკვა, რომ ქარხნის ტექნიკური მოწყობილობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არის, ხოლო ქარხნის პროდუქცია კარგი ღირსებისაა. ძვირი აღმოჩნდა მხოლოდ პროდუქციის ღირებულება. ამჟამად ქარხნის მუშაობა შეჩერებულია. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის საპაიო ამხანაგობის დადგენილებით ამ მოკლე ხანში ქარხანა ისევ იქნება ამუშავებული. ქარხნის პროდუქციის გაიაფების მიზნით გადაწყვეტილია კასრების დასამზადებლად ნედლ მასალა შეძენილ იქნეს ჩაქვის სახალხო მამულში.

პატარა ფელეტონი

ახალი ბიბლიოგრაფია*)

ჯგუფარიული შთაგონებით გამოვიდა საქ. პროფსაბჭოს ინჟ-ტექნ. ცენტრ. ბიუროს და საქ. ტექნ. საზ. ორგანო „ტექნიკა და ცხოვრება"-ს ამა წლის პირველი (16) ნომერი.

აღნიშნულ ჟურნალის გამოსვლით შეძგიფულ და შრადიან ჩვენი ტექნიკურ მეცნიერების ცხოვრებაში პერწკვა მოხდა და ხშულად კორპი დაცულ მაცივარ მარაგელს სავალები მიეცა.

ჟურნალი იმდენათ მდაბიოთ და მკაფიოთ არის შედგენილი თავიდან ბოლომდის, რომ მისი კითხვის დროს ქანდისა სალბუნათ ედება გულს.

მეცნიერების კრული ელბრძმედი გაიხსნა ჩვეულებრივ მომაკვდავ ადამიანებისთვის და უკვეენადი და უხსნადი ტენი ცვალადი შეიქნა.

ლუნადი გადაბმა მოხდა მდაბიო მკითხველსა და ტექნიკურ მეცნიერების წარმომადგენელთ შორის.

[illegible] ქართულ სიტყვიერების საწურწებშია დონებით დეიილი.

როქვითი ჩარხი, საკრნარი, მსხრევეული რტკალათი არის ამმოძრავში მოსუქული და ზარმი ყოფა დენკიდოებით შენადუღია მწერლის და მკითხველის გადამსახ განშხოლოებაში.

მეტად სასიამოვნოა, რომ ქვაბანის ძრო წვადობანი აღმოჩნდა და დნადს დაემორჩილა.

ეს წიგნი ხაშხაშივით უნდა ბრწყინავდეს წიგნის მაღაზიების ფარგებში.

არ არის დასანანი, რომ პროფკავშირების ფულები გლინავდენ მოქლონილ მილში და გისოსში.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჟურნალ „ტექნიკა და ცხოვრება"-ს გამოსვლით ეინშტეინის ფარდობითობის რელატივობა მოხდა ჩვენს უთვალავ ტექნიკურ მეცნიერებსა და პროფესორებს შორის და ვერავითარი ეთერის ქარი ვერ უზამს ძრაობას მათ მტკიცე მოდებას მდაბიო მკითხველთან.

ს. თ—ია.

---

*) ბოდიშს ვიხდი განვითარებულ მკითხველის წინაშე, რომ ასე მდაბიო ენით ვწერ ამ ბიბლიოგრაფიას, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ვინც წაიკითხავს „ტექნიკა და ცხოვრება"-ს, უსათუოდ ამ ენას ამჯობინებს.

ს. თ.

ამერიკელი ინჟინერები

თბილისში

ამას წინეთ თბილისში ჩამოვიდენ ამერიკელი სავაჭრო ფირმის „სულლევან და კომპ." წარმომადგენლები. აღნიშნული ფირმა აწარმოებს სამთამადნო საწარმოებისათვის საჭირო იარაღების და ინსტრუმენტების დამზადებას. ფირმა აპირებს გახსნას თავის მთავარი განყოფილება [illegible] საბჭოთა რესპუბლიკების ერთ-ერთ დიდ ქალაქში.

„სულლევან და კომპ." ფირმის წარმომადგენელმა ინჟ. დალლმა ინახულა ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების უფროსი ინჟ. კანდელაკი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა საქართველოს სამთო მრეწველობაში საჭირო იარაღების შესახებ.

თბილისიდან ინჟ. დალლი მიემგზავრება ჭიათურაში კონცესიონერთან მოსალაპარაკებლად, შემდეგ კი გაემგზავრება ბათომში, ხოლო ბათომიდან აფხაზეთში.

ინჟ. დალლის განცხადებით, ფირმა თავის ერთ ფილიალურ განყოფილებას გახსნის თბილისში, სადაც მოეწყობა აგრეთვე საბურღავი იარაღების, კომპრესორების, პერფორატორების და სხ. მანქანების საწყობი.

საქ. ინდუსტრიალიზაცია

თანხები ახალი მშენებლობისათვის

ს. მ. უ. ს. ახალ შენებათა კომიტეტმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვები მომავალი ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში ასაგებ ქარხნებისათვის. 1927 წლიდან 1931 წლამდე კომიტეტმა უნდა ააგოს შემდეგი ქარხნები: ცემენტის ქარხანა (აგება დასრულდება 1929 წელს), შუშეულობის ქარხანა, ბარიტის საფქვავი ქარხანა, თბილისის მაუდის ფაბრიკა და ქაღალდის ფაბრიკა. ყველა აღნიშნული ქარხნების აგება უნდა დასრულდეს 1929 წელს.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის განმავლობაში დაწყებულ იქნება აგრეთვე ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავებაც. ყველა აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 36.338.700 მანეთს.

ცალ-ცალკე ქარხნების აგება დაჯდება შემდეგი: ცემენტის ქარხნის—3.100.00 მანეთი, შუშეულობის ქარხნის—2.018.000 მანეთი, ბარიტის საფქვავი ქარხნის—570.000 მან., მაუდის ფაბრიკის—4.005.000 მან., ქაღალდის ქარხნის—7.845.700 მანეთი და ტყვარჩელის მაღნების დამუშავება—18.800.000 მანეთი.

მთელი აღნიშნული თანხიდან 1926-27 საანგარიშო წლის განმავლობაში დაიხარჯება—3.325.000 მანეთი, 1927-28 წელში—12.595.700 მან., 1928-29-ში—11.398.000 მ., 1929-30-ში—4.920.000 მან. და 1930-31 წელს—2.400.000 მანეთი. გასული წლის განმავლობაში კი აღნიშნულ ქარხნების ასაგებათ დაიხარჯა 1.700.000 მანეთი.

ახალ შენებათა კომიტეტის ამ გეგმაში განზრახულ ქარხნების გარდა მომავალ წლებში დაწყებულ იქნება მთელი რიგი ახალი ქარხნების აგება.

შეშის კრიზისის

აღმოსაფხვრელად

გუშინ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ინსპექტორმა კოჩიაშვილმა მოახდინა თბილისის რკინისგზის სათბობ მასალათა საწყობის გამოკვლევა. გამოკვლევის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად არის მოსალოდნელი შეშის კრიზისი თბილისის რკინისგზის სამასალო საწყობში. გამოირკვა, რომ საწყობში ამჟამად ინახება მხოლოდ 50 კუბიკური საჟენი შეშა. ამავე დროს საწყობში დიდი მოთხოვნილებაა შეშაზე. შეშა ეძლევათ რკინისგზის მუშა - მოსამსახურეებს ადგილკომების მიერ შედგენილ სიების მიხედვით. თითქმის ორასამდე კაცი მოაწყდა გუშინ საწყობს შეშისათვის. 50 კუბიკური საჟენი შეშა გუშინვე გაიყიდა.

ა.-კ. რკინისგზის გამგეობას დამზადებული აქვს წნორის რაიონში 100 კუბ. საჟ. შეშა, ხოლო ფოთის რკინისგზის ხაზზე კი გამოსატანილი აქვს 600 კუბ. საჟ. გუშინვე გაიცა განკარგულება წნორის რაიონიდან შეშის დაუყოვნებლივ გამოზიდვის შესახებ. რაც შეეხება შეშის ჩამოზიდვას ფოთის ხაზიდან, ეს საკითხი დაკავშირებულია საუღელტეხილო ხაზზე მოძრაობის საშუალებათა გადიდებასთან.

ა.-კ. რკინისგზის გამგეობის წევრის ინჟ. გ. ბერიძის განკარგულებით, გუშინდელიდან დაინიშნა ერთი წყვილი საბარგო მატარებელი შეშის გამოსაზიდად ფოთის რაიონიდან. ეს მატარებელი აწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ შეშის გამოზიდვას ფოთიდან. ამასთანავე აღიძრა შუამდგომლობა, რომ დაინიშნოს კიდევ ერთი წყვილი მატარებელი.

ფასები თამბაქოზე

უმაღლეს ორგანოების გადაწყვეტილების თანახმად მეთამბაქოებს დამზადებულ თამბაქოში [illegible] შემდეგი ფასები:

აფხაზეთში მეორე კატეგორიის სამსონზე: პირველი ხარისხის თამბაქოზე ფუთში 50 მანეთი 52 კაპ., მეორე ხარისხის—37 მან. 89 კაპ., მესამე ხარისხის—25 მან. 26 კაპ., მეოთხე ხარისხის—12 მან. 63 კაპ..

სამეგრელოში და გურიაში—სამსონზე: პირველი ხარისხის თამბაქოზე ფუთში—36 მან., მეორე ხარისხის—28 მან., მესამე ხარისხის 19 მან., მეოთხე ხარისხის—11 მან..

ტრაპიზონზე: პირველი ხარისხის 27 მან., მეორე ხარისხის 21 მან., მესამე ხარისხის 15 მან მეოთხე ხარისხის 8 მანეთი.

ტრაპიზონის დამატებითი სამეგრელოში მეთამბაქოებს მიეცემათ დამატებით 2 მან. და 50 კაპ. ფუთში და 15 კაპ. კილოგრამში.

აფხაზეთის და ლაგოდეხის ტრაპიზონზე ფასები ჯერ საბოლოოდ არ არის დამტკიცებული.

რკინისგზაზე

საგუშაგო შენობები

ა.-კ. რკინისგზების გამგეობამ გადასდო 80.000 მანეთი თბილისში და ბალაჯარაში რკინისგზის დამცველ რაზმისათვის საგუშაგო შენობების ასაშენებლად.

დაჯახება

გუშინ განჯა - განჯის ქალაქის ვიწრო ხაზზე სახალხო მატარებელი № 50, მაუდის ფაბრიკის ახლოს დაეჯახა ურემს.

დაჯახების დროს დაიხოცა ურემში შებმული ორი კამეჩი და ლიანდაგს ასცდა 3 [illegible].

ადამიანთა მსხვერპლს და ლიანდაგის დაზიანების ადგილი არ ჰქონია.

მივლინების გასამრჯელოს შემცირება

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ჩხეიძის და საგზაო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. საბაშვილის ხელმოწერით, გზის ყველა ხაზებზე დაიგზავნა დეპეშა მივლინების გასამრჯელოს შემცირების შესახებ.

მივლინებაში გაგზავნილ მუშაკის მიერ გაწეულ ხარჯების დასაფარავად, დამქირავებელი აძლევს მუშაკს თვიური ხელფასის ერთ-მეოცედს (აქ არ შედის დაქირავებული ბინის ქირა) მაგრამ ეს თანხა არ უნდა იყოს 2 მან. 50 კაპიკზე ნაკლები და 10 მანეთზე მეტი.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

გუშინწინ დილით სოხუმში თოვდა. გუშინ არ უთოვია, იდგა წყნარი და მოღრუბლული დარი. ყინვა იქ უდრის 0,6 გრადუსს.

ფოთში გუშინ ღამით წამოვიდა მარცვლისებური თოვლი. დღისით ჰქროდა სუსტი ქარი. ყინვა იქ უდრის—3,4 გრადუსს.

ბათომში თოვა შესწყდა 16 თებერვალს. თოვლის სიღრმემ იქ 60 სანტიმეტრს გადააჭარბა. ქუჩები აჭედილია სახურავებიდან გადმოყრილი თოვლით და ამის გამო ავტომობილების მიმოსვლა ქალაქში შეწყვეტილია.

სამტრედიაში ნახევრად ღრუბლიანი და წყნარი დარი დადგა. ყინვა უდრის 7,4 გრადუსს.

ჭიათურაში გუშინ თოვლი მოდიოდა. თოვლის სიღრმე აღწევს—20 სანტიმეტრს. ყინვა უდრის 5 გრადუსს ცელსიუსით.

გორში გამოიდარა. იქ ღრუბლიანი და წყნარი ტაროსი დაიჭირა. ყინვა უდრის -6,9 გრადუსს.

თბილისშიაც გამოიდარა. უკანასკნელ დღეებში მზიანი დღეები სდგას, მაგრამ სცივა. ყინვაა —8 გრადუსამდე.

უფრო ყინავს ყარაიაზში. იქ ყინვა 13,2 გრადუსამდე აღის.

ლენინაკანში. განსაკუთრებით საგრძნობი ყინვები დაიკავა ლენინაკანში, აღწევს 32 გრადუსს.

ბაქოში კარგი ამინდებია. ყინვა არ აღემატება 2 გრადუსს.

ზღვებზე, (როგორც შავ, ისე კასპის ზღვაზე) სიწყნარეა.

გურიაში თოვლის სიღრმე აღწევს არშინ-ნახევარს, მთიან ადგილებში მეტსაც კი აღწევს. დიდი თოვლის გამო სკოლებში მეცადინეობა შეწყვეტილია.

ტყიბულში თოვლის სიღრმე აღწევს არშინნახევარს, ქუთაისში—1 არშინს.

თოვლი ტყიბულში

ქუთაისი, 17 თებერვ. უკანასკნელ ორ დღეში ტყიბულში 1-ნახევ. არშინი თოვლი დასდო. [illegible] თოვლის სიღრმე 2 არშინამდე აღწევს, ქუთაისში 1 არშინამდე. (ადს).

მიწის მთხრელი გემი

საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურმა სამმართველომ ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების განყოფილებას გადასცა მიწისმთხრელი გემი „კალიაევი", რომელიც არხანგელსკიდან გადმოყვანილ იქნა შავ ზღვაში. ამ მოკლე ხანში „კალიაევი" ოდესიდან მოვა ბათომში. მიწისმთხრელ გემის „კალიაევი"-ს საშუალებით ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველო მნიშვნელოვნად გააფართოვებს მუშაობას ნავთსადგურების გასაღრმავებლად.

სასამართლო

სახსპირტის თანამშრომელთა პროცესი

მეექვსე დღე

გუშინდელ სხდომაზე სასამართლომ გამოაცხადა ზოგიერთი მოწმეების ჩვენება მიცემული წინასწარი გამოძიების დროს. ამ მხრივ საინტერესოა სახსპირტის ცენტრალური სამმართველოს იმ თანამშრომელთა ჩვენება, რომლებიც ვერ გამოცხადდენ სასამართლოს პროცესზე.

გამოირკვა, რომ ბრალდებულ ტერ-ავაკოვს არ ჰქონდა უფლება საქონლის ნისიად გაცემისა. დადასტურდა ის გარემოება, რომ ტერ-ავაკოვი ხელს უწყობდა კერძო კაპიტალს.

ცენტრალურ სამმართველოს ზოგიერთ თანამშრომლების სიტყვით, ტერ-ავაკოვმა სახსპირტს მიაყენა 100.000 მანეთის ზარალი.

დღეს მოსმენილი იქნება ექსპერტების დასკვნა.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ამხ. ო. გაბუნიას თავმჯდომარეობით გაარჩია იოსებ ჭრელაშვილის და ელენე ბესხანაიას საქმე.

ჭრელაშვილს და ბესხანაიას ბრალდებოდათ ხულიგნობა.

სასამართლომ მოწმეთა დაკითხვით და საქმეში დართულ მასალების მიხედვით ჭრელაშვილი და ბესხანაია დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მათ 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მოქ. რეიმანის თავგადასავალი

61 წლის ისაკ რეიმანი მუშაობდა საქართველოს სახსპირტის ტრესტში მეექვსე ქარხნის მოლარედ.

1925 წ. ოქტომბრის თვეში ისაკი ყოველთვის ნაშუადღევს, ზოგჯერ გათენებისას ბრუნდებოდა სახლში. მისი ცოლი გაკვირვებული იყო, თუ რამ გამოიწვია ისაკის ცხოვრებაში ასეთი ცვლილება. თურმე საქმე იმაში ყოფილა, რომ რეიმანს შეუყვარდა ბანქოს თამაში. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ის ცოლთან ერთად დადიოდა ნაცნობ-მეგობრების ოჯახებში და თამაშობდა.

ამგვარად ისაკი „კაზინოს" მუდმივი მუშტარი გახდა.

ჯამაგირი სახლში მთლიანად მიჰქონდა და ამიტომ ცოლთან უკმაყოფილება არ ჰქონდა.

რეიმანს სიბერის დროს სხვა „უბედურებაც" შეემთხვა. შეუყვარდა 24 წლის ქალი. ე. თ—ი. და სახსპირტის ფულებს მას ახარჯავდა.

სახელობის დღეს ე. თ—ს ნიშნად უზომო პატივისცემისა და სიყვარულისა მიართვა საჩუქრად ოქროს სამაჯური, ოქროს საათი, ბეჭდები და სხვ.

რომ მის ცოლს ყოველივე ეს არ გაეგო, ქარხანასთან დაიქირავა ოთახი, ხოლო ცოლს განუცხადა, რომ ის დატვირთულია დიდძალი საქმეებით და ცალკე ოთახში ღამეს ათევს. სინამდვილეში კი ახალ ბინაზე მოათავსა ე. თ—ს ქალი და დროს ქეიფობაში ატარებდა.

ისაკის ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1925 წ. ნოემბერში ისტუმრა რევიზია, რომელმაც გამოარკვია, რომ რეიმანს გაუფლანგავს 3.308 მანეთი.

გუშინ ამ საქმის გარჩევა დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. სიმონოვას თავმჯდომარეობით და პროკურორ ქავთარაძის მონაწილეობით.

სუსლინის, მასხულიას და ტარსეის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ი. რამიშვილის და აბაშიძის მონაწილეობით დაიწყო ინგლისის სამთომადნო ფირმის „ფარგურუნდ და სელარის" ყოფილ რწმუნებულის გიორგი ტარსეის, საზოგადოება „ჩემო"-ს ყოფილ თავმჯდომარის მიხეილ მასხულიას და რუსეთ - აზიურ ბანკის სალიკვიდაციო განყ. ყოფილ გამგის მიხეილ სუსლინის საქმის გარჩევა.

სუსლინს ბრალდება ყალბი საბუთების შედგენა, რომლის ძალით ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე დაგროვებული მარგანეცი, დაახლოვებით 700.000 ფუთი, მიაკუთვნა ინგლისის „კლაიდესდალ ბანკს".

სუსლინს ბრალდება აგრეთვე ინგლისის „კლაიდესდალ ბანკის" რწმუნებულის ჯონ-ელიოტისაგან ქრთამის აღება.

მასხულიას და ტარსეის ბრალდებათ ქრთამის მიცემა.

ბრალს სდებს პროკურორი ლ. ჟღენტი, ბრალდებულების იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: პ. ქავთარაძე, შ. მესხიშვილი და გრ. ბარათაშვილი.

გუშინ დასრულდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა და დაკითხეს ბრალდებული სუსლინი, რომელმაც დამნაშავედ არ სცნო თავი.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

პრემიები

ქუთაისი, 17 თებერვ. ქუთაისის აგროსექცია შეუდგა პრემიების დარიგებას თესლის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების სახით, სულ 1.325 მან. რაოდენობით. პრემიები მიეცემათ სამაგალითო სასოფლო - სამეურნეობებს, რომელთა რიცხვი ქუთაისის მაზრაში 24-მდეა. (ადს).

აგროწრეები

ქუთაისი, 17 თებერვ. ქუთაისის აგროსექციამ მაზრაში მოაწყო ოთხი აგროწრე. წრეებში შეუდგენ მუშაობას. ამ დღეებში კიდევ მოეწყობა 17 აგროწრე სათემო ცენტრებში. (ადს).

ბრძოლა გრიპთან

ქუთაისი, 17 თებერვ. ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის ორ-კვირეულ კურსებს დაბალი საექიმო პერსონალის მოსამზადებლად მოსალოდნელი გრიპის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. კურსები ნავარაუდევია 100 კაცისათვის. (ადს).

[illegible] ყვავილის წინააღმდეგ

ქუთაისი, 17 თებერვ. ვინაიდან მაზრაში თავი იჩინა ყვავილის ეპიდემიამ, ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა მოსახლეობის მასიურ აცრას როგორც ქალაქ ქუთაისში, ისე მაზრაში. ამ მუშაობისათვის გამოყოფილია ორი ექიმის თანაშემწე. (ადს).

ორ თემში პატრიკეთში და კულაშში უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში აცრეს ათი ათას მცხოვრები. (ადს).

ცხენის ქურდების დაპატიმრება

ახალ-სენაკი, 17 თებერვალი. ამას წინეთ მაზრის ზოგიერთ სოფლებიდან მოიპარეს ცხენები. ცხენის ქურდები შაიკის ხელმძღვანელები ლომთაძის მეთაურობით, დააპატიმრეს. ცხენის ქურდებს კავშირი ჰქონდათ კონტრაბანდისტებთან და მოპარულ ცხენებს ჰყიდდენ საქართველოში და აჭარისტანში. ჯერ-ჯერობით მონახეს 5 ცხენი. მიღებულია სასწრაფო ზომები დანარჩენების აღმოსაჩენად (ადს).

გამსვლელი სესია

ახალციხე, 17 თებერვ. ჩამოვიდა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია. სესია გაიხსნა 15 თებერვალს. სესია გაგრძელდება ერთი თვე და გაარჩევს 40 საქმეს.

სხვა საქმეთა შორის გაირჩევა ვალეის აღმასკომის თავმჯდომარის კაზაროსოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედება ფულების გადამეტება, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის მითვისება და გაფლანგვა. ამ საქმეზე გამოწვეულია 48 მოწმე. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო კურსები

სიღნაღი, 17 თებერვ. სიღნაღის მაზრის აგროსექციამ მოაწყო ორკვირეული სასოფლო სამეურნეო კურსები ტიბაანში, არაშენდაში, კაჭრეთში, გურჯაანში და ლაგოდეხში. კურსებზე იმართება საუბარი მემინდვრეობაზე, მებოსტნეობაზე, მესაქონლეობაზე, ვეტერინარიაზე და სხვ. კურს - დამთავრებულებს დაურიგდებათ სასოფლო - სამეურნეო წიგნაკები და სხვ. (ადს).

კახეთის ბამბა

სიღნაღი, 17 თებერვ. ბამბის მიღება დამთავრდა. შეგროვილია 7.000 ფუთი. წარსული წლის კამპანიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გლეხობა დიდის ინტერესით ეკიდება მებამბეობას. ბევრი მევენახე და მეთამბაქოე გამოსთქვამს სურვილს, რომ მომავალ სეზონიდან შეუდგეს ბამბის დათესვას.

მიღებული ავანსები ჯერ ყველას არ დაუფარავს. დავალიანება აღწევს 30.000 მან. სესხს არ აბრუნებენ უმთავრესად შეძლებული გლეხები. (ადს).

მგლები და დათვები.

თელავი, 17 თებერვალი. ალაზნის გაღმა მხარის სოფლებში გამოჩნდენ მგლები და დათვები, რომელნიც საქონელს ანადგურებენ. ამის გამო მონადირეთა კავშირმა დაადგინა მოაწყოს ნადირობა მგლებზე და დათვებზე (ადს).

წერილები

მევახშეობა სოფლად

მევახშეობა, სოფლის ძველი ნაცნობი ჭირი. ისევ იკიდებს ფეხს აქა-იქ. უკვე გაჩნდა ისეთი პირები, რომლებსაც მევახშეობით გლეხობის ტყავის გაძრობა ხელობათ გაუხდიათ. ეს ელემენტები გასესხებულ ფულზე ღებულობენ ზღაპრულად დიდ სარგებელს. არის შემთხვევები, როცა „თავნის თავნსაც" ითხოვენ. გაჭირვება აიძულებს გლეხს, რომ ყოველივე პირობაზე დასთანხმდეს.

ამრიგად ერთხელვე მევახშის კლანჭებში მოხვედრილი გლეხი ხშირად ვეღარ პოულობს საშუალებას ამ კლანჭებისაგან თავის დასაღწევათ, რადგან თუ რამე ფული ჩაიგდო ხელში გლეხმა, ეს ფული თითქმის მარტო სარგებლის გასტუმრებას უნდება.

რატომ ხდება ეს? ცხადია სოფლად მევახშეობის ზრდის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენი საკრედიტო მუშაობის სისუსტეში უნდა ვეძიოთ. უდაოა, რომ იმ სარგებლით, რომელსაც გლეხს ხელიდან აცლის მევახშე, ადვილად შეიძლებოდა ამ გლეხის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობაში შეყვანა. ეს კი არ ხდება ჯერ ერთი იმიტომ, რომ გლეხკაცობის ფართო ფენებმა კიდევ არ იციან საკრედიტო ამხანაგობათა მიზანი და მნიშვნელობა. ამას გარდა ზოგიერთი საკრედიტო ამხანაგობები თავიანთ უხეირო მუშაობის წყალობით თვითვე უკეტავენ გლეხს გზას მევახშისაკენ.

ასე მაგალითად ცუდად მომუშავე ამხანაგობას, არასოდეს საჭიროების დროს ფული არა აქვს სალაროში. გლეხს კი ცდა არ შეუძლია. მევახშე სწორედ იმიტომ იგდებს ხელში ასე ადვილად გლეხს, რომ მას ფული მზათ აქვს სკივრის კუთხეში. ოღონდ სარგებელზე მორიგდეს და მოვალე სიმედო კაცათ იცნოს, და იმავე დღეს ფულსაც იქვე გადმოუთვლის.

გარდა ამისა საკრედიტო ამხანაგობებში ზოგჯერ ადგილი აქვს ბოროტმოქმედებასაც—ნათლიმამობას, კრედიტების უსამართლოთ და არათავის დანიშნულებისამებრ გაცემას.

მევახშეობის პირველი მტერი საკრედიტო ქსელია. ამ ქსელის გაფართოებისა და საკრედიტო ამხანაგობათა გაჯანსაღებისაკენ უნდა იქნას მიმართული მთავარი ყურადღება მევახშეობასთან ბრძოლის საქმეში.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მევახშეობის წინააღმდეგ ჩვენ არ უნდა მივიღოთ ადმინისტრატიული ხასიათის ზომებიც. აქ ჩვენ დიდათ მოვიკოჭლებთ. ბევრგან მევახშეობას ბოროტებათ არ სთვლიან. ის ნორმალურ მოვლენად მიაჩნიათ. ასეთ შეხედულებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. მევახშეების წინააღმდეგ ჩვენ უნდა ავამოქმედოთ, როგორც საკრედიტო ამხანაგობები, ისე აღმასკომები და ჩვენი დამსჯელი ორგანოები.

ს .ლ—კი.

ჩვენ რა დავაშავეთ

(ლანჩხუთი, გურია)

ლანჩხუთის თემი გურიაში მჭიდროთ დასახლებული კუთხეთაგანია, სადაც მცხოვრებთა კულტურულ საზოგადოებრივი მოთხოვნილება დიდია. მაგრამ სამწუხაროთ კულტურული მუშაობა ძლიერ მოისუსტებს. აქ მრავალათ მოიპოვებიან კულტურული მუშაკნი. მაგრამ საიმისო საშუალებანი ძლიერ ცოტაა, რომ მუშაობა გამოცოცხლდეს. არ გვაქვს სახალხო სახლი და ქოხ-სამკითხველოც ვერავითარ საზოგადოებრივ კულტურულ მუშაობას ვერ ეწევა.

ამ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება მოწინავე გლეხებმა და ინტელიგენტურ ძალებმა. გასული წლის აგვისტო-სექტემბრის რიცხვებში გახსნილი იქნა „ლანჩხუთის პროფკავშირთა კლუბი", რომელიც პირველ ხანებში მოისუსტებდა. მაგრამ ეხლა მისი მუშაობა თანდათან უმჯობესდება. კლუბის გახსნას სიხარულით შეეგება ადგილობრივი მშრომელი ინტელიგენცია, და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ საკლუბო მუშაობაში ჩაბმულიყვნენ. მაგრამ დახეთ ამ მოწყურებულ სურვილს ახალგაზრდობისას, რომელთაც გულცივათ შეეგებნენ რამდენიმე პროფკავშირის წევრები და არ ინდომეს ისეთი ახალგაზრდობის გაერთიანება ამ საქმეში, რომლებიც პროფკავშირის წევრები არ იყვნენ.

ასეთი ახალგაზრდობა კი ლანჩხუთში ბევრი მოიპოვება, უმეტესობა კი საშუალო დამთავრებულები, რომლის რამე კულტურულ სამუშაოზე გამოყენება შეიძლება.

ნეტავ რა დააშავა ამ ახალგაზრდობამ? განა პროფკავშირის წევრი თუ არ არის არ შეიძლება ისე? მით უმეტეს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მიზნად ისახავს ჩააბას [illegible] ხალხი საზოგადოებრივ-კულტურულ და საწრეო მუშაობაში და სხვადასხვა სექციებში, რომელიც ნაყოფს მოუტანს ჩვენს საქმიანობას და წინ წასწევს კულტურულ მუშაობას.

საჭიროა ჩვენი კლუბის გამგეობამ და ხელმძღვანელებმაც ასე მოიქცნენ და მთელი მშრომელი ინტელიგენტური და ახალგაზრდობის მოწინავე ძალები ჩააბან საკლუბო მუშაობაში.

ახალგაზრდა.

წერილებიდან

ალაზნის არხი (სიღნ. მ.)

მოქეიფე დარაჯი. ალაზნის არხის მასალის უფროს დარაჯათ არის ვინმე ანტონა ეგიაზაროვი, კაცი ღვინისა და ქეიფის მოყვარული. ის არხის მუშებს დოქებით აზიდვინებს ღვინოს სადარაჯოზე. თამადათაც თვითონ წამოჯდება.

სვამს ღვინოს კონიაკი ჯამით, თვითონ და სხვებსაც ალევინებს. მუშები იმდენათ დაშინებული ჰყავს, რომ უარის თქმას ღვინის მიტანაზე ვეღარ ბედავენ.

ბალის თვალი.

ჯურუყვეთი (გურია)

გიგოს „სკოლა". ჩვენს თემში არის ჩარჩი-ვაჭარი გიგო იათაძე, რომელიც არ ჯერდება გლეხობის ყვლეფას და, რომელმაც დამატებითი შემოსავლის წყაროთ ბანქოს თამაში გაიხადა. ის უყრის თავს ბანქოს მოთამაშეებს, მომეტებით ახალგაზრდებს და უკანასკნელ გროშებს აცლის მათ ხელიდან. დროა ეს ყაჩახანა მიაკეტოს თემის ხელისუფლებამ.

ჭიჯვარელი.

ს. ზამბონი, (ზუგდ. მ.)

სამკითხველოს მაგივრად ნარდი. წინად ჩვენს სოფელში არსებობდა ქოხ-სამკითხველო, სადაც მრავალი რკინისგზის მუშები იყრიდა თავს, მაგრამ საუბედუროთ სამკითხველო მოხსნეს და ამდენი მუშა ხალხი უსამკითხველოდ დატოვეს.

ამით ისარგებლეს ჩარჩ-ვაჭრებმა, გააჩინეს ყავახანები, მოიტანეს ნარდი, ბანქო და დომინო. მუშები აქ მთელ დღეებს აღამებენ.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება, საჭიროა კვლავ გაიხსნას აქ სამკითხველო.

ვ. ქირია.

გორას თ. (ქუთ. მ.)

ქალაქს მოწყვეტილი ვართ. გორას თემი გზების უვარგისობის გამო მოწყვეტილია ქუთაისს. გლეხებს საშუალება არა აქვთ საჭირო სასყიდლებისათვის ხშირი მიმოსვლა აწარმოონ ქუთაისთან. გზებზე ისეთი ტალახია გამდგარი, რომ ხშირად ურმები იფლობა შიგ და რამოდენიმე დღეობით რჩება ამოუღებელი. თუ ამ გარემოებას ყურადღება არ მიექცევა ვისგანაც ჯერ არს?

არსენ გამრეკლიძე.

წითელ ჯარში

სამხედრო წვევამდე მზადება

დასრულდა 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადება.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წრევანდელი წვევამდე მზადება უფრო ორგანიზაციულად და მომზადებულად ჩატარდა, ვიდრე გასულ წლებში. ეს აიხსნება იმით, რომ წინასწარი მუშაობა მზადებისათვის დაიწყო დროულად და ამ მზადებაში ჩაბმული იყვნენ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები და დაწესებულებები.

იმ ახალგაზრდების სახელობითი სიები, რომელთაც ეხებოდა წვევამდე მზადების გავლა, გამოქვეყნებულ იქნენ წინდაწინვე, რათა ყველას ჰქონოდა შესაძლებლობა ადრევე მომზადებულიყო სწავლებისათვის.

იმ დაწესებულებებმა, სადაც მუშაობდენ წვევამდელნი, თავისი მხრივ მიიღეს ზომები წვევამდელთა დროზე განთავისუფლებლად სამუშაოდან.

ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად, წვევამდელთა გამოცხადება სამოსწავლო წერტებზე ფრიად დამაკმაყოფილებელი იყო. არც ერთ წერტზე არ ჰქონია ადგილი დამალვას, სიმულიაციას, მზადების თავიდან აცილების ცდას და დეზერტირობას.

აქაც დიდი როლი ითამაშა იმ საგიტაციო კამპანიამ, რომელიც ჩატარებულ იქნა მზადების დაწყებამდე. მოსახლეობას ფართოდ აეხსნა წვევამდე მზადების მნიშვნელობა. იმართებოდა სპეციალური საღამოები, მიტინგები. კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში ეწყობოდა საუბრები მზადებაზე. აგრეთვე ფართოდ იქნა გამოყენებული როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პრესა. ამის გარდა, სამხედრო უწყების მიერ გამოშვებულ და გავრცელებულ იქნა სპეციალური ბროშიურა სამხედრო წვევამდე მზადებაზე.

ყველა ამით მიღწეულ იქნა წვევამდელთა 100 პროცენტით გამოცხადება სწავლებაზე.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სოფლად და ქალაქად, მხურვალე მონაწილეობა მიიღო მზადების ჩატარებაში. მათი დახმარებით სამოსწავლო წერტები მოწყობილ და უზრუნველყოფილ იქნენ ყველა საჭირო მასალით და ინვენტარით. აღმასკომების, პროფ და პარტორგანიზაციების მიერ გაცემულ იქნა თანხები სახელმძღვანელოების შესაძენად. მათივე დახმარებით წერტებზე მოეწყო ლენინის და სამხედრო კუთხეები და მათთვის გამოწერილ იქნა გაზეთები და ჟურნალები.

რაც შეეხება წვევამდელების სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებას, აქაც არის დიდი მიღწევები. სწავლება წერტებზე შეუფერხებლად მიმდინარეობდა. წვევამდელნი მოწადინებულიყვნენ შეეძინათ რაც შეიძლება მეტი ცოდნა, თავისი ინიციატივით აარსებდნენ წრეებს და ჯგუფებს.

სამხედრო წვევამდე მზადების პროგრამა გავლილია სავსებით. წვევამ. შეიძინეს ისეთი ცოდნა, რომელიც მათ დიდათ გამოადგებათ სამხედრო სამსახურის გავლის დროს. ყველა მათგანმა კარგად იცის შაშხანის ხმარება, სამხედრო [illegible], წესდებები და სხვა.

წვევამდელების სახით ახლო მომავალში წითელი ჯარი მიიღებს მომზადებულ და შეგნებულს ახალ ძალას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო უწყებას ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებიდან მოსდიოდა შუამდგომლობა ამა თუ იმ წვევამდელის განთავისუფლების შესახებ მზადებისაგან. შემდეგში ეს აღარ უნდა განმეორდეს. ყველა დაწესებულებამ და მოქალაქემ უნდა შეიგნოს ის, რომ წვევამდე მზადებისაგან, როგორც სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან, არავინ არავითარ შემთხვევაში არ იქნება განთავისუფლებული.

ი. ხუციშვილი.

სოცდაზღვევა

ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

ა.-კ. ფედერაციის ტერიტორიაზე არსებულ სოცდაზღვევის ორგანოების 1926—27 წლის საერთო ბიუჯეტის წინასწარმა გამოკვლევამ გამოარკვია მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომლის მიზეზათ ითვლება: 1) სოციალურ დაზღვევის ანარიცხების სუსტი აკრეფა და 2) სოციალურ დაზღვევის ანარიცხთა ტარიფის შემცირება, განსაკუთრებით, საქართველოში.

დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და სოცდაზღვევის ორგანოების ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ მიმართა სოცდაზღვევის ორგანოებს ცირკულიარული წერილით, რომლის ძალით ძირითად ორგანოებს ევალებათ მიიღონ ყოველგვარი ზომები სოცდაზღვევის გადასახადების ასაკრეფად, დავალიანებათა აღმოსაფხვრელად და სოციალურ დაზღვევის გადასახადთა საერთო ტარიფის გასატარებლად ცხოვრებაში.

ამას გარდა, სოცდაზღვევის ორგანოებს ევალებათ გააძლიერონ მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად სიმულიაციასთან ბრძოლაში და სხვ.

ტყეების მოწყობა

წარსული წლის შემოდგომაზე სვანეთის ტყეების მოსაწყობათ გაგზავნილი იყო ტყის მომწყობთა პარტია, რომელმაც ადგილობრივ ჩაატარა შესაფერი მუშაობა და ჩამოიტანა თბილისში გადასამუშავებელი მასალები. აღნიშნულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ტყეების მომწყობი სპეციალური პარტია შეუდგება საქართველოს სხვა ტყეების მოწყობას.

გაზაფხულიდან პირველ რიგში ჩატარდება გურიისა და სენაკის მაზრის სატყეოების მოწყობა. სატყეოებში ადგილობრივ მასალების შეკრების შემდეგ მოხდება ამ მასალების დამუშავება.

მომავალი სატყეო სასეზონო მუშაობის დროს გადაწყვეტილია ჩატარდეს რესპუბლიკის ყველა მნიშვნელოვან ტყეების მოწყობა.

მეფრინველეობა

ამას წინად მიწათმოქ. სახ. კომისარიატის ინიციატივით მოწყობილ იყო მეფრინველეობის შემსწავლელი მოკლევადიანი კურსები, რომელიც დაასრულა ოცმა კაცმა. კურსების მოწყობის მიზანი იყო მეფრინველეობის მცოდნე მუშაკთა მომზადება, რომ მათ ხელმძღვანელობა გაეწიათ პროვინციაში მეფრინველეობის აღორძინების საქმისათვის.

ამ დღეებში მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ სამტრედიაში უკვე დაარსდა მეფრინველეთა ამხანაგობა სახელწოდებით „ფრინველი". ახალ ამხანაგობას მიზნად აქვს დასახული მოაწყოს მეფრინველეობის ყველა პროდუქტების დამზადება, ჩაწყობა, გადაგზავნა და გასაღების საქმე.

ამხანაგობის წესდება უკვე დამტკიცებულია.

მეხანძრეთა კურსები

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილებას თბილისში მოწყობილი აქვს მეხანძრეთა კურსები, რომელმაც უკვე ორჯერ გამოუშვა კვალიფიციური მეხანძრეები.

კურსდამთავრებულები გაგზავნილი არიან სამუშაოდ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

მეხანძრეთა კურსები არსებობს ამჟამადაც. სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული კურსანტები ჩარიცხული არიან თბილისის მეხანძრეთა ჯგუფში, სადაც ისინი პრაქტიკულად სწავლობენ ცეცხლის ქრობის საქმეს.

კურსებზე მიღებული არიან სიღნაღიდან, ხაშურიდან, დუშეთიდან, ონიდან, ახალქალაქიდან, აფხაზეთიდან და თბილისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნიდან გამოგზავნილი ამხანაგები.

ქრონიკა

მთავარ არქივში

— განათლების კომისარიატის კოლეგიამ მთავარ არქივის სამეცნიერო საბჭო დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. ჯავახიშვილი, 2. პროფ. კეკელიძე, 3. პროფ. აკ. შანიძე, 4. ეუკოლ ბერიძე, 5. სვ. ყაუხჩიშვილი, 6. სვ. ჯანაშია, 7. გ. ნათაძე, 8. პროფ. წერეთელი, 9. სვ. ხუნდაძე, 10. მიქაძე ორბილი, 11. ასათიანი, 12. ლეო შენგელაია, 13. ის. იობიძე, 14: ა. საყვარელიძე და 15. ზ. [illegible].

განათლების კომისარიატში

◆ **ლაბორატორიების გასაცნობათ.** განათლების სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოიწვიოს პროვინციებიდან სპეცტეხნიკუმების მასწავლებლები თბილისის სპეც. ტეხნიკუმების და ლაბორატორიების მუშაობის გასაცნობად.

◆ **ბერძნული შრიფტი.** განათლების სახ. კომისარიატმა შეიძინა ბერძნული შრიფტი ბერძნული სახელმძღვანელოების დასაბეჭდათ.

◆ **ეროვნულ უმცირესობათა** საბჭოსთან არსებულმა კომისიამ შეიმუშავა სომხური ენის და ლიტერატურის პროგრამები სომხურ 7 და 9 წ.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **აგროპუნქტი.** მიწსახკომმა სიღნაღის მაზრაში კაქრეთის რაიონში გახსნა აგრონომიული პუნქტი.

◆ **სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანების** გამოფენაზე (ბაკურციხეში) საუკეთესო ექსპონატებზე გაცემული იქნა სამი ჯილდო.

◆ **მინდვრის მავნებლები.** წნორის წყალის რაიონში ჩატარებული იქნა ბრძოლა მინდვრის თაგვების წინააღმდეგ. 107 დესეტინა სივრცეზე.

◆ **საჩვენებელი მინდორი.** სოფ. ცოდნისკარში (სიღნაღის მაზრა) აგროპუნქტთან მოეწყო საჩვენებელი მინდორი სხვადასხვა თესლეულობის დასამზადებლად.

კრებები და მოხსენებები

◆ კვირას, ა.-წ. 20 თებერვალს, დღის 12 საათზე, ტ. ს. უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შესდგება ახლად დაარსებულ **„ტ. ს. უ. სტუდენტთა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზ“**-ზის პირველი საერთო კრება.

სხვა და სხვა

◆ მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა ამუშავებული იქნება საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავზე.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** აჯიჭაბულიდან—გიგინეიშვილს, აჩიკულაკიდან—გიგაურს, მეშედიდან—ხაჩატურიანცს, ბათომიდან — პეტროვისას, ბელიასუვარიდან — დზევიცკისას, რიონიდან — ტერასატუროვს, დნეპროპეტროვსკიდან — ხაპოლოვიჩს ბათომიდან — ასროღლის.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟაზე სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებული არიან შემდეგი პირები:

გონებრივ შრომის მუშაკთა სექციაში: ოგანეზოვი თამარ, აბგაროვი გრიგოლ, ორაგველიძე ელისაბედ, ჯიბუტი თამარა, ხუნდაძე ვერა, ნეუტაშვილი ოლღა, მჭედლიშვილი ელისაბედ, უშვერიძე ნინა და მათითაიშვილი იპოლიტე.

კვალიფიციურ მუშათა სექციაში: მამულაშვილი დიმიტრი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ცნობაში „რადიოფიკაცია“ დაშვებულია შეცდომით:

დასაწყისში სწერია: „საქ. პოლიტიკურ სამმართველომ დასდო ხელშეკრულება რადიო-პერედაჩასთან“... უნდა იყოს — ა.-კ. ცაკმა დასდო ხელშეკრულება.

მე-7 სტრიქონში ზევიდან სწერია: „აქედან 68 სადგური“... უნდა იყოს: „აქედან 62 სადგური“.

შემთხვევები

მგლები აეროდრომზე

გუშინწინ სოღლიდან შეშიანი ურმით მომავალი გლეხი ღამის გასათევად დაბინავდა აეროდრომთან (ნავთლუღში).

ღამით ურემს თავს დაესხნენ მგლები და გაგლიჯეს ურემზე მიბმული ძაღლი. ძაღლის ყეფაზე გლეხს, რომელსაც ურემს ქვეშ ეძინა, გაეღვიძა. მასაც ცუდი დღე ლაადგებოდა ალბათ, რომ ყვირილი არ აეტეხა და ახლო-მახლო მცხოვრებნი არ მიეშველებოდნენ.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით მოგნინის ქ. 6 გაქურდეს მე-7-ე შრომის სკოლა.

◆ კარების გატეხის საშუალებით 16 თებ. პიროგოვის ქ. 1 გაქურდეს ლეონიდ კობულკინის ბინა.

◆ პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ სამკითხველოდან 16 თებ. მოიპარეს კედლის საათი.

◆ ამავე დღეს ეჩმიაძინის ქ. 3 გაქურდეს ბოტაშა ოგანეზოვის ბინა. წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

ხელოვნება

ხელოვნების მუშაკთა კავშირი და სახელმწიფო ოპერა

თბილისის სახელმწიფო ოპერის მდგომარეობა ვერ არის სანუგეშო. ოპერის საქმეების განხილვას და მოწესრიგებას სერიოზულად ხელი მოკიდა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ, რომელმაც თავის სხდომაზე მოხსენების გასაკეთებლად დაიბარა ოპერის დირექტორი ამხ. ევლახიშვილი. მიღებულ დადგენილებაში ცენტრალურმა გამგეობამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ოპერის მდგომარეობა გასულ სეზონებში და მიმდინარე სეზონშიც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. რისი მიზეზიცაა:

დასის დაგვიანებით შედგენა, ოპერის შტატის შემცირება შუა სეზონში, ოპერის მუშაკთა ხელფასის განაკვეთების შემცირება, დასის შევსება შუა სეზონში, ხელფასის გაცემის სისტემატიური დაგვიანება და ის გარემოება, რომ თეატრის შენობის სხვა თეატრების (მოსკოვის სამხატვრო თეატრი, სამხატვრო თეატრის მუსიკალური სტუდია, მეიერხოლდის თეატრი) გასტროლებისათვის დათმობის დროს სახელმწიფო ოპერის დირექციამ ვერ გამოიჩინა საჭირო სამეურნეო უნარიანობა.

კავშირმა სახელმწიფო ოპერის საქმეებისათვის საზიანოდ სცნო აგრეთვე განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ჩარევა სახელმწიფო ოპერის დირექციის სამეურნეო, საშტატო და განმანაწილებელ ფუნქციებში, რასაც ადგილი აქვს ამჟამად.

თბილისის ოპერის დირექტორების შეცვლა სეზონების მიხედვით, კავშირის აზრით, სრულებით არ უწყობს ხელს საოპერო საქმის გაუმჯობესება-განვითარებას.

თბილისის სახელმწიფო ოპერის დავალიანება მიმდინარე წლის 15 იანვრისათვის უდრიდა 26.889 მანეთს.

თვითეული წარმოდგენის საშუალო თვითღირებულება უდრის 1.500 მანეთს; ამავე დროს თვითეული წარმოდგენის საერთო შემოსავალი საშუალოდ მიმდინარე სეზონში არ აღემატება 860 მანეთს.

ამრიგად, სახელმწიფო ოპერა თავისი წარმოდგენების შემოსავლიდან ფარავს მხოლოდ იმ თანხის 57 პროცენტს, რომელიც საჭიროა მისი უდეფიციტო არსებობისათვის.

ოპერის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე დარჩა კიდევ სამი თვე—ანუ 72 წარმოდგენა

თუ ვივარაუდებთ, რომ შემოსავლის საერთო ციფრი სახელმწიფო ოპერაში გაიზრდება ათას მანეთამდე, მაშინაც კი აღნიშნავს კავშირი—სახელმწიფო ოპერას დასჭირდება დოტაცია 36.000 მანეთის რაოდენობით, რომ სეზონი ბოლომდი მიიყვანოს.

სეზონის დახურვიდან ახალი სეზონის დაწყებამდე, ხუთი თვის განმავლობაში სახელმწიფო ოპერამ უნდა დახარჯოს 25.000 მანეთი მისი მუდმივი ტეხნიკური მუშაკების ხელფასზე. ეს თანხაც ჯერჯერობით არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, ამისათვის საჭირო იქნება კიდევ ახალი დოტაცია.

მიიღო რა ყველაფერი ეს მხედველობაში, კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ აუცილებლად სცნო: დაუყონებლივ წამოაყენოს განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ხელოვნების განყოფილების წინაშე საკითხი, როგორც სახელმწიფო ოპერის ძველი დავალიანების—26.889 მანეთის—ლიკვიდაციის შესახებ, ისე იმის შესახებაც, რომ თბილისის ოპერას მიეცეს მიმდინარე წელში დამატებითი დოტაცია 25.000 მანეთის რაოდენობით, სულ კი 61.000 მანეთი.

კავშირმა წინადადება მისცა აგრეთვე ოპერის ადმინისტრაციას ყურადღება მიაქციოს უბილეთო ადგილებს, მათი 10-დე შემცირების მიზნით.

მუდმივი უბილეთო ადგილები, რომელთა რაოდენობა სახელმწიფო ოპერაში უდრის 150-ს (სახაზინო ლოჟებში) შემცირებული უნდა იქნეს მინიმუმამდე; მეტი კომერციული ანგარიშით უდა იქნეს აგრეთვე გამოყენებული თეატრის გაცემა, როგორც სეზონის განმავლობაში, ისე მისი დამთავრების შემდეგ და მეტი მოგებით უნდა იქნეს გაცემული იჯარით ბუფეტი და სხვა საიჯარო მუხლები.

ამავე დროს ოპერას წინადადება მიეცა შეიმუშაოს და ცხოვრებაში გაატაროს მუშათა აბონემენტების სისტემა, რომელმაც უკვე დადებითი შედეგები გამოიღო საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დრამატიულ და საოპერო თეატრებში.

ეს უეჭველად ხელს შეუწყობს სახელმწიფო ოპერის შემოსავლიანობის გადიდებას და მასში მუშათა ფართო მასსების ჩაზმას მაყურებლების სახით. ამასთანავე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ოპერას არ ყავს სპეციალური პირი—სამხატვრო ნაწილის გამგე. ამის გამო სახელმწიფო ოპერამ მრავალ დადგმებს „უპატრონობის“ ნიშანი აზის.

ოპერის ადმინისტრაციას წინადადება მიეცა აგრეთვე უფრო რაციონალურად განაწილოს მუშაობა დასის შემადგენლობის შორის.

ამასთან ერთად კავშირმა აუცილებლად სცნო მიიღოს ზომები, რომ სახელმწიფო ოპერა განთავისუფლებული იქნეს საქალაქო გადასახადისაგან, როგორც ამას ადგილი აქვს რუსეთში, უკრაინაში და აზერბეიჯანში.

წითელი ჯვრის გადასახადისაგან სახელმწიფო ოპერა განთავისუფლებულია. კავშირის აზრით, წრევანდელი სეზონი გასულ სეზონებზე უარესია. კავშირი კატეგორიულად მოითხოვს თავის დროზე იქნეს აღმოფხვრილი სახელმწიფო ოპერაში ყველა აღნიშნული ნაკლულოვანებანი.

იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ოპერა მომავალ სეზონშიაც არ იქნეს ავადმყოფი ორგანიზმი—ოპერის საწარმოო გეგმები, შტატები, ხარჯთაღრიცხვა და მომავალ 1927—28 წლისათვის საჭირო დოტაცია, კავშირის დადგენილებით, შემუშავებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის მარტში.

ა. ს.

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები:

ქ. ორაგველიძე — „ნამდვილი და ყალბი მარქსიზმი“ (ნოე ჟორდანიას საპასუხოდ). წიგნში განხილულია ქართველ მენშევიზმის და კერძოთ ნოე ჟორდანიას თეორია და პრაქტიკა რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდეგ. შეიცავს 202 გვერდს. ღირს 1 მ. 50 კ.

ლევ გუმილევსკი — „ხარიტა“ — საბავშვო ფანტასტიური რომანი „ხარიტას“ ცხოვრების. თავგადასავალი და იმის შესახებ, თუ როგორ იპოვა მან კარლ მარქსის ქალაქი“. წიგნი ნათარგმნია განათლების კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ მართველობის სამხ. სექციის რედაქციით, შეიცავს 300 გვერდს დასურათებულია დ ღირს 1 მან.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ვეფხის ტყაოსნის გარშემო“.** საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკის სტუდენტთა ალმასბიეროს მიწვევით **კონსტანტინე ჭიჭინაძე** გაიმეორებს მოხსენებას „ვეფხის ტყაოსნის გარშემო“ კვირას, 20 თებერვალს, მუშათა ფაკულტეტის დარბაზში (სამოსწ. შესახ. 4) შესვლა თავისუფალია.

◆ **აკადემიკოს ლანსერეს** სურათების გამოფენა გაიხსნება 20 თებერვალს სომეხ ხელოვანთა სახლში „ჰაიარტუნში“.

◆ **მუშათა თეატრის** რუსული დრამა ამზადებს დასადგმად „ლიუბოვ იაროვაია“-ს და დიკენსის პიესას: „პრიჰინა ბუხარზე“.

◆ **„სამსონ და დალილა“.** დღეს ოპერის თეატრში მიდის ოპერა „სამსონ და დალილა“.

◆ **„ზოიას ბინა“.** დღის მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ზოიას ბინა“.

კონფერენცია

სამაზრო განათლების გან-ბის ინსტრუქტორების კონფერენცია იხსნება დღეს, პარასკევს, 18 თებერვალს; დღის 12 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. 3).

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. განათლების სახალხო კომისარიატის საცდელ - საჩვენებელ სკოლების და თბილისის გან. განყოფ. სკოლების და სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების დათვალიერება, 3. კონფერენცია - თათბირი. შთაბეჭდილებანი დათვალიერებულ დაწესებულებათა შესახებ და აზრთა გაცვლა - გამოცვლა, 4. ინსტრუქტორის მუშაობის ფორმები და მეთოდები, 5. კომპლექტიური სისტემა, 6. მასწავლებელთა შორის მუშაობა და 7. მიმდინარე საკითხები.

ავიოლატარია

საკავშირო ავიალატარიის დაწყების პირველი ოღიდან — დღევანდლამდე ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებს გადაეცათ გასასაღებლად სულ— 63.500 ცალი ბილეთი. ამ რაოდენობიდან: საქართველოს გადაეცა — 23.500 ბილეთი, სომხეთს —20.000 და ამდენივე აზერბეიჯანს.

ჯერ - ჯერობით ბილეთების გასაღების შესახებ ამ.-კავკასიის ავიაქიმში მოსულია ცნობები საქართველოდან და სომხეთიდან. მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ საქართველოში და სომხეთში ავიალატარიამ დიდი ინტერესი გამოიწვია ფართო მასსაში და აღნიშნული რაოდენობა ბილეთებისა გასაღებულია მთლიანად.

სომხეთიდან ჯერ საბოლოო ცნობები მიღებული არ არის, მაგრამ ფიქრობენ, რომ იქაც, გადაგზავნილი ბილეთები გასაღებული უნდა იყოს.

ბიბლიოგრაფია

„მნათობი“ ყოველთვ. სალიტერ. - სასამხ. და სამეცნიერო ჟურ. № 1—1927 წ.

მეოთხე წელია, რაც გამოდის „მნათობი“ და უკვე სათანადო პოპულიარობით სარგებლობს ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალი ყოველი ნომრით თანმიმდევრობით უმჯობესდება. „მნათობი“-ს ერთ-ერთ დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მოსკოვის «Красная Новь»-თან შედარებით უფრო მემარცხენე ორგანოა, რასაც ამართლებს მასში მოცემული (საერთოდ) პროდუქცია.

სარეცენზიო № იხსნება **კონ. ლორთქიფანიძის** ლექსით: „ლენინ“. საქართველოში ლენინზე ბევრი ლექსი დაისტამბა, უფრო მეტი—დაიწერა... ვ. გაფრინდაშვილმაც კი სცადა ლენინის მოხაზვა; **ლენინი ანარქიული, გამითებული, ელიზიუმის აჩრდილი.** რასაკვირველია, პროლეტპოეტებშიც ჰქონდა ადგილი რამოდენიმედ ხაზის გადალუნვას, თუმცა ისინი შორს იდგენ მეშჩანური კერპთაყვანისმცემლობისაგან, საჭიროა არა ლენინი „საერთოდ“, არამედ ლენინი დაკავშირებული ბრძოლებთან, მშენებლობასთან. სწორედ ამ განზრახითაა მოცემული ლორთქიფანიძის ლექსი:

ლენინის ხსოვნასთან დაკავშირებით პოეტი შემდეგ განწყობილებას ანვითარებს:

„ქუჩებზე ელავენ ქარხნების ალები,
შეცა ვმღერ; თუ მომესმა ბრძოლების ძახილი
დავაგდებ კალამს და ხმლით დავტრიალდები,

ან და: „ვინა სთქვა გაშლილი ბრძოლები გათავდა!
პარტიის ფოლადის მკლავი ვინ მოღუნა!
დავიცავთ, ვაშენოთ, მზათა ვართ—მზათა ვართ,
სისხლში გაბანილი დროშა და კომუნა.

თემა სწორადაა დამუშავებული: **ბრძოლა და სოციალისტური აღმშენებლობა.** განა ეს არ დაგვიტოვა ბელადმა ანდერძად!

ნაკლად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ ამ ლექსში ლორთქიფანიძის გრძნობიერი ლირიკა შემრალადაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტის მეორე ლექსი: „წინაპრებს“, როგორ უდგება პოეტი „წინაპრების“ პრობლემას?:

1. დროთა ტრიალმა ჩვენ ერთმანეთს გამოგვათხოვა
ჩვენ წინაპრებო ერთმანეთი გადავიცანით
2. ჩემთვის ერთია დღის ერეკლე და მამად-ხანი
დღეს შემოგეხედავს მეგობრულად აზიის თვალი...
3. არ არის სივრცე, რომელმაც ჩვენ შეგვაერთოს
არ არის სიტყვა ერთნაირად, რომ მოგვხვდეს გულზე.
არ მეშინია უცხოეთში ბედის მოლოდინის,
ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლო მიწის სიშორე;
სანამდი ელავს გაბასრული ხმალი კომუნის
მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი.

პოეტი სინამდვილეს, სიცოცხლეს „სხვა თვალით უმზერს“, მისი ხედვა თანდროულია. ზოგს შეიძლება... „მოეხერხო“ ელემენტს ამაში მხატვრული უდისციპლინობა მოეჩვენოს! აქ პოეტი ამჟღავნებს თავის კლასიურ ხედვას—(დღეს სხვა ხედვა არ არსებობს) „წინაპრების“ პრობლემაში, იმ დროს, როდესაც ქართველ მწერალთა მნიშვნელოვანი ნაწილი მამა-პაპათა ძვლებზე უნაყოფო მისტერიებს აგებს და გადადის წარსულის იდეალიზაციაზე. კ. ლორთქიფანიძე თავისი გამართლებულ განწყობილებით დაუპირდაპირდა—წარსულის რომანტიკას და ინტელიგენტურ სლოკინს. ლექსი მთლიანად გამართლებულია და გამძლე.

ვ. გორგაძე: „ბრძოლა წიფის გვირაბთან 1905 წელს“. უპირველეს ყოვლისა ასეთი ანშლაგი ლექსისათვის მიუღებელია. ლექსში ბრძოლის ელემენტი უკანა პლანზეა მოქცეული, პირველ რიგში იჭრება სალანდშაფტო ფერები და პეიზაჟი. (ისიც ცუდი ოსტატის ნახელავი!) ყოველი მხატვრული ფაქტი უნდა იწვევდეს მკითხველში ემოციონალურ დასაწყისს, გორგაძის ლექსი ამას მოკლებულია.

მოსაშვილი: „სოფელში“ ძლიერი განცდის და მხატვრული სიმარტივით აშენებული ფაქტია; პოეტი სოფლის ფონზე შლის განწყობილებას: ძველი სოფელი მიდის თავისი იდილიით, უძრაობით და „წმინდანებით“: აღარც მაყრები, ღოლი ჰენება

და აღარც სუფრის სიტყვა [illegible].

. . . . .

ეშმა წაიღო შენი დროება
შენი მკითხავი, მნათე საყდარი

. . . . .

ვბედავ სოფელშიც გულის თრთოლას
და ცეცხლი აქაც შემოპარულა და სხვ.

დიდი აღმოჩენა არ იქნება, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ; მოსაშვილის ლექსი ესენინის ამავე ტემაზე დაწერილი ლექსის პარალელია, ხოლო ერთი განსხვავებით: მოსაშვილმა ძველი სოფლის სიკვდილი დაინახა, ხოლო გადახალისება ვერა; ესენინმა ყოველ შემთხვევაში სოფლის კომკავშირი შეამჩნია, რომელიც „გარმონზე“ ამღერებდა დ. ბედნის „ჩასტუშკებს“.

ლექსში ერთ მხატვრულ გაუგებრობასაც (უკეთ მოუფიქრებლობას) აქვს ადგილი: პოეტმა შეამჩნია, რომ სოფელში „აღარც ღოლია“, ლექსის ბოლოში კი ვკითხულობთ, რომ „ყველგან ღოლია“. შეიძლება პოეტმა თავი იმართლოს მხატვრული „მოსაზრებით“, მაგრამ გარემოება ფაქტს უკარგავს მხატვრულ მთლიანობას.

ა. ჩიქოვანი: მემარცხენეობაზე პრეტენზიების მატარებელია. აქამდე ამ განხრით არაფერი მოუცია, გარდა ორი სტროფისა, რაც რამოდენიმედ უფრო პოეტურ ტრიუკების „სისტემას“ წარმოადგენს. „ძველ პოეტებს“ კი რამოდენიმედ თანადროულობას უთანასწორებს. ჩიქოვანი გვარწმუნებს:

1. ავიცერ მკლავი და მივილე სისხლი დროების.
2. ჩემთვის უცხოა ხაზობრივი დგომა ბერძენის, მე არ ვიკეთებ ნიღაბებს და ნისლის პარიკებს.
3. მე მინდა ხალხს დაუტოვო სიტყვა მართალი, დავეძებ აზრს გამჭრიახს და ადამიანურს.
4. მე უმღერ ხალხს და ამ ხალხში მთლიან კაცობას.

მაგრამ როგორია მისი დაპირისპირება „ძველები“-სადმი:

„შენ ფოტროდან ხარ, მე ფოლადით გამოვითალე,
შენ ეტრფი ძველს—უცხოელ მტვრიან ჭიანურს.
2. შენ წერილმანი ხარ და ძარღვი გაქვს ნაწყალმაკეცი.

ასეთია პოეტის „დეკლარაცია“ პოეტი ცდილობს გაეკრას ეპოქას, მაგრამ რამოდენიმედ მაინც პოლიტიკური ორიენტაციის უქონლობას იჩენს: იგი კვლავ „დაეძებს აზრს“. და იცით როგორს? „ადამიანურს“ ე. ი. ზოგადს; აქ უკვე ჰუმანიტარულ მოსაზრებებთან, ზოგად განწყობილებებთან გვაქვს საქმე, რაც დღევანდელ სინამდვილეში—ილიუზიაა. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ფრჩხილების გახსნა და მეტი გარკვეულობა. ლექსი ფორმალურად სათანადოთაა დამუშავებული.

ბელეტრისტული ნაწილი წარმოდგენილია სამი რომანით: (დასაწყისი) ლ. ქიაჩელის „სისხლი“, დ. შენგელაიას „ტფილისი“, ანასტასია ხოშტარიას „სული“. რომანების მთლიან მოკვემამდე არ შევაჩერებთ მათზე მკითხველის ყურადღებას.

იონა ვაკელი: „მეწისქვილე“ (პოემა) წარმოდგენილია ნაწილით, დასასრული იქნება.

მიხეილ ჯავახიშვილი: თავის „თეთრ კურდღელს“ უძღვნის „პროფ. მიხეილ ასათიანს, რომლის ნაამბობმა დააწერინა ეს მოთხრობა“. გულახდილათ უნდა ითქვას, რომ შინაარსის მხრივ ხსენებული მოთხრობა დამაკმაყოფილებელი არაა. საეჭვოა, რომ „თეთრი კურდღელი“ ახალ საზოგადოებრიობის სოციალურ შეკვეთას აკმაყოფილებდეს. რომანი ისე „საინტერესო“ საკითხავია.

თ. გლადკოვი: „ცემენტი“—ამ ბოლო წლებში ისეთი პოპულიარობით არც ერთ რომანს არ უსარგებლია, როგორც, თ. გლადკოვის „ცემენტს“. რომანში ორი ცენტრია, ორი თემა საჯანადო მთლიანობით გაშლილი ახალი ყოფის ფონზე: სამოქალაქო ომის პერიოდში გაპარტახებულ ქარხნის აღდგენა გლების მიერ და ომამდის მიერ ოჯახურ ურთიერთობის ახალ ფორმების ძიება: „ცემენტი“ სოციალისტურად აღმშენებლობის პათოსია და გლადკოვი მიაწვდა ეპოქის არსს, გამოავლინა ახალ მოვლენათა რიგი, რომელნიც ვითარდებიან ერთ სოციალურ რგოლში.

ამაში „ცემენტი“-ს პოპულიარობის საიდუმლოება. მით უმეტეს, რომ ყოველი ჩვენგანის ყურადღება მიპყრობილია სოციალისტურ აღმშენებლობის პრობლემებზე... და ყოველი ჩვენგანი განიცდის ამ აღმშენებლობის პათოსს. სარეცენზიო №-ში მოცემულია მხოლოდ რომანის დასაწყისი, თარგმანი დამაკმაყოფილებელია.

კრიტიკა-პუბლიცისტიკის განყ. იხსნება ნ. ბუხარინის „გესლიანი შენიშვნები“-თ. თარგმანი წერილის პირველ ნაწილში მოისუსტებს.

მიხ. კახიანი: „იდეოლოგიურ ფრონტზე“— თბილ. მე-VII პარტკონფერენციაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენების ნაწილია, სადაც გარკვეულია თანამედროვე ქართულ ლიტერატურის და ინტელიგენციის (სხვადასხვა ფენების) ობიექტურ-კლასიური ფიზიონომია და ჩვენი პარტიის დამოკიდებულება მათ მიმართ.

მიხ. ზანდუკელი: „რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში“. დიდი ხანი არაა, რაც ზანდუკელი გამოვიდა ქართულ მხატვრულ კრიტიკის სარბიელზე და უნდა ითქვას, ჯერ-ჯერობით მოიკოჭლებს. ამის უტყუარი ნიმუში ხსენებული წერილია. სხვათა შორის, ჩვენ მოველოდით, რომ მთლიანად თუ არა, წერილში ნაწილობრივ მაინც საკითხის სერიოზულ გაშუქებასთან გვექნებოდა საქმე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

წერილში სხვათა შორის ზოგჯერ გაუგებრობას აქვს ადგილი, რაზედაც ვერ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ადგილობის გამო (როგორიცაა: მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჯანყებანი, ქართველ რომანტიკოსების „შეთქმულება“ ქართული რეალიზმის პრობლემა და სხვ.[1]) ბიბლიოგრაფიული განყოფილება დამაკმაყოფილებელია.

№-ს დართული აქვს **ვლ. ლენინის** სურათი.

ტორი.

---

[1] ვიტოვებთ უფლებას, რათა ზანდუკელის წერილს კვლავ დაუბრუნდეთ.

იურიდიული დახმარება

ალიმენტის შესახებ

მოქ. აკაკი სიხარულიძეს.

— „აკენ გვწერთ, რომ თქვენ გაყარეთ ცოლს, რომელთანაც თქვენ ცხოვრობდით 1925 წლიდან კანონიერი ქორწინებით. ცოლი კი განქორწინების გამო მოითხოვს თქვენგან „ნამრომ-ნამსახურის“ ჯილდოს ერთი წელ ნახევრის განმავლობაში სამას მანეთს, რადგანაც თქვენ პირველად მოითხოვეთ განქორწინება. ჩვენ გვეკითხებით გქონდათ თუ არა თქვენ უფლება მოგეთხოვათ განქორწინება და ხართ თუ არა თქვენ ვალდებული დააკმაყოფილოთ ცოლის მოთხოვნა სამასი მანეთის მისთვის მიცემით იმ შემთხვევაშიც, თუ კი თქვენი ყოფ. ცოლი ჯან მრთელია (20 წლისაა) და შვილიც მას არა ყავს.

გიპასუხებთ

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 88-ისა, თქვენ გქონდათ სრული უფლება მოგეთხოვა განქორწინება მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა ცოლს განქორწინება. ის გარემოება, რომ თქვენ პირველად განაცხადეთ სურვილი განქორწინების შესახებ, სრულებით არ ქმნის ვალდებულობას, რომ თქვენ მისცეთ თქვენ ყოფ. ცოლს ალიმენტი (სარჩო-საბადებელი). ალიმენტი (საზრდო) მიეცემა მხოლოდ ისეთ მეუღლეს, რომელიც შრომის უნარს მოკლებულია (დაავადებულია ან მცირე წლოვან ბავშვის დედაა ან და განიცდის დიდ მატერიალურ სიღარიბეს—(არა აქვს საზრდო მინიმუმი) იხ. იქვე მუხ. 96 და 103.

ცოლი არ არის დაქირავებული პირი, რომ მან მოითხოვოს „საზრდო“ ნამსახური ჯილდოს სახით. საზრდოს (ალიმენტის) გაცემას კი საფუძვლად უდევს მხოლოდ მეუღლის ინვალიდობა და ან მისი მატერიალურად უმწეო მდგომარეობა და არა რაიმე სხვა მოსაზრებანი.

ცოლ-ქმართ აქვთ თუ არა უფლება შეეკრან ერთმანეთს ქონებრივი ხელშეკრულებით

კავშირის წევრს (წიგნ. № 6091)

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 95-ისა, ცოლ-ქმართ აქვთ სრული უფლება შეეკრან ერთმანეთს ყოველგვარ ნებადართულ ქონებრივ ხელშეკრულებით. მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ისეთ შეთანხმებას კი, რომელიც მიმართულია ქმრის ან ცოლის უფლების შემცირებისაკენ, არა აქვს ძალა და არცაა სავალდებულო როგორც მათთვის, ისე მესამე პირთათვისაც.

პარტიული კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის, თბილისის კომიტეტის საკლუბო სხდომა შესდგება შაბათს, 19 თებერვალს დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდის მეთოდბიუროს სხდომა შესდგება შაბათს, 19 თებერვალს, დილის 1[illegible] საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

— შაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა, მესამე სართული) შესდგება პარტიულ განათლების ქსელის ყველა ტიპის სკოლების და წრეების ხელმძღვანელთა საერთო საქალაქო თათბირი.

დღის წესრიგში სდგას:

1) „გლეხობის სოციალურ-პოლიტიკური ბუნება“—ამხ. იონოვის მოხსენება.

2) „მუშაობა სავალდებულო და არა სავალდებულო პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტებთან“—ამხ. ზუდილევის მოხსენება.

— სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ 18 თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე მოწვეულია სოც.-ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ღია კრება.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დანიშნულ დროზე ყოველ მიზეზს გარეშე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ შაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკის სახლში შესდგება მეოთხე რაიონში მომუშავე ქვემოდ დასახელებულ კომუნისტ-პედაგოგების თათბირი:

1) აგრაფინა ქავჭანიძე, 2) ილია ფანცხავა, 3) ანასტასია მესხი, 4) დავით ნუცუბიძე, 5) მიხეილ თევდორაძე, 6) კონსტანტინე გრიგოლია, 7) ელისაბედ ანდრიაძე, 8) გრ. მარტუშოვი, 9) ოლღა კოლუბიაკინა, 10) ვირგ ჯამპულადოვა, 11) ბაიანდურიანი, 12) ევგან დარიანი, 13) გიორგი გრიგორიანი, 14) კონ. ბახტაძე, 15) ან. კანანიანი, 16) ეფროს. ფარცხალაძე, 17) ჩხენკელი, 18) ნატალია პავლენკო, 19) გრიგოლ შაროიანი, 20) სათენიკ ბურუჩიანი, 21) რ. მარკიშვილი.

საქართველოს კოოპერატიული საბჭოსთან არსებული კოოპერატიული კურსების მსმენელები [illegible] მგლოვნი ვგლოვობთ ჩვენი ძვირფასი ამხანაგის, მომავალი კოოპერატორის, საზოგადო საქმისადმი თავდადებულ [illegible]

კოწია კაციას ძე გელოვანის

უდროოდ გარდაცვალებას

საქართველოს კოოპერატიული საბჭოს სამოსწავლო სექცია, კოოპერატიული კურსების გამგეობა და ლექტორთა კოლეგია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს კოოპერატიული კურსების ღირსეული მსმენელის და მომავალი კოოპერატორის

კოწია კაციას ძე გელოვანის

უდროოთ გარდაცვალების გამო

სამუდამოთ დაწუხრებულნი: მეუღლე სერაფიონ ივანეს-ძე ყუფარაძე, შვილები გალაქტიონ, ზინა და რუსუდან, ძმები ამბაკო, ვანო და ანდრო ლევანის-ძე რუხაძეები, მული ნადია ყუფარაძე ტოპოლევისა, რძლები ოლია, ნატაშა რუხაძენი და მამამთილი ივანე გლახუას-ძე ყუფარაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 15 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

იულია ლევანის ასული
რუხაძე-ყუფარაძისა

დაკრძალვა კვირას, 20 თებერვალს, თბილისში წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება ნაშუადღევის 2 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან. 1714

ღრმად დამწუხრებულნი პავლე ამბროსის-ძე წივწივაძე ცოლით—ოლიათი და შვილით—თალიკოთი აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობრებს, რომ 15 თებერვალს, მანგლისში ტრაგიკულათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილი სტუდენტ გამგის თანაშემწე

ავესალომ ნესტორის-ძე წივწივაძე

ნ. 668

გიორგი ნესტორის-ძე, აკაკი პორფირეს-ძე, მიხეილ როსტომის-ძე, მიხეილ დიმიტრის-ძე და კოწია ალექსის-ძე წივწივაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 თებერვალს, მანგლისში ტრაგიკულად გარდაიცვალა

ავესალომ ნესტორის-ძე წივწივაძე

დასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1715

ღრმად დამწუხრებული და ზინა არჩილის ასული, სიძე ნიკოლოზ იერაბისძე და დისწულები შურა და ანიკო კილასონიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ. რომ მათი დაუვიწყარი და საყვარელი

ანთიმოზ არჩილის ძე აზვლედიანის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავი წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ქუთაისში, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში თებერვლის 20 ს, დილის 12 საათზე 2—1 1720

სახელმწიფო დრამა

3—1 ნ. 677

შაბათს, 19 თებერვალს, ანტონოვის

მზეს დაბნელება საქართველოში

კომედია 3 მოქმედებად.

დადგმა კ. მარჯანიშვილის. დეკორაციები: სიმონ ერისთავის.

კვირას 20 თებერ. ნ. შიუკაშვილის **ამერ! კელი მია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით

დადგმა ალ. ახმეტელის.

მხატვარი: მ. შავიშვილი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

ნ. 672

დღეს, 18 თებ., **სამსონ და დალილა**

მონაწ.: სკიბიცკაია, ვიტინგი, გორელოვი, მესნიაევი.

დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი

შაბათს, 19 თებერვალს პრემიერა **ტრუბადური**

სამშაბათს 22 თებერვალს და ხუთშაბათს 24-ს

ე. ა. სტეპანოვას გასტროლები

სახ. ოპერა

ნ. 673

ლენინგრადის და მოსკოვის აკადემიური ოპერის პრემიერ-ქალის

ე. ა. სტეპანოვას გასტროლები

სამშაბათს 22 თებერვალს **ლაკმე**

ხუთშაბათს 24 თებერვალს **ტრავიატა**

ბილეთები იყიდება

ცირკი

ძმ. ტანტებისა

1—1 ნ. 669

ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

პარასკევს, 18 თებერვალს

საუკეთესო სანახაობანი დასის სრული შემადგენლობ-თ. ახალი №№ მე-23-ე დღე ჭიდაობის ჩემპიონატისა ი. ვ. ლებედ ვის ხელმძღვან.

ჭიდაობს 4 ფრიად საინტერესო წყვილი

პირველი—ნიღაბი ფენომენი—ნიღაბი ჰერკულეს, მეორე—კარლ სკარბე—ვერნიგორა, მესამე მაისურაძე—გრიცკო სიდიუკ მეოთხე—ს. ქელზნიაკ—ვინიჩენკო

ანონსი: კვირას 20 თებერვალს ყველასათვის ხელმისაწვდომი საბავშო დილა ახალი პროგრამით. საჩუქრების დარიგებით

დასაწყისი 1 ნახ. საათზე ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

აპოლო ტელ. 7—61.

არფასტო ტელ. 13—22.

სოლეი ტელ. 20—14.

დარბაზი ტელ. 14—04

0—12 ნ. 587

ბელა

„ჩვენი დროის გმირი“-ს ციკლიდან (ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით). ყოველდღიური ანშლაგები

დადგმა **ვ. ბარსკის**

ოპერატორები. **ა. პოლიკევიჩი, ფ. გეხელე**

მთავარ როლებში: თინა ჭაჭავარიანი, ნ. პროზოროვსკი, ა. თაყაიშვილი, ვ. ოგოლენსკი.

საუკეთესო სურათი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

„მონტეცუმას ქალი“

ხაგარტის რომანის მიხედვით

1927 წლის 3 მარტს

მოწვეულია

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. ცეკას ზოგადი მოხსენება 1925—26 წ. განვლილი საქმიანობის შესახებ.
2. დელეგატების არჩევა სრ. საქ. წითელი ჯვრის მე-3-ე ყრილობაზე.
3. მიმდინარე კითხვები.

ვთხოვთ თბილისში არსებულ წითელი ჯვრის ყველა სამეულებს 50 წევრზე გამოგზავნონ ერთი დელეგატი აღნიშნულ კონფერენციაზე დასასწრებლათ, ხოლო თბილისის მაზრაში არსებულ სათემო კომიტეტებმა 100 წევრზე უნდა გამოგზავნონ ერთი დელეგატი.

სასურველია აგრეთვე საზოგადოების წევრთა მეტი რიცხვის დასწრება კონფერენციაზე.

კონფერენცია შესდგება სანგანათლების შენობაში, ევანგულოვის ქ. № 12, საღამოს 6 საათზე.

საქ. წითელი ჯვრის საზ.

ნ. 671. **საორგანიზაციო განყოფილება.**

საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობა

შაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 8 ს. ქ. თბილისში ჯანსახკომის სანგანათლების თეატრის დარბაზში შესდგება პირველი საქალაქო სატუბერკულიოზო ყრილობა) რომელზედაც მოწვეულნი არიან ჭლექის საწინააღმდეგო ყველა დაწესებულების თანამშრომელნი: კლინიკების, დისპანსერების, საავადმყოფოების, ამბულატორიების და აგრეთვე ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების წარმომადგენლები.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი მოხსენებები:

1. ტუბერკულიოზის სოციალური პროფილაქტიკა.
2. ჭლექის თანამედროვე მკურნალობა.

ყრილობის საორგანიზაციო ბიურო.

ნ. 675 **საქ. ჯან. კომ. ტუბ. სექცია**

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ქიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრაღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—1

ქ. თბილისში მცხოვრებნი ყველა ომის და შრომის ინვალიდები და მათი ოჯახის ის წევრები რომელთაც თბილისის საბჭოს არჩევნებში

მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ,

მოწვეულნი არიან საარჩევნო კრებაზე, რომელიც დანიშნულია მუშათა სასახლეში (რუსთველის პრ. № 17) 20 თებერვალს, დილის 10 საათზე.

ამომრჩევლები კრებაზე უნდა გამოცხადდენ თავიანთ საწევრო წიგნაკებით და საარჩევნო უწყებებით.

ნ. 676 **ცენტრალური საარჩევნო კომისია**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 22 თებერვალს დღის 2 საათზე სახლში № 79 პლეხანოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მარკ ლევინის მოძრავ ქონებას: ლიმონადის ქარხანას მთელი მისი მოწყობილებით შეფასებულს 576 მანეთად, სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 29 ოქტომბერს 1926 წ. თარიღით, № 3994 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1718

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეჯეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 22 თებერვალს დღის 12 საათზე სახლში № 4 მუხრანის ქუჩაზე, სასამართლოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იან იაო კუენის მოძრავ ქონებას: 80 რიდიკიულს სხვადასხვა ზომისას, შეფასებულს 382 მანეთად, მაიუ შას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 5 თებერვ. 1927 წ. თარიღით, № 341 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 1712

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი გიორგი ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 22 თებერვალს დღის 2 საათზე მადათოვის კუნძულზე სახლი № 3, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ივანე გაგუას და დიმიტრი ჯაბელიას მოძრავ ქონებას. ძეხვის გასამსები მანქანა, ხორცის დასანაყი მანქანა № 42 თავის ბადით და დანით, დინამო-ვარგისი 25 ამპერი 220 ვოლტის № 63996 სისტემა 1900 წ. მანქანის ღვედი და თვლები, რეოსტატი, ელ. ენერგიის აღმრიცხველი, დიდი სასწორი თავის გირებით ვარგისი, ორი გობი, ერთი დიდი გობიხორცის ასაჭელი, დანები, ხორცის დასანაყი ექვს პირიანი, პილპილის გასატარებელი მანქანა, დანების სალესი ჩარხი, ქვაბები—თუჯის და სპილენძის, ჩანგალი ხორცის ამოსაღები, დანები, ვედრა, ცული, ბოჭკები, საანგარიშო ჩოთქი, ძეხვის ჯოხები. ყველაფერი ეს შეფასებულია 400 მანეთად. გაიყიდება სურსათ-გემოვნების კავშირის და ლეონ ჯალალოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სასამართლოსაგან 22 თებერვლის თარიღით 491 და ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართლოს 1926 წ. 23 დეკემბრის თარიღით 8653 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1721

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ 21 თებერვალს დღის 1 საათზე, უნივერსიტეტის ქუჩაზე № 4, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** იასონ გაბილაიას 2 სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია 7 ოთახი და 2 სამზარეულო. სახლი ეს შეფასებულია 1500 მან. რომელი თანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია კომუნალურ ბანკის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლათ, საერთო ჯამით 4256 მან. და 15 კაპ.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. კოდ. მ-311 მუხ. გათვალისწინებული ცნობები. გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც. ე. ი. 150 მან. ნ. 674

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო** ხაწოლებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სატუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექ. ი. ე. ბაბიჩვაძე

პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ **სიფილისით და კანით ავადმყოფებს.**

დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ჩქარი და საფუძვლიან შესწავლა ორმ. ბუღალტერიის თეორიის და პრაქტიკის

საბჭ. და სავ. მუშ. **პროფკავშირის** 2-ე საანგარიშო მეცნ-თა

კურსებზე

მ მსმენელთა მიღება გრძელდება. დგება ახალი ჯგუფი. ისწავლება ბუღალტერიის სპეც. დარგები. პირობები შეღავათიანია. დაწვრილებით—კურსების კანცელარიაში საღამოს 5—7 საათ. კოოპერაციის ქუჩა № 17, 33-ე შრ. სკოლა (მუშტაიდის მახლობლად). 1689 5—2

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—14

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

დაიკარგა 12 თებერვლიდან გოგებაშვილის ქუჩაზე № 1 მცხოვრები ალექსანდრე ლეჟავა (მოსწავლე აბიტურიენტი) საშუალო ტანის, წყნარი სიარული. ვთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცის, გვაცნობოს ზემო აღნიშნულ მისამართით. 1722

დაკარგა სენაკის მაზრაში სამხედრო სამსახურში გაწვევისგან ვადის გადამდებ კომისიის მიერ გაცემული მოწმობა ფორმა 2, № 2542. სევერიანე არსენის-ძე მჟავანაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 667

დაკარგა საკერავი მანქანის ნასყიდობა გაცემული „გოსშვეიმაშინის“ ქიათურის განყოფილებიდ ნ დამიანე კავაზიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 670

დაკარგა სამთომადნო მუშათა პროფკავშირის წიგნაკი № 6300. სერგო ლევანის-ძე კაპანაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 670

დაკარგა სამთომადნო მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 7938, ალექსანდრე ფირსადანის ძე თოდაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 670

დაკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ქიათურის მილიციის სამმართველოდ ნ პელაგია ხიკანიშვილის ასულის სლეპოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 670

დაკარგა სამთომადნო მუშათა პროფკავშირის წიგნაკი № 7606. პეპო მოსიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 670

დაიკარგა ბავშვი 11 წლის კალისტრატე იგივე კალიკო მელიტონის-ძე კურტანიძე, შემდეგი ნიშნებით: ტანით პატარა, თმა-წამწამი წაბლისფერი, სახე რგვალი. შეიტყობენ, მნახველს ვთხოვთ შეგვატყობინოს ქ. ჭიათურაში ზდანოვიჩის ქუჩაზე № 24, მელიტონ კურტანიძეს. ნ. 670

დაკარგა ქ. ბათომის განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 13121, სონია ალექსანდრეს ასული ქავჟანიძის სახელზე, ჩ. გ. 1713

დაკარგა რკინის გზის სამმართველოდან მოცემული პირადობის მოწმობები და ბილეთები: წლიური სასურსათო ბილეთი და ბათომის „რაზ ვოი“ ბილეთი რახილ რაზნიძის სახელზე, ჩ. გ. 1711

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი ვლადიმერ ივანეს-ძე ბერიძისსახელზე, ჩ. გ. ნ.

დაკარგა აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 997, პარტბილეთი № 4447 და ბირჟის დაზღ. წიგნაკი № 3926, ვართან ოსიპოვის სახელზე, ჩ. გ. 1719

დაკარგა ქორწინების ბარათი სანა ლომთაძის სახელზე, ჩ. გ. 1716

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 14 05, კირილე ლუკას-ძე ჯოხაძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა მე- უბნის სამ. მაგიდის სალარიცხვო წიგნაკი № 1450, ს. თათეოზის-ძე შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 1717

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.